

ISSN 0868-4537

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

178

1992

571

178

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1992-1

US  
BILISI GEORGIA



მთავარი რედაქტორი

თევდოზა ნინიძე

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი

(კასუხისმგებელი მდივანი),

გელა ბერძენიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ ბაგჩალიძე,

როლანდ პილიბაშვილი,

ავთანდილ დემეტრაშვილი,

ტარიელ ჯამბახია.

მიხეილ კეკელია,

მზია ლეკვიანიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრე ტალიაშვილი,

რუსუდან პიტავა.

ბიძინაშვილი რედაქტორი

გულნარა ბოსიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვანტანა აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ვიქტორი ბენდელიანი, ანდრე გაბინი, რომან  
ბვენცაძე, გივი ინჟიერიანი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი  
ლორია, გიორგი ნაღარაძე, ნოდარ ნიჭიერიძე, ვანტანა რაჭვაძე, ზურაბ  
რატიაანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ  
ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი  
ჯონი ხეცურიანი, სერგო ჯორჯიანი.



# სამართალი

№ 1 1992

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

იანვარი

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

პუბლიცისტიკა	
ოთარ გამყრელიძე — ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიპილიზმის წინააღმდეგ	2
თეორიის საკითხები	
გურამ ნაჭყებია — კანონით აუქრძალავის ნებადართულობის შესახებ	14
DE LEGE FERENDA	
პაატა ცნობილაძე — კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა	23
თამარ ჩორგოლაშვილი — უზენაესია მხოლოდ სამართლიანი კანონი	25
თამარ ჩიტოშვილი — იჯარა სოფლად: სამართლებრივი პრობლემები	31
უცხოური იურიდიული პრესა	
პანს შნაიდერი — მასობრივი არეულობები კრიმინოლოგიის თვალთ	37
დოკუმენტები	
ალექსანდრე შუშანაშვილი — გალაკტიონის გარდაცვალება	48
გაეროს დოკუმენტები	
„ბეკინური წესები“	56
ბიბლიოგრაფია	78



ოთარ ზამხარაძე

## ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიჭილიზმის წინააღმდეგ

1.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული საქართველოში თანდათანობით შემოდინდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა ჯურის სოციალისტური იდეები. საუკუნის დასასრულს კი ჩვენში სოციალ-დემოკრატიული სოციალიზმის მძლავრმა ნაკადმა იწყო შემოჭრა, რომელსაც მარქსის მოძღვრება ედო საფუძვლად. იმ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიაში და მისი ზეგავლენით საქართველოშიც, როგორც ამ იმპერიის ნაწილში, მიმდინარეობდა, სახელმწიფოსა და სამართლისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იყო. ყველა ჯურის სოციალისტური მიმართულება უგულვებელყოფდა სახელმწიფოსა და მისგან დაღვენილ სამართალს. ამ პროცესმა იმდროინდელ საზოგადოებაში ძლიერი სანართლებრივი ნიჭილიზმი, ესე იგი სამართლის არად ჩაგდება, მისი გაუფასურება და უარყოფა გამოიწვია.

ილია ჭავჭავაძე მაშინ ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც სიტყვით თუ საქმით თანმიმდევრულად იბრძოდა მომძლავრებული სამართლებრივი ნიჭილიზმის წინააღმდეგ. ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის შესწავლისთვის. ამისთვის მეტად მდიდარ მასალას იძლევა ილიას მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება. ამ მხრივ, საყურადღებოა მწერლის ბიოგრაფიული მონაცემები, როგორც ვიცით, ილია პროფესიონალი იურისტი იყო. ის ოთხი წელიწადი, რომელზედაც ჩვენი დიდი მწერალი თავის სახელგანთქმულ „მგზავრის წერილებში“ ასე შუამბეჭდავად ლაპარაკობს, მან პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას მოანდომა. გარდა ამისა, რამდენიმე წელი ილია დუშეთში მოსამართლედ მსახურობდა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ავტორები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას იკვლევენ, ამ ფაქტს სრულიად უყურადღებოდ ტოვებენ. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი ხშირად მეტად კურორზულ დასკვნებამდე მიდიან. ცნობილია, რომ ქართველი ორთოდოქსი, სოციალისტი კრიტიკოსები 30-იანი წლების შუა ხანებამდე ილიას მეფის ხელისუფლების მომხრედ, თავადაზნაურთა იდეოლოგად და რეაქციონერად ნათლავდნენ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურმა იდეოლოგიამ მწერლის სრული რეაბილიტაცია მოახდინა და მის პიროვნებას რეაქციონერის სამარცხვინო იარლიყი ჩამოხსნა, საზოგადოებრივი აზრი ილიას მიმართ,



ჩემი ღრმა რწმენით; ახლა მეორე მხარეს გადაიხარა. როგორც ყოველი მოვლენის არსის კვლევისას, აქაც მარქსისტული მეთოდი მოიმარჯვეს და დაიწყეს ილიას შემოქმედებაში სოციალისტური იდეების ძებნა. გადაწყვიტეს, ილიას შემოქმედება პროკრუსტეს სარეცელზე დაეწვინათ და როგორმე დაეახლოვებინათ მარქსისტულ მოძღვრებასთან, რათა ამით მწერლის შემოქმედების პროგრესულობა დაემტკიცებინათ. ათეული წლების მანძილზე ჩვენში ყოველგვარი პროგრესულის საზომი ხომ მარქსიზმის ადლი გახლდათ!

ილია ჭავჭავაძე, რასაკვირველია, არც სოციალისტი ყოფილა და, მით უმეტეს, არც მარქსის მოძღვრების მიმდევარი, რაზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვეჩვენა საუბარი. მაგრამ სამართლიანობა მითხოვს ითქვას, რომ ილიას შემოქმედებაში მაინც გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც სოციალისტების სამართლიან აღფრთოვანებას და მოწონებას იმსახურებდა. ის, რაც არ უნდოდათ დაენახათ მწერლის სიძულვილით დაბრმავებულ ფ. მახარაძეს და მის ბრმად მიმდევრებს, არ დაფარა გაცილებით უფრო საღად მოაზროვნე და გულწრფელმა სოციალისტმა კ. ჩხეიძემ. თუმცა, სოციალისტურმა მსოფლმხედველობამ მასაც გადააკრა თვალზე ლიბრი და ზოგიერთი ისეთი რამეც ათქმევინა, რაც სრულიად უსამართლო ბრალდებაა დიდი მწერლის მიმართ და მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობის ნაყოფია. ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება იმდენად ღრმა და მრავალმხრივია, რომ ყოველი „იზმი“ ამ შემოქმედებაში თავის ნოყიერ საკვებს ნახულობს. მხედველობაში მაქვს კ. ჩხეიძის სიტყვა, რომელიც მან ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დროს წარმოთქვა. მოცულობით მცირე და ფორმით უზადო სიტყვაში კ. ჩხეიძე ყურადღებას მიაპყრობს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების დასაწყის პერიოდს, როცა ილიამ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე დიდად გახმაურებული ნაწარმოები შექმნა. კ. ჩხეიძის თქმით, მწერლის ამ პერიოდის ნაწარმოებებმა ხელი შეუწყო ცხოვრების ასპარეზზე „ახალთაობის“ გამოსვლას, რომელმაც „კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძად აღიარა“.

„...შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი — მიმართავს ორატორი ილიას ცხედარს — გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენს ცხოვრებაში ვადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება. ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურიგებელი, სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის“ (იხ. კრ. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 206).

სწორედ ამ „შეურიგებელი“ და „სასტიკი“ კლასობრივი ბრძოლის ამსახველ სურათებს ხედავდნენ ქართველი სოციალისტები ილია ჭავჭავაძის ისეთ მაღალმხატვრულ ქმნილებებში, როგორიცაა „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩალი“ და სხვ. სწორედ ეს ნაწარმოებები გახდნენ კ. ჩხეიძის მიერ ნახსენები „ახალი თაობის“, ესე იგი სოციალიზმის მიმდევარი ახალგაზრდობის „გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურად“.

„კაკო ყაჩალი“ ისევე, როგორც „გლახის ნაამბობი“, მთლიანად კლასობრივი ბრძოლის იდეაზე აგებული ნაწარმოებია. კაკო ბღაჭიაშვილი როდია ჩვეულებრივი დამნაშავე, რომელიც სამართლიან სასჯელს გაქცევია და ტყისთვის შეუფარებია თავი. იგი სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლი ადამიან-

სამართლებლო  
ინსტიტუტი



ნია, რომელიც თავის კლასობრივ მტერს — ბატონს და კლასობრივ სამართალს — ბატონყმობის ინსტიტუტს გაქცევია და დაპირისპირებია. სიტყვის „სამართალი“ პოემაში კლასობრივი მოწინააღმდეგის, კლასობრივი სამართლის ბნელისთვის მებრძოლი ადამიანის სინონიმად აღიქმება.

მაგრამ კლასობრივი ბრძოლის წინ წამოწევა ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის ნაწარმოებებში ვერ არყვეს იმ დებულებას, რომ ილია თავისი მსოფლმხედველობით სოციალისტი არ ყოფილა. ჯერ ერთი, კლასობრივი ბრძოლის აღიარება რომ სულაც არ მოწმობს სოციალისტობას, ეს თავის დროზე კ. მარქსმაც კი შენიშნა. იგი ამტკიცებდა, საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის არსებობის ფაქტს სოციალისტების მოწინააღმდეგე ისტორიკოსებიც კი აღიარებდნენ. მეორეც ის, რომ მომდევნო პერიოდის ნაწერებში ილია კლასთა ასეთ დაპირისპირებას აღარ გვიჩვენებს. პირიქით, იგი კლასთა და წოდებათა შერიგებას და მათი უფლებების გათანაბრებას ქადაგებს. ილია ერის ერთიანობის მომხრეა. ერის წოდებებად დაყოფა და რომელიმე წოდებისთვის უპირატესობის მინიჭება, მისი აზრით, დამოუხველია არა მარტო ამ წოდებისთვის, არამედ მთელი ერისთვის. „ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, — წერდა იგი — იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელსამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“.

„ჩვენდა სამწუხაროდ, — განაგრძობს შემდეგ ავტორი — ჩვენი თავადაზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია და, როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითვლის“ (იხ „წოდებათა თანასწორობა“, ი. ჭავჭავაძე, ტ. 5, 1987, გვ. 19-20).

სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავი აზრების პატრონს სოციალ-დემოკრატებმა თავადაზნაურობის იდეოლოგიად სახავდნენ, რა უფლება ჰქონდა ამის შემდეგ სოციალისტ კ. ჩხეიძეს მიცვალებულისათვის საფლავზე წაეყვადრებინა: „დაე, გიტროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამო...“ ეს აშკარა ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

თვითონ კ. ჩხეიძეც არ თვლიდა ილიას სოციალისტად. მისი აზრით, სოციალზმის დამყარება შეიძლება მხოლოდ „კლასთა შორის“ შეუთრეგებელი და სასტიკი ბრძოლით. ილია კი მას კლასთა და წოდებათა შორის ასეთი შეუთრეგებელი ბრძოლის მომხრედ არ მიაჩნდა. პირიქით, კ. ჩხეიძე ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მწერლის ცხედარს საყვედურით მიმართავდა: „დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს“. არსებითად თუ განვსჯით, ამ სიტყვებში კარგად არის გამოხატული ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა და იდეური მიმართულება. ილია, როგორც მოაზროვნე, სოციალისტების ზოგიერთ მოთხოვნას იზიარებდა და ეთანხმებოდა. მაგრამ განსხვავდებოდა მათგან არსებით საკითხში, კერძოდ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გზებისა და საშუალებების შერჩევისას ილია წინააღმდეგი იყო, რომ სოციალისტების მიერ დასახული მიზნები მიღწეული ყოფილიყო კლასთა ბრძოლით და სახელმწიფოსა და სამართლის უარყოფით, იგი გამოდიოდა, სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ და სამართლებრივი ცხოვრების განვითარებას მოითხოვდა. თუ სოციალისტები საზოგადოების განვითარებისა.



თვის გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდნენ კლასთა ბრძოლას, ილია ასეთ ფაქტორად თვლიდა სამართალს.

სოციალისტების აზრით, კლასთა ბრძოლის გზით მიიღწევა კაპიტალისტური ბაზისის შეცვლა სოციალისტური ბაზისით, რომლის გარეშეც საზოგადოების წინსვლა შეუძლებელია. მარქსი, როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ძირითად ფაქტორებად ეკონომიკურ-ბაზისს მიიჩნევდა. ეკონომიკას მისთვის უნივერსალური მნიშვნელობა ეძლეოდა. მარქსის მიხედვით, ყველაფერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიკით იყო დეტერმინირებული. ამიტომ სამართალი მისთვის, ცნობიერების სხვა ფორმებთან ერთად, ზედნაშენური კატეგორიაა და არსებული ბაზისით განისაზღვრება. სამართალი იმდენად არის განსაზღვრულ-დეტერმინირებული ეკონომიკით, რომ მას საკუთარი ისტორიაც კი არ გააჩნია (იხ. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“). რაც მთავარია, მარქსიზმი, როგორც სოციალისტური მოძღვრება საზოგადოდ, სამართალს ისტორიულ კატეგორიად თვლიდა და წინასწარმეტყველებდა, რომ სახელმწიფოსთან ერთად, ის საბოლოოდ უნდა მოკვდეს სრული კომუნისტური საზოგადოების პირობებში. ამ კვდომის პროცესი თანდათანობით უნდა დაიწყოს და განხორციელდეს კომუნისზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის დროს. ერთი სიტყვით, მარქსიზმი აშკარად, შეუფარავად ქადაგებს სამართლებრივ ნიჰილიზმს.

ილია ჭავჭავაძე, პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და წარმატებისათვის უნივერსალურ მნიშვნელობას სწორედ სამართალს ანიჭებს. „ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, — წერდა ილია ამ ასი წლის წინ — რაც უნდა მრთელი ჰაეა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც და მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერას შევლის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარი წარმოებისა (ო. გ.), თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისთვის, ხალხთა კეთილდღეობისთვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ“ (იხ. „ცხოვრება და კანონი“ ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, 1987, გვ. 299).

როგორც ვხედავთ, აქ უარყოფილია გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. უგულვებელყოფილია წარმოების წესის მნიშვნელობაც. ილიას აზრით, საზოგადოების წარმატებისთვის ვერაფერს მოგვცემს „ვერც შეძლება ყოველგვარი წარმოებისა“. „ხალხთა კეთილდღეობისათვის“ მას „კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული“ „ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“ უფრო საჭიროდ მიუჩნევია, „ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“.

„რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, — დაასკვნის ბოლოს ილია — თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“ (იქვე, გვ. 300).

მარტო ეს სიტყვებიც კმარა იმის გასარკვევად, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა ილია სამართალს, როგორ მაგიურ ძალად მიიჩნევდა მას საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის.



საგულისხმოა ის, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ საკითხის შესწავლა აბსტრაქტულად კი არ აინტერესებდა, მას თავისი კონკრეტული მიზნები ეჭირებოდა. ილიამ კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი დაბალი სამართლებრივი კულტურა, ქვეყნის სამართლებრივი განუვითარებლობა იყო. იმავე „ცხოვრება და კანონში“ ის გულისტკივილით აღნიშნავდა, ამ გარემოებას: „ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა: ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება“. აქ ორი რამ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან: პირველი, ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების განუვითარებლობა, ხოლო მეორე საკითხია, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ხალხის მართლშეგნების დაბალი დონე, მისი გულგრილი დამოკიდებულება სამართლებრივი მოვლენების მიმართ.

ამ გულგრილობის შესანიშნავი სურათია დახატული, მაგალითად, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. მოხუც პეტრეს არაფრით არ უნდა დაიჯეროს, რომ მის თვალწინ კაცი ჩამოახრჩეს. მას ყოველივე იქ მომხდარი თვალთმაქცობა ჰგონია. თუმცა, ერთ წამს დაფიქრდება და თავისთვის შეეკითხება: „ბიჭო, და, იქნება მართლა ჩამოახრჩეს!...“ მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს და ცდილობს თავი დაირწმუნოს, რომ ყველაფერი ნაწახი მოტყუება იყო, კაცის ჩამოხრჩობის სცენა ვილაცამ გაითამაშა ხალხის თვალის სასეიროდ და გასართობად. პეტრე თავის რწმენას შემდეგ გარემოებაზე ამყარებს: „ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები; ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოადგებდნენ, რაც უნდა იყოს ღვთისკერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი“. პეტრე ალაღმართალი, გულწრფელი კაცია, მაგრამ გულუბრყვილოა და კარგად ვერ არის გარკვეული ვითარებაში. ამიტომაც ჰგონია, რომ მას ატყუებენ.

## 2.

სამართლებრივი კუთხით თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში ამ მხრივაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მოთხრობა „ოთარანთ ქვრივს“. ვფიქრობ, ამ ნაწარმოებში ავტორმა მთელი თავისი სამართლებრივი იდეალი გამოხატა. თუკი სხვა ნაწარმოებებში მწერალმა იმდროინდელი საქართველოს სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე, მისი ჩამორჩენილობა ასახა, ოთარანთ ქვრივის სახით მან დაგვიხატა მაღალი მართლშეგნების მქონე, საკუთარი უფლებებისთვის ნიადაგ მებრძოლი ადამიანი. ამით მწერალს უნდოდა, რომ ქართველი კაცისათვის მაგალითი მიეცა, მისი სამართლებრივი აღზრდისათვის შეეწყოს ხელი; ილიას უნდოდა, რომ ქართველი კაცი ოთარანთ ქვრივივით ჯანსაღი ყოფილიყო სამართლებრივად და ებრძოლა საკუთარი უფლებებისათვის, რადგან სამართლებრივი არსებობა შეუძლებელია უფლებებისათვის ბრძოლის გარეშე.

ოთარანთ ქვრივი მოხუც პეტრესავით გულწრფელი და ალაღმართალია, მაგრამ იგი მასავით გულუბრყვილო როდია, რომ ადვილად ვინმემ მოატყუოს. იგი ფხიზელია და იცის საკუთარი უფლება-მოვალეობანი. ის, იმავე დროს, უშიშარია და ამიტომ, ადვილად ვერავინ დაჩაგრავს.

„გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, — დიამბევი მობრძანდა, სოფ-



ლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაივავლახი დააწია, რომ, ამბობენ, გუ-  
ბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიდეულად დაუსვა მტრ-  
ურდებელს გზირსაო. თუმცა თვითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემო-  
ნარჯოდა მისელა-მოსელაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

„ფული რა არის?! ხელის ქუჩყია... ერთი თუმანი რა სათქმელია! ჯავრი  
რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩავგრი-  
ნე ცოტაა?! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მექახიანო.“

ეს სიტყვები შემთხვევით არ ათქმევინა ავტორმა თავის გმირს. თუკი ჩა-  
ვაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ მეტად ღრმა აზრია ჩამარხული. უფლები-  
სათვის ბრძოლის დროს სამართალდარღვევისგან მიყენებული მატერიალური  
ზარალის ანაზღაურება იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ამით ხდე-  
ბა პიროვნების გათელილი უფლების აღდგენა. საქმე ეხება არა მატერიალური  
ზარალის ოდენობას, არამედ პიროვნების სამართლებრივ არსებობას. საქმე რომ  
მართო მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ეხებოდეს, მაშინ ამ ზარალის ასა-  
ნაზღაურებლად ზედმეტი ხარჯის გაწევა უკვე გაუმართლებელი იქნებოდა (რ.  
იერიანი). ერთი ქათმის წართმევით გზირმა ოთარაანთ ქვრივის პიროვნების სა-  
მართლებრივი არსებობა ხელკყო, ხოლო ეს სიკეთე მატერიალური საზომით  
ვერ გაიზომება. ეს არის ოთარაანთ ქვრივის მთელი სამართლის ფილოსოფია.  
სწორედ ამიტომ არის, რომ იგი ერთი თუმნის დახარჯვას არაფრად აგდებს და  
ამბობს: „ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ  
არ დავეჩავგრინე ცოტაა?!“

ოთარაანთ ქვრივი ამავე დროს სამართლიანი აღამიანია. მან კარგად იცის,  
რომ უფლება მოვალეობის გარეშე არ არსებობს. ის არა მართო თავისი უფ-  
ლებისათვის შეურიგებელი მებრძოლია, არამედ პირნათლად ასრულებს მასზე  
დაკისრებულ მოვალეობებსაც. ამიტომ არის, რომ იგი „არც სხვისას შეირჩენს  
და არც თავისას შეარჩენს სხვას“.

მაგრამ ჯანსაღი მართლშეგნება მართო გარეგან ურთიერთობებში, სხვა ადა-  
მიანებთან დამოკიდებულებაში როდი ვლინდება და მოითხოვს წესრიგის დამ-  
ყარებას. იგი შინაგან წესრიგსაც და შრომის სიყვარულსაც გულისხმობს. ოთა-  
რაანთ ქვრივი ამ მხრივაც სანიმუშოა. იგი „მთელი დღე ციბრუტივით ტრია-  
ლებს ოჯახში იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგება“, რადგან  
კარგად აქვს შეგნებული, რომ „თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუ-  
ხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

დამახასიათებელია, რომ ოთარაანთ ქვრივი თავის ხელით ბარავს და თოხ-  
ნის, თვითონვე მარგლავს ბალ-ბოსტანს და მოჰყავს მოსავალი; თუმცა, ამის გამო  
დიდი მითქმა-მოთქმა ყოფილა, ვის გაუგონია დედაკაცის ხელში ბარიო, მაგრამ  
ოთარაანთ ქვრივი ამ ლაპარაკს არად აგდებდა. „მითამ მე რითა ვარ ნაკლები  
იმ დამპალ გოგიაზედ! — ამბობდა ის ამის გამო — თუ იმასა ჰშვენის ბარი და  
თოხნი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ, რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე  
დედაკაცი, მითამ ჩემზედ წინ რით არის?“

ეს სიტყვები დღეს მკითხველს შეიძლება ანაქრონიზმიდაც მოეჩვენოს, მაგ-  
რამ ასი წლის წინ, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა, ქალის ემანსიპაციის იდეა,  
დედაკაცისა და მამაკაცის სამართლებრივი გათანაბრება, ჯერ კიდევ არ იყო  
დამკვიდრებული და განხორციელებული ცხოვრებაში. ამიტომ, ოთარაანთ ქვრი-  
ვის ქცევა, იმდროინდელი თვალთ თუ შეგხედავთ, მაღალი მართლშეგნების  
გამოვლინებაა.



ოთარაანთ ქვრივს ეზო-გარემოსა და სახლში იდეალური წესრიგი ჰქონდა დამყარებული. ამ მხრივ, ის ლუარსაბ თათქარიძის სრული ანტიპოდი იქნა. „კაცია ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“, სამართლებრივი თვალსაზრისით თუ შევადვასებთ ერთსა და იმავე საგანს უტრიალებენ. მე მეჩვენება, რომ ორივე ნაწარმოები ერთი მედლის ორ მხარეს განოხატავს. პირველ მათგანში მწერალი გვეუბნება, თუ როგორი არ უნდა იყოს ქართველი კაცი, ხოლო მეორეში გვიმტკიცებს, როგორი უნდა იყოს ის. ამიტომ, ურიგო არ იქნება, თუ აქ შევეცდებით მოკლედ გავაკეთოთ ამ ნაწარმოებთა შედარებითი ანალიზი.

ოთარაანთ ქვრივის პიროვნება სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენ უკვე დაეხასიათეთ. ამიტომ, რაც უკვე ვთქვით, იმას აღარ გავიმეორებთ. და აქ პირდაპირ შევუდგები ლუარსაბის პიროვნების მოკლე დახასიათებას. თუ ოთარაანთ ქვრივი, როგორც უკვე ვთქვით, მაღალი მართლშეგნების ადამიანია, ლუარსაბ თათქარიძის მართლშეგნებაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი. იგი არა მარტო გონებაშეზღუდული, განუვითარებელი და ელემენტარულ წიგნიერებას მოკლებული კაცია, არამედ საოცრად უნებისყოფიც არის. მან საერთოდ არ იცის რა არის შრომა. თუ ოთარაანთ ქვრივს შრომის დიდი სიყვარული და უნარი გააჩნია და ერთ წუთს უსაქმოდ ვერ ნახავთ, ლუარსაბი, პირიქით, დღე და ღამ ტახტზე გორაობას და ძილს უნდება და მთლიანად ყმა-ვლენების შრომის ხარჯზე ცხოვრობს.

ოთარაანთ ქვრივს მწარე ენა ჰქონდა, სოფელში იმისი ყველას ერიდებოდა, ბევრს ეშინოდა კიდევ. სოფელში შეგგუფული ხალხი როგორც კი გზად მიმავალ ოთარაანთ ქვრივს შენიშნავდა, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებოდა. „თითქოს ალაღმა დაჰქროლა წიწილებსაო“. „ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე“.

მაგრამ იგი ამას აკეთებდა კეთილი ზრახვით, საქმიანად, სხვისი გაკენწვლისა და საყვედურის დროს ოთარაანთ ქვრივს პირადი, ეგოისტური მისწრაფებანი როდი ამოძრავებდა. ყველაფერ ამას ის იმისთვის აკეთებდა, რომ სხვისი პიროვნული ნაკლი აღმოეფხვრა, სიზარმაცე გაეკიცხა და ადამიანებში გარჯისა და შრომის სიყვარული დაეთესა, რომ ისინი სხვისი სარჩენი, სხვისი ხელში შემყურენი არ ყოფილიყვნენ.

ლუარსაბმაც და დარეჯანმაც იცოდნენ ბიჭების „დაწიოკება“. მაგრამ ამ „დაწიოკების“ აზრი სულ სხვა იყო, კნეინა დარეჯანი „იქ მუჯღუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირბლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა, ძონტებში გახვეულს პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელს გაქონილს შანდალსა; აქ იმას ვაუწყებოდა — რაზედ? თვითონ კნეინამაც არ იცოდა — რაზედ“ და „შ. აი, როგორ ესმოდა ლუარსაბს ბიჭების „დაწიოკების“ აზრი და მნიშვნელობა: — „გლებკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონით. — იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარე დღეს ეშინოდეს. თორემ, ღოჯის მებენარასავით რომ გლებკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებო. მაშ შიში შეიქმს სიყვარულსაო“.

ყველაზე მეტად მაინც ლუარსაბისა და ოთარაანთ ქვრივის ხასიათების დაპირისპირება მათი ეზოებისა და სახლ-კარის აღწერით ვლინდება. ვის არ ახსოვს ლუარსაბის ეზოს აღწერილობა, ვინ არ მოხიბლულა ილიასეული დიდებული შედარებით, რომლითაც იგი ლუარსაბის ეზოს სავალალო მდგომარე-



ობას, რომ იტყვიან, ერთი კალმის მოსმით გვიხატავს: „შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“. ასევე დაუფიქსარია ის ადგილი, სადაც ეზოში არსებული სხვადასხვა ნაგებობის აღწერაა მოცემული: „ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო“ და სხვ. სურათი სრული მაინც არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ იმასაც, რომ ეზოს გარშემო ერთყა ტყრუშული ღობე, რომელიც აქეთ-იქით გადაქცეულიყო. მაგრამ „ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..“ ამ სიტყვებს ჩვენ ვერაფერს დავემატებთ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ყველაფერი ნათელია.

ასეთივე არასასიამოვნო სურათს ვნახავთ, თუ ახლა სახლში ვეწვევით თავად თათქარიძეს. იატაკი აგურისაა, მაგრამ აგურები შიგდაშიგ ამოყრილია და „იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა“. ოთახს თუმცაღა ორი დიდი ფანჯარა აქვს, მაგრამ ფიჭვის ჩარჩოებზეც მინის მაგივრად გაქონილი ქალაქი გაუკრავთ და ის აბნელებს.

ახლა ვნახოთ როგორ არის აღწერილი ოთარაანთ ქვრივის ეზო-კარი: „ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლუხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშული ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული... კაცის თვალს ეამებოდა, რომ ეს ეზო ენახა“.

თუ ახლა სახლში ვეწვევით ოთარაანთ ქვრივს, ვნახავთ, რომ მისი სახლის შინაგანი წესრიგი და მოწყობილობა სრულიად გაგვიქარწყლებს ლუარსაბის სახლში ყოფნით მიღებულ უსიამოვნო განწყობილებას. „სახლში რომ შესულიყავით, — წერს ილია — ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა, თარო ჩრდილოს მთლიან კედელზედ თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩაშჩა, ქაფქირი ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიკვირებიან მაღლიდან, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ“.

ერთი სიტყვით, ოთარაანთ ქვრივის ეზო-კარი იდეალურად არის მოვლილ-დაწმენდილი. საიდანაც ჩანს, რომ მისი პატრონი გამრჯე, მშრომელი ადამიანია. ამ ნაწარმოებთა შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორს მათი წერის დროს ერთი აზრი უტრიალებდა თავში — ქართველი კაცის სამართლებრივი აღზრდისათვის ზრუნვა, მისთვის ხელის შეწყობა. როგორც ვიცით, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია ადამიანის“ შექმნიდან ოცდაშვიდი წლის შემდეგ დაიწერა, რაც იმას მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძისთვის ეს იდეა მუდმივი ზრუნვისა და ფიქრის საგანი იყო.

„ოთარაანთ ქვრივის“ სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვა სრული არ იქნება, თუ კიდევ ერთ დეტალს არ მივაქცევთ ყურადღებას. საქმე ის არის, რომ ოთარაანთ ქვრივი თავის მოწინააღმდეგეს კლასობრივი თვალსაზრისით კი არ უპირისპირდება და ტყეში კი არ გარბის კაკო ყაჩაღივით, არამედ ის თავის „დამჩაგვრელს“ გუბერნატორთან და ხელმწიფესთან უჩივის. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღიარებს არსებულ სახელმწიფოს და სამართალს თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეებით. სწორედ ამას გულისხმობდა კ. ჩხეიძე, როცა ილიას



ცხადარს საყვედურით მიმართავდა, რომ იგი იყო „თანამედროვე საქართველო-  
დობრივი პრინციპის მომხრე“. თუმცა ამაში სასაყვედურო არაფერი არაფერი  
საყვედური შეეძლო გამოეთქვა სოციალისტ კ. ჩხეიძეს, რომელიც ნიპილისტუ-  
რად იყო განწყობილი საზოგადოდ სახელმწიფოსა და სამართლის მიმართ. ილია  
კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა სამართლებრივ ნიპილიზმს.

3.


ილია ჭავჭავაძე არა მარტო სიტყვით იბრძოდა სამართლებრივი ნიპილიზ-  
მის წინააღმდეგ, არამედ ის საქმიანაც ცდილობდა გაეგრძელებინა ხალხში უფ-  
ლებისათვის ბრძოლის იდეა, რათა სამართლისათვის პატივისცემა ქართველი  
კაცის სასიცოცხლო მოთხოვნილებად ექცია. შემთხვევითი არ უნდა იყოს  
ხალხში გავრცელებული ერთი ამბავი, რომელიც ილიას ცხოვრებას უკავშირ-  
დება. მწერალი თურმე მატარებლის ბილეთს ყიდულობდა, მოლარეს ხურდა არ  
აღმოაჩნდა. ის სალაროსთან დადგა და ხურდის მოლოდინში ფეხს არ იცვლი-  
და. ამ დროს გვერდზე მყოფმა უთხრა. — ბატონო ილია, თუ არ ვიჩქარეთ,  
მატარებელი გაგვასწრებს და, არათუ ხურდას დაეკარგავთ, ბილეთები სულაც  
გაგვიუქმდებათ! ამაზე ილიას უპასუხია: სჯობს მატარებელმა გაგვასწროს, ხურ-  
დაც დაეკარგოს და ბილეთებიც გაგვიუქმდეს, ვიდრე ეს მოლარე გაწუწუ-  
დეს და სხვის ჯიბეში ზელის ფათურს დაეჩვიოსო. ვფიქრობ. ამ მსჯელობას  
დღესაც არ დაუეარგავს თავისი მნიშვნელობა. ქართველი კაცის ზღვარდაუ-  
დებელი სამართლებრივი ნიპილიზმი დღესაც ნიადაგ ბრძოლას მოითხოვს.

იაკობ მანსვეტაშვილს თავის ცნობილ „მოგონებაში“ ერთი მეტად საყუ-  
რადდებო ამბავი აქვს აღწერილი. ერთხელ თურმე, ილიას ვენახის ღობე ვილაც  
ახლაგაზრდამ „გადალახა“. ილიამ მოურავს უთხრა, ის ბიჭი ახლავე აქ მომგვა-  
რეო. როცა ბიჭი მოუყვანეს, მოითხოვა მისთვის ჩოხა გუნებადო. ბიჭმა თავისი  
დანაშაული აღიარა და ბოდიში მოიხადა, მაპატიეთ, მეჩქარებოდაო.

„პატიება რას მიქვია! — უპასუხა ამაზე მწერალმა — ბიჭო, რამდენჯერ  
მითქვამს თქვენთვის, გაუფრთხილდით სხვის ქონებას ისე, როგორც თქვენსას.  
აბა შენთვის გადაეტეხნათ ღობე, მგონი, თავსა და პირს დაამტვრევდი, მე ჩემ-  
თვის კი არ ვლაპარაკობ, თქვენ მინდა ჭკუა გასწავლოთ. მე მალე შევაკეთებ  
ღობეს, მაგრამ ეგ რომ შენ ხელმოკლე მეზობელს უყო, იმან რაღა ქნას? მინამ  
ის შეაკეთებს, შეესევინა ღორები, ძაღლი, ქათამი და სულ ააოხრებენ. რაც კი  
აბადია, მერე შენ აუნაზღაურებ ზარალს? აბა ემაგითი ხართ დალუპულები,  
რომ სხვისი დაზოგვა არ იცით, არ უფრთხილდებით, მე კი ჩემი ავისრულოვო  
და სხვები ფეხებზე მკიდიაო“ (ი. მანსვეტაშვილი, 1936, გვ. 139). საბოლოოდ  
ილიამ ბიჭს ჩოხა დაუბრუნა და გაუშვა. ამ ეპიზოდის კარგად ჩანს, რამდენს  
ზრუნავდა ილია ხალხის სამართლებრივი აღზრდისათვის. ეტყობა, მწერალი შემ-  
თხვევას არ უშვებდა, რათა პრაქტიკულად განხორციელებინა ის იდეები, რომ-  
ლებსაც იგი თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში ქადაგებდა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ვთქვით, „თანამედროვე სახელმწიფოებრივი  
პრინციპის მომხრე“, ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური მოღვაწე იყო.  
ამიტომ მას მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე მეტად მწვავე პოლემიკა ჰქონდა  
გამართული ახლადგამოჩეკილ ქართველ სოციალისტებთან, რომლებიც ილიას





ვერც ნიჭით, ვერც განათლებით და პოლემიკის უნარით ვერ შეედრებოდნენ თუ ამას დაეუმატებ იმასაც, რომ მათი პოზიცია პრინციპულად უსამართლო, და ამიტომ, წამგებიათ იყო, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ ისინი ისეთ გამოცდილ პოლემისტთან გაპაექრების დროს, როგორც ილია ჭავჭავაძე გახლდათ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ ილიას მხარეს იყო, წლების მანძილზე გამუდმებულმა კამათმა საბოლოოდ მაინც მისთვის არასახარბიელო სახე მიიღო და დამთავრდა ჟურნალ „მოგზაურის“ (1905, № 13) ფურცლებზე დაბეჭდილი საქმაოდ განმარტებული პუბლიკაციით, რომელმაც ტრაგიკული როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის პირად ცნოვრებაში. ვინმე ვასილ ნაცვლიშვილის ამ ცილისმწამებლურ პასკვილს აშკარად პოლიტიკური სუნი უდიოდა, რომელსაც როგორც ცნობილია, უნდა მოემზადებინა ერის სულიერი მამის მკვლელობა.

ამ პასკვილის თანახმად, ილია ჭავჭავაძე იყო თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი, სასტიკი მებატონე და გლეხების მწვალებელი. ამით უბირი ხალხი ადვილად დაარწმუნეს, რომ, რაც აქ ეწერა, ყველაფერი სრული სიმართლე იყო. ხალხი მოატყუეს, გააბრიყვეს და ადვილად განახორციელეს თავისი ზნელი ზრახვები. ამ პასკვილის დახმარებით გამოჩენილი მწერალი, იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე უბრალო, ჩვეულებრივ, მაგრამ სასტიკ და გულჭკვა მებატონემდე ჩამოაჭვეითეს, რათა გაადვილებულიყო მწერლის მკვლელობა და ხალხის რისხვისაგან თავი ადვილად დაეღწიათ. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ხალხის დაბალი მართლშეგნების წყალობით, რამაც მეტად საშიში სამართლებრივი ნიჰილიზმი დაბადა, ის სამართლებრივი ნიჰილიზმი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა. სამწუხაროდ, ილიას მკვლელობის შემდეგ სამართლებრივი ნიჰილიზმი ჩვენში ისე გაძლიერდა, რომ მას აღამიანთა სულ ახალი და უფრო შეუნიღბავი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა 20-იან, 30-იან და მომდევნო წლებში. ამიტომ, „მოგზაურის“ აქ დასახელებული პუბლიკაციის ნამდვილი არსის გარკვევა და ხალხის გათვითცნობიერება ამ საკითხში თითქმის შეუძლებელი გახდა. ილიას მკვლელობაც მეფის „ოხრანკას“ გადაბრალდა და დიდხანს ამ საკითხს ტაბუ დაედო.

უკანასკნელი წლების ჩვენი პოლიტიკური ცნოვრების ლიბერალიზაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა ილიას მკვლელობის ფაქტის ახლებური განალიზება და „ოხრანკის“ ვერსიისადმი კრიტიკული მიდგომა. თანდათანობით წინ წამოიწია მანამდე ტაბუდადებულმა ვერსიამ, რომ საუკუნის მკვლელობა სოციალ-დემოკრატების ჩადენილი უნდა იყოს. თუმცა, კომისიამ, რომელიც ამ საკითხის გასარკვევად ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა, ბევრი ვერაფერი ვააკეთა ამ მხრივ. კომისიას ბევრი ხელშემშლელი გარემოება ეღობებოდა წინ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო დრომდე ჯერ კიდევ საქმაოდ ძლიერი იყო ჩვენში კონსერვატორულად განწყობილი ძალები, რომლებიც სხვადასხვა მოტივით ცდილობდნენ გადაერჩინათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესტიჟი. კომისიამ საბოლოოდ თავისი მუშაობა ვერ დაამთავრა. უკანასკნელი წლების პოლიტიკური მოვლენების შემდეგ ამ კომისიის არსებობა აღარავის გახსენებია. ასე რომ, სამართლებრივი ნიჰილიზმი კვლავ ძალაშია.




ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ფაქტის სრულყოფილ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის პიროვნების რეაბილიტაციისათვის, მისი შემოქმედებით დადგენილი ღირსების აღდგენისათვის ხალხის თვალში, რომელსაც ყურნალ „მოგზაურის“ ზემო დასახელებულ პასკვილის გამოქვეყნებით დაედო სათავე. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ის ბრალდება, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობს ხალხის ფართო ფენებში, თითქოს ილია ისეთი სასტიკი იყო, რომ წყალსაც არ აძლევდა გლეხებს, სწორედ ამ პუბლიკაციიდან მოდის. მახსოვს, ჩემი სტუდენტობის დროს, ერთი ლექტორი გვიმტკიცებდა, თითქოს ილია წყალს ამიტომ არ აძლევდა გლეხებს, რომ მათთვის შრომა შეეყვარებინა, იშრომეთ, გამოიყვანეთ წყალი და გექნებათ!

დღეს ბევრმა ინტელიგენციის წრებიდანაც კი, ვისაც უშუალო კავშირი არ ჰქონია ამ საკითხთან, ისიც კი არ იცის, რომ ილიამ „მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილ საუკუნის ცილისწამებას მეტად ვრცელი და ძლიერ დასაბუთებული პასუხი გასცა. ეს პასუხი, თუ არ ვცდები, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ყველა გამოცემაშია შესული. რაც შეეხება „მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პასკვილს, რომლითაც ილიას მიმართ გაუგონარი ცილისწამება გავრცელდა, ის დიდხანია რაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და დღევანდელი მკითხველისთვის მხოლოდ არქივის მეშვეობით არის ხელმისაწვდომი.

იბადება კითხვა: მაშინ რატომ არის, რომ ილიას მიმართ ცილისწამება ასე ფართოდ არის გავრცელებული ხალხში, ხოლო მწერლის მიერ დასაბუთებულ თავის მართლებასზე დღემდე თითქმის არავინ ლაპარაკობს? დავიჯეროთ, რომ მკითხველმა ორივე ნაწარმოები — ბრალდების შემცველიც და ილიას პასუხიც — წაიკითხა, იმსჯელა მათზე, შეაფასა, ილიას არ დაუჯერა, ხოლო პასკვილს დაეყრდნო და ილია ისეთად ჩათვალა, როგორც მასშია გამოხატული? რასაკვირველია, ეს ასე არ გახლავთ. დარწმუნებული ვარ, რომ სპეციალისტთა ვიწრო წრის და საკითხით დაინტერესებულ ორიოდ სხვა პირთა გარდა, ხალხს არც ხსენებული პასკვილი წაუკითხავს და არც ილიას პასუხი, მაშ რა ხდება? საქმე ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოწყებულ ცილისმწამებლურ კამპანიას თავის დროზეც და მომდევნო პერიოდებშიც — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოფიციალურმა წრეებმა ძლიერი პროპაგანდა გაუწიეს ხალხის ფართო ფენებში. ამას ემატებოდა აგრეთვე ისეთი ფორმალური მომენტი, როგორც არის, მაგალითად, ილიას თავადიშვილური წარმოშობა და ის, რომ იგი მემამულე იყო. თანაც ამ პროპაგანდას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. ხალხი კი უმეტესად ისეთია, რომ როგორც მზესუმზირა უმზერს სულ მუდამ მზეს, ისიც მუდამ ხელისუფლებისკენ იყურება და ბრმად სჯერა მისი ნათქვამი.

ილიასადმი ცილისწამების გავრცელებას, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღნიშნული პასკვილი „მოგზაურიდან“ გაზეთმა „ივერიამ“ ავტორის დაუკითხავად გადმობეჭდა იმისათვის, „თითონ თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენტის შინაარსის უსაფუძვლოებას დაგვიმტკიცებსო“, ილია ამის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამდა და გულისტკივილით ამბობდა, რომ ამით რედაქციამ „ხელი მოუმართა ავტორს გაეგრცვლებინა საძაგელი მოთხრობა“.






რაც შეეხება ილიას პასუხს, თუმცა ის ქვეყნდებოდა ჩვენს დროში, მწერლის თხზულებათა სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ მას ისევ სპეციალური ვიწრო წრე კითხულობდა და ილიას თავის მართლება მკითხველთა ფართო ფენებამდე მაინც ვერ აღწევდა. ასეა თუ ისე, ილიას პასუხს ქართველმა საზოგადოებრიობამ საჭირო პროპაგანდა ხალხში ვერ გაუწია.

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ილია პასუხში ისეთ საკითხებზე მსჯელობდა, რომლებზე წერაც ბოლშევიკების ბატონობის დროს გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. ილია აქ გამოდის კერძო საკუთრების დამცველად, აღიარებს, რომ ის მემამულეა და სხვ. გარდა ამისა, ამ ნაწარმოების მოწონება თავისთავად „მოგზაურის“ პასკვილის დაწუნებას და საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიის კრიტიკას ნიშნავდა, რაც ხელისუფლებას, ცხადია, გაანაწყენებდა და ამიტომ ასეთი ნაწარმოების დაბეჭდვას ვერცერთი ჟურნალის თუ გაზეთის რედაქტორი ვერ იკისრებდა იოლად. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მის პასუხზე მითითებას, თითქმის ვერ შეხვდებით, ანდა მასზე მითითება, უმეტესად, ძალიან ფრთხილად და უმტკივნეულოდ ხდებოდა.

ბოლო წლებში, როცა ამის ერთგვარი პირობები შეიქმნა, თუ არ ვცდები, გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის პასუხია გაანალიზებული (ასეთია, მაგალითად — ა. ბაქრაძის წიგნი „ილია ჭავჭავაძე“), მაგრამ, ვფიქრობ, ეს სრულიადაც არ არის საკმარისი, საჭიროა მკითხველისთვის უფრო ხშირად იწერებოდეს ამ საკითხზე და უფრო ხელმისაწვდომ ბეჭდვით ორგანოებში, იკითხებოდეს ლექციები და სხვ. მახსოვს, ერთხელ, როცა ხალხით სავსე აუდიტორიაში ამ საკითხზე ლექცია წავიკითხე, მსმენელები როგორ პირდაღებული ისმენდნენ მათთვის სრულიად ახალ მასალას და გაკვირვებული მეკითხებოდნენ, განა ილია გლახებს არ აწვალებდა და წყლის აღებას არ უკრძალავდაო?! ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ხალხის გაცნობიერებისა ამ საკითხში მე მესახება თვითონ ილიას პასუხის ცალკე ბროშურად გამოცემა დიდი ტირაჟით და შემდეგ მათი ფართო რეკლამირება. როცა ეს ნაწარმოები ტომეულებში შეაქვთ, მას ფართო მკითხველი ვერ აგნებს და მასზედ ყურადღებას ვეღარ ამახვილებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ზურაბ ნაზუაიძე

## კანონით აკრძალვის ნებადართულობის შესახებ

**დებულება:** „ყველაფერი ის, რაც აკრძალული არ არის კანონით, ნებადართულია“, ახალი არ არის, მაგრამ ის საბჭოეთში „გარდაქმნის“ კურსის შესაბამისად კვლავ იქნა აღორძინებული. ამ პრინციპს უკვე რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა<sup>1</sup>, მაგრამ არც ერთ მათგანში დასმული არ არის ამ პრინციპის ზოგად-მეთოდოლოგიური და ლოგიკური დასაბუთების პრობლემა, რომელიც ფრიად აქტუალურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღნიშნული პრინციპი უკვე გამოჩნდა საქართველოს რესპუბლიკის პრესის ფურცლებზეც. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი განხილვა როგორც სამართლის სისტემაში მისი მოქმედების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ისე ლოგიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

პირველ რიგში, შევვხებით სამართლის სისტემაში აღნიშნული პრინციპის მოქმედების შესაძლებლობის პრობლემას, მართლაც, ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც დანაშაულის ჩამდენი პირის (დანაშაულის სუბიექტის) მიმალვის ამკრძალავი იქნებოდა. დანაშაულის სუბიექტს ფაქტობრივი ვითარების მიხედვით შეუძლია გააყეთოს არჩევანი; დაემალოს გამოძიებას ან სასამართლოს, ან გამოცხადდეს ამ ორგანოებში ბრალის აღიარებით ან უამისოდ. მაგრამ ის სამართლებრივად არ არის ვალდებული გამოცხადდეს აღნიშნულ ორგანოებში, ეს იმიტომ, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა სისხლის სამართლის ნორმით პირდაპირ არ არის აკრძალული. შემთხვევითი როდია, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა არ შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს. დანაშაულის სუბიექტის მიმალვას აქვს მხოლოდ ერთი სამართლებრივი შედეგი: ის იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის შეჩერებას.

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ სისხლის სამართლის ნორმათა სისტემაში მართლაც არ არის ნორმა, რომელიც დანაშაულის სუბიექტის მიმალვას აკრძალავდა. აქედან გამომდინარე, თუ სწორია დებულება, რომ კანონით აუკრძალავი ამავე დროს ნებადართულია, მაშინ დანაშაულის სუბი-

<sup>1</sup> Н. И. Матузов, О принципе «Все незапрещенное законом, дозволено». «Советское государство и право», 1989, № 8, Н. М. Кропачев, Действие принципа «гражданину дозволено все, что не запрещено законом» в сфере уголовного-правового регулирования, «Правоведение», 1991, № 3.



ექტს, რაკი გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან მიმალვა არ ეკრძალებოდა, მიმალვის ნებართვა უნდა ეძლეოდა. ცხადია, აქ იგულისხმება მიმალვის იურიდიული უფლება. ისმის კითხვა: რაკი დანაშაულის სუბიექტს გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალვა იურიდიულად არ ეკრძალება, ამიტომ ეძლევა თუ არა მას მიმალვის იურიდიული უფლება? ამ კითხვაზე პასუხი, რასაკვირველია, უარყოფითი იქნება. ამის დასაბუთებისათვის ისიც საკმარისი იქნებოდა, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შეჩერებას. მაგრამ საკითხის ნათელყოფა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. სახელდობრ, ენიჭება თუ არა დანაშაულის სუბიექტს რაიმე სისხლისსამართლებრივი უფლება? ამ კითხვაზე პასუხი გვიჩვენებს იმას, სისხლისსამართლებრივად წესრიგდება თუ არა დანაშაულის ჩადენის შემდგომი ვითარება, რომელშიც დანაშაულის სუბიექტი იმყოფება. ამ საკითხის ნათელსაყოფად კი უნდა მივმართოთ სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობას.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს სისხლის სამართალში ე. წ. წამახალისებელი ნორმების სისტემა, რომელიც საგანგებო მსჯელობას მოითხოვს. მაგალითად, დანაშაულის სუბიექტს შეუძლია ნებაყოფლობით დაფაროს მის მიერ ჩადენილი დანაშაულით საზოგადოებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, გამოსაწოროს მიყენებული ზიანი, თავიდან აიცილოს დანაშაულის შესაძლო მძიმე შედეგები და ა. შ. წამახალისებელი ნორმის ბუნება ისეთია, რომ ის დანაშაულის სუბიექტს მოუწოდებს ხოლმე გარკვეული დადებითი მოქმედებებისაკენ ამ უკანასკნელთა შესრულებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან პასუხისმგებლობის შემსუბუქების წინასწარი დაპირებით. მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარება და ა. შ. წამახალისებელი ნორმებია.

როგორც ვხედავთ, დანაშაულის ჩამდენი პირის შემდგომი შესაძლო მოქმედება გათვალისწინებულია ზოგიერთი წამახალისებელი ნორმით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წამახალისებელი ნორმა სისხლის სამართალში აწესრიგებს რაიმე საზოგადოებრივ ურთიერთობას, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოურ კრიმინალისტს წარმოუდგენია. მაგალითად, რ. საბიტოვი, როცა განიხილავს დანაშაულის სუბიექტის ქცევას მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, ანუ პოსტკრიმინალურ ქცევას, წერს: „პოსტკრიმინალური ქცევა — ეს ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც ქმნის განსაზღვრულ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს“<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ ელემენტებად მიჩნეულია სამართლის სუბიექტის უფლება-მოვალეობანი. იგივე იქნება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასაც, თუმცა მას თავისი სპეციფიკა აქვს, თუ ამ მიმართებით რ. საბიტოვი დანაშაულის სუბიექტის მოვალეობას გულისხმობს, მაშინ წამახალისებელ ნორმაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. მაგრამ ავტორი თვითონვე წერს, რომ წამახალისებელი ნორმის თანახმად, „დანაშაულის ჩამდენი პირი იურიდიულად არ არის ვალდებული და იძულებული წახალისებულ მოქმედებათა ჩადენისაკენ და, მაშასადამე, აღნიშ-

<sup>2</sup> Р. А. Сабитов, Квалификация посткриминального поведения. «Проблемы охраны прав и законных интересов личности в социалистическом уголовном праве и процессе», Ярославль, с. 127.





ნულ მოქმედებათა შეუსრულებლობა მისთვის არახელსაყრელ სისხლისსამართლებრივ შედეგებს არ იწვევს<sup>3</sup>, მაშასადამე, პოსტკრიმინალური სუბიექტით წარმოქმნილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტად დანაშაულის სუბიექტის სისხლისსამართლებრივი მოვალეობა ვერ ჩაითვლება. რჩება ერთი გამოსავალი: ვაღიაროთ, რომ აღნიშნული ასპექტით წარმოქმნილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტია დანაშაულის სუბიექტის სისხლისსამართლებრივი უფლება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ წამახალისებელი ნორმები დანაშაულის სუბიექტის იურიდიულ უფლებებს გამოხატავენ. ამ მოსაზრებას პირდაპირ გამოთქვამს ვ. ელეონოვსკი. მისი აზრით, სისხლის სამართალში წამახალისებელი ნორმებით „სუბიექტებს აკუთვნებენ ამა თუ იმ აქტიური მოქმედების უფლებას“<sup>4</sup>.

ამრიგად, აღნიშნულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ სისხლის სამართლის სფეროში წამახალისებელი ნორმები დანაშაულის სუბიექტის იურიდიულ უფლებებს გამოხატავენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. სამწუხაროა, რომ აქ ერთმანეთისაგან არ არის განსხვავებული სამართლის სუბიექტის ფაქტობრივი და იურიდიული შესაძლებლობა. ფაქტობრივი ვითარების მიხედვით, დანაშაულის სუბიექტს მართლაც აქვს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი: მიმალოს, ან გამოცხადდეს მართლმსაჯულების ორგანოებში. მაგრამ თუ აქ ფაქტობრივ და იურიდიულ შესაძლებლობას გავიგივებთ, მაშინ გამოვა, რომ დანაშაულის სუბიექტს მიმალვის იურიდიული შესაძლებლობა ანუ უფლება აქვს, ეს დასკვნა კი არსებითად სწორი არ არის. არ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის სუბიექტს მიმალვის ნებართვა ეძლევა. იურიდიულად ნონსენსი იქნებოდა იმის დაშვება, რომ დანაშაულის სუბიექტს მიმალვის იურიდიული უფლება აქვს, ჯერ ერთი, წამახალისებელი ნორმები დანაშაულის სუბიექტის იურიდიულ შესაძლებლობას კი არ გამოხატავენ, არამედ მის მხოლოდ ფაქტობრივ შესაძლებლობას, იმოქმედოს წამახალისებელი ნორმების მოწოდების მიხედვით, ვიმეორებთ: წამახალისებელი ნორმების თანახმად, პირს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ფაქტობრივი შესაძლებლობის მიხედვით, ვ. ელეონოვსკი თავადაც აღნიშნავს, რომ „დანაშაულის ჩადენის დამწყებ პირსაც კი შეუძლია შეჩერდეს, გააკეთოს არჩევანი, გადაიფიქროს დანაშაულის ჩადენა“<sup>5</sup>.

რა გამოდის? გამოდის, რომ დანაშაულის ჩამდენ პირსაც აქვს არჩევანი: შეჩერდეს, შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა, ან განაგრძოს იგი. თუ წამახალისებელი ნორმა დანაშაულის სუბიექტის იურიდიულ უფლებას გამოხატავს, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ სუბიექტს აქვს იურიდიული უფლება მოახდინოს არჩევანი: შეწყვიტოს დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობა ან გააგრძელოს იგი. მაშასადამე, სუბიექტს დანაშაულის ჩადენის იურიდიული უფლება ჰქონია, რაკი აქ წამახალისებელი ნორმა სუბიექტის იურიდიული უფლების ანალოგიითაა გავებული. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენა კატეგორიულად არის აკრძალული სისხლის სამართლის კანონით. მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტს არავითარი იური-

<sup>3</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>4</sup> В. А. Елеоновский, Поощрительные нормы уголовного права и их значение в деятельности органов внутренних дел, Хабаровск, 1984, с. 7.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 13.





დიული არჩევანი არა აქვს. ეს იმიტომ, რომ წამახალისებელი ნორმა ვინაიდან იურიდიული უფლების გამოხატულებად ვერ ჩაითვლება.

როგორც მართებულია მიუთითებს პროფ. გ. ინწკირველი, „უფლება ეწოდება სამართლის სუბიექტის შესაძლებლობას სამართლის ნორმის საფუძველზე შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ.)“<sup>6</sup>.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ იურიდიული უფლება არის სამართლის ნორმის საფუძველზე შექმნილი შესაძლებლობა სუბიექტისა, რომელიც იურიდიულად ნებადართულ მოქმედებას ახორციელებს. ს. ალექსეევის სიტყვებით რომ ვთქვათ, სუბიექტური უფლება არის არა უბრალოდ შესაძლებლობა, არამედ შესაძლებლობა, რომელიც ნებადართულია ობიექტური მართლწესრიგით, სახელმწიფოს მიერ<sup>7</sup>.


ამრიგად, იურიდიული უფლება პირის იურიდიულ შესაძლებლობას გამოხატავს, მაშინ, როდესაც წამახალისებელი ნორმა მხოლოდ ფაქტობრივ შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. „ფაქტობრივის“ და „იურიდიულის“ აღრევა უნაშუაშო სოციოლოგიზმის შედეგია, რომელიც დაძლევის მოითხოვს. ვიმეორებთ: იურიდიული უფლება მართლწესრიგითაა ნებადართული. ამიტომ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა იურიდიულად ნებადართული არ არის. მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტის მიმალვა იურიდიულად აკრძალული არ არის. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა ნებადართულია. ცხადი ხდება, რომ დებულება თუ პრინციპი: „ყველაფერი ის, რაც კანონით არ არის აკრძალული, ნებადართულია“; სისხლის სამართლის სფეროში ვერ მართლდება. ამიტომ ის ზოგადსამართლებრივ პრინციპად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ საკითხი უფრო მეტ ნათელყოფას მოითხოვს, სახელდობრ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დანაშაულის შემდგომ ვითარებას სისხლის სამართალი არ აწესრიგებს. მართლაც, როგორც უკვე ითქვა, დანაშაულის ჩამდენი პირის შემდგომი შესაძლო მოქმედება წამახალისებელი ნორმებითაა გათვალისწინებული, ხოლო წამახალისებელი ნორმები სისხლის სამართალში დანაშაულის სუბიექტის იურიდიულ უფლებას არ გამოხატავენ. ამიტომ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართალში დანაშაულის სუბიექტის იურიდიული უფლება არ არსებობს. სისხლის სამართალში არ არის ნორმა, რომელიც დანაშაულის სუბიექტის იურიდიული უფლების გამოხატულება იქნებოდა. მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტი სისხლისსამართლებრივი უფლებამოსილებით არ ხასიათდება.


ისმის კითხვა: ხასიათდება თუ არა დანაშაულის სუბიექტი რაიმე სისხლისსამართლებრივი ვალდებულებით? სისხლის სამართალში დავას არ იწვევს დანაშაულის არჩადენის მოვალეობა, მაგრამ თუ დანაშაულის არჩადენის მოვალეობა დაირღვა და დანაშაული იქნა ჩადენილი, მაშინ საქმე ეხება დანაშაულის სუბიექტს, რომელსაც ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა აგებინონ პასუხი. ცხადია, რომ დანაშაულის სუბიექტზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მართლმსაჯულების ორგანოებს ევალებათ. ამიტომ სრულიად უნიადგაოა საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის

<sup>6</sup> გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1974, გვ. 306.

<sup>7</sup> С. А. Алексеев. Общая теория социалистического права. Курс лекций. 1964, с. 108.







გაბატონებული თვალსაზრისი, რომ დანაშაულის სუბიექტი თითქმის ვალდებულია პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. მაშინ როდესაც დანაშაულის სუბიექტის ამგვარი მოვალეობა შეუძლებელია: დანაშაულის სუბიექტი თავისი თავის დასჯას ვერ განაზორციელებს. ის უნდა დასაჯონ მართლმსაჯულების ორგანოებმა. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ მართლმსაჯულების ორგანოთა მოვალეობა, პასუხი აგებინონ დანაშაულის სუბიექტს ტრადიციულ თვალსაზრისში თავად დანაშაულის სუბიექტზე, დაკისრებული. რაც საქმის ნამდვილი ვითარების თავდაყირა დაყენებას მოასწავებს.

ამრიგად, დანაშაულის სუბიექტი თვითონ კი არ არის ვალდებული თავისთავს აგებინოს პასუხი, როგორც ეს ამ საკითხზე ტრადიციული თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, არამედ მას უნდა აგებინონ პასუხი, ამიტომ დანაშაულის სუბიექტს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო და ფარგლებში არავითარი სისხლისსამართლებრივი მოვალეობა არ ეკისრება, ცხადია, ის კვლავ ვალდებულია არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მაგრამ უკვე ჩადენილის გამო და ფარგლებში ის სისხლისსამართლებრივად არავითარი მოვალეობის სუბიექტი არ არის. ეს დასტურდება თუნდაც იქიდან, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვა სისხლისსამართლებრივად აკრძალული არ არის. მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტი სისხლისსამართლებრივად არ არის ვალდებული გამოცხადდეს მართლმსაჯულების ორგანოებში. წინააღმდეგ შემთხვევაში წამახალისებელი ნორმა, რომელიც დანაშაულის სუბიექტს შესაძლო დადებითი მოქმედებისაკენ მოუწოდებს. შეუძლებელი იქნებოდა.

აქედან ძნელი არ არის იმ დასკვნის გაკეთება, რომ დანაშაულის სუბიექტი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არ არის: ის სისხლისსამართლებრივად არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი. ეს იმასაც ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს სისხლის სამართლის პროცესუალური სამართალი („ბრალდებული“, „განსასჯელი“, „მსჯავრდებული“) და არა სისხლის სამართალი. დანაშაულის ჩადენიდან სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტად გახდომამდე დანაშაულის სუბიექტი იურიდიულად გაურკვეველ ვითარებაში იმყოფება. მეორენაირად რომ ვთქვათ, დანაშაულის სუბიექტის ამ მდგომარეობას სამართლებრივი სტატუსი არა აქვს. ის იურიდიულად დღემდე არ არის კვალიფიცირებული. შემთხვევითი არ არის, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის სუბიექტი ეწოდება. „დანაშაულის სუბიექტი“ კი სამართლებრივად გაურკვეველი, არაინდივიდუალიზებული, აბსტრაქტული „ვილაკაა“, ვინაიდან იურიდიულად გაურკვეველია ის ვითარება, რომელშიც დანაშაულის სუბიექტი იმყოფება. დანაშაულის ჩადენიდან იმ დრომდე, ვიდრე დანაშაულის ჩამდენი პირის პროცესუალური მდგომარეობის დადგენა მოხდება, დანაშაულის სუბიექტის მდგომარეობას, ვიმეორებთ, იურიდიული სტატუსი არა აქვს.

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ დანაშაულის სუბიექტი არც რაიმე სისხლისსამართლებრივი ვალდებულებით ჩასიათდება და არც რაიმე სისხლისსამართლებრივი უფლებამოსილებით (რასაკვირველია, იგულისხმება ჩადენილი დანაშაულის გამო და ფარგლებში). ამიტომაც, რომ გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან დანაშაულის სუბიექტის მიმალვა აკრძალული არ არის, მაგრამ არც ნებადართულია. ამდენად, დებულება, რომ კანონით აუკრძალავი



თითქოს ნებადართულია, სისხლის სამართლის სისტემაში ვერ ჯდება. მაგრამ ეს დასკვნა საქმის ვითარების მხოლოდ ერთ მხარეს ასახავს. მაშინ როდესაც უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ხსენებული პრინციპის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური გამართულობის პრობლემა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა დეონტური ლოგიკის პრობლემატიკა, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია ნორმათა ლოგიკაზე, რომელიც სამართლის მეცნიერებაში ჯერ კიდევ სუსტადაა გამოყენებული. ამ მხრივ, პრეტენზიას ვერც ჩვენ განვაცხადებთ, მაგრამ ამ ნაშრომში დასმული პრობლემატიკის ასპექტით ზოგიერთ პრობლემას მაინც უნდა შევვხვთ.


ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს გამოჩენილი ფინელი ფილოსოფოსი-სა და დეონტური ლოგიკის სპეციალისტის გ. ფონ ვრიტის თვალსაზრისი. ავტორი ეკამათება პ. კელზენის დებულებას, რომ მართლწესრიგი თითქოს თავისებურად ჩაკეტილი სისტემაა: რაიმე აკრძალულია და მაშინ ის სავალდებულოა, ხოლო, ის, რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია. გ. ფონ ვრიტი ამასთან დაკავშირებით წერს: „სამართლის სხვა ფილოსოფოსები, შესაძლოა მათი უმრავლესობაც კი, ამ პოზიციას დამაკმაყოფილებლად არ თვლიან. ისინი ჩვეულებრივ ამტკიცებენ, რომ აკრძალულისა და ნებადართულის გვერდით არის საკმაოდ ბევრი ვითარება, რომელიც საერთოდ არ წესრიგდება ნორმებით და, მაშასადამე, მათ დეონტური და იურიდიული სტატუსი არა აქვთ. ისინი აკრძალული არ არის, მაგრამ არც ნებადართულის შედეგებს წარმოადგენს“<sup>8</sup>.

გასაგები უნდა იყოს, რომ ნათქვამი პირდაპირ ეხება სისხლის სამართალს, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის შემდგომი ვითარება, ვიდრე აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი არ გახდება, სისხლისსამართლებრივად მოწესრიგებული არ არის. მაშასადამე, ამ ვითარებას არც დეონტური სტატუსი აქვს და არც იურიდიული. ამიტომ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს პ. კელზენის დებულება, რომ მართლწესრიგი თავისებურად ჩაკეტილი სისტემაა: ის, რაც აკრძალული არ არის კანონით, ყოველთვის როდია ნებადართული. მაგრამ ამ პრობლემას უადრესად საინტერესო ფილოსოფიური ასპექტიც აქვს. რის გამოც მისი თუნდაც მოკლე განხილვა საჭიროდ მიგვაჩნია. საქმე ეხება ფაქტიდან ნორმაზე გადასვლის პრობლემას. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ აღნიშნული პრობლემა აღწერილობით და შეფასებით — ნორმატულ მსჯელობათა მიმართებას ეხება. გ. ფონ ვრიტი წერს: „ვფიქრობ, ეს დავა ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება გადავჭრათ აღწერილობით და მავალეებელ მსჯელობათა განსხვავების მკაცრი გამოკვლევის გზით. რაიმეს „არარსებობა“ არის აღწერილობითი ცნება“. „აკრძალვის არარსებობა“ ნიშნავს, რომ არ არსებობს ამკრძალავი ნორმა, ისეთი ნორმა, რომლითაც რაიმე განსაზღვრული აკრძალულია. იმის მტკიცება, რომ აკრძალვის არარსებობა ნებადართულის ტოლფასია, — ნიშნავს გამოთქვა მტკიცება ნორმა-გამოთქმის დონეზე; და მე არ ვფიქრობ, რომ ამგვარი მსჯელობა დაამტკიცო ლოგიკური არგუმენტაციების მეშვეობით. კანონში „ნარვეზების“ საკითხი ლოგიკური საკითხი არ არის. ეს უფრო განსაზღვრული „მეტა-ნორმის“ მიღების ან არმიღების საკითხია“<sup>9</sup>.

<sup>8</sup> Г. Х. Фон Вритт, Логико-философские исследования, Избранные труды. М., «Прогресс», 1986, с. 300.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 300.





ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ავტორი ერთმანეთს  
 თისაგან მკვეთრად მიჯნავს აღწერილობით ანუ ფაქტის მსჯელობას და მათგან  
 ბელ-ღირებულებით მსჯელობას, ის, რომ სისხლის სამართალში დანაშაულის  
 სუბიექტის მიმალვის პირდაპირი ამკრძალავი ნორმა არ არსებობს, ფაქტია.  
 ამ ფაქტის გამომთქმელი მსჯელობა არის ფაქტის მსჯელობა. მაგრამ ამ ფაქ-  
 ტიდან, სახელდობრ იქიდან, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვის ამკრძა-  
 ლავი ნორმა არ არსებობს, შეუძლებელია ნორმაზე პირდაპირი ლოგიკური  
 გადასვლა და მტკიცება: დანაშაულის სუბიექტის მიმალვა ნებადართულია.


ამრიგად, ირკვევა, რომ პრინციპი: „რაც ამკრძალული არ არის კანონით,  
 ნებადართულია“, სწორი არ არის, არა მარტო სისხლის სამართლის სფეროში,  
 არამედ საზოგადოდ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ამ პრინციპის მთა-  
 ვარი მეთოდოლოგიური ნაკლი ისაა, რომ ის გვკარნახობს თავისუფლად,  
 პირდაპირი ლოგიკური გზით გადავიდეთ ფაქტიდან ნორმაზე, ამკრძალავი  
 ნორმის არარსებობა ნებადამრთველი ნორმის არსებობად მივიჩნოთ და ამ  
 გზით არსებითად წავშალოთ ზღვარი ფაქტობრივსა და ნორმატულს შორის.  
 ეს კი არსებითად დაუშვებელია, ვინაიდან ეს მიდგომა პირდაპირ აუქმებს  
 არსისა და ჭერარსის მიმართების პრობლემას. მართლაც, თუ ამკრძალავი  
 ნორმის არარსებობის ფაქტიდან პირდაპირი ლოგიკური გზით შეგვიძლია გა-  
 ვაკეთოთ დასკვნა ნებადამრთველი ნორმის არსებობის შესახებ, მაშინ არსი-  
 დან ჭერარსზე გადასვლა პირდაპირი ლოგიკური გზით ყოფილა შესაძლებელი.  
 ამ ლოგიკით კი ჭერარსი არსიდან გამოიყვანება, ხოლო ჭერარსი პირდაპირი  
 ლოგიკური გზით გადადის არსში, მაგრამ ეს არის არსისა და ჭერარსის ერთ-  
 მანეთზე დაყვანა, რაც დაუშვებელია, ვინაიდან იგი არსებითად ხსნის მთელ  
 აქსიოლოგიას, როგორც ღირებულებების ფილოსოფიას, და დეონტურ ლოგი-  
 კას, როგორც ნორმათა ლოგიკას.

სამწუხაროდ, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არის  
 აღმოფხვრილი არსისა და ჭერარსის მიმართების პრობლემატიკაში ბურჟუა-  
 ზიული მეცნიერების ცალმხრივი, არამეცნიერული კრიტიკა, როცა მთელი  
 ყურადღება გადატანილია არსიდან ჭერარსის მოწყვეტის საშიშროებაზე და  
 თითქმის არაფერია ნათქვამი იმ საშიშროებაზე, რასაც არსამდე ჭერარსის  
 დაყვანა იწვევს ხოლმე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოურ იურიდიულ  
 ლიტერატურაში, განსაკუთრებით რუსულენოვან შრომებში, კემმარტი აქსი-  
 ოლოგია დღემდე არ ყოფილა შემოქმედებითად გამოყენებული. არსამდე ჭე-  
 რარსის დაყვანის ტენდენცია იურიდიულ მეცნიერებაში აბატონებს სოციო-  
 ლოგისტურ ტენდენციას, რომელიც „ნორმის“ და „ნორმატულობის“, „იური-  
 დიულის“ და „ღირებულების“ და ა. შ. ცნებათა წინააღმდეგაა მიმართული.  
 ცხადია, ამგვარ მეთოდოლოგიურ ვითარებაში იურიდიული მეცნიერების და-  
 ფუძნება შეუძლებელია.

ამრიგად, ფაქტიდან ნორმაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა ობიექტუ-  
 რად შეუძლებელია. ა. ივინი მართებულად ამტკიცებს, რომ „არის“ და „უნ-  
 დას“ მსჯელობებს შორის პირდაპირი ლოგიკური კავშირის დამყარება დღემდე  
 ვერავინ ვერ შეძლო<sup>10</sup>, „არის“ მსჯელობა არის ფაქტის მსჯელობა. მაგალი-  
 თად, ადამიანი მოკვდავია. ეს არის ფაქტი. მაგრამ ადამიანი „პატიოსანი  
 უნდა იყოს“, ფაქტის მსჯელობა არ არის, ვინაიდან ცხოვრებაში უპატიოსნო

<sup>10</sup> А. А. Ивин, Основание логики оценок. МГУ, 1970, с. 222.





ადამიანებიც არიან და ვიდრე ერთი უპატიოსნო ადამიანი იარსებებს, მუდმივად უნდა ვიხსენებოთ, რომ „ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს“, მუდამ ექნება ღირებულებები და დანიშნულება. თუ ღირებულებით ანუ „უნდას“ მსჯელობას „არის“ ანუ ფაქტის მსჯელობამდე დავიყვანთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „ადამიანი პატიოსანია“, რაც ყველა ადამიანის სიპატიოსნის მტკიცება იქნებოდა. ცხადია, ეს მტკიცება მცდარია. ვინაიდან, როგორც ითქვა, ცხოვრებაში უპატიოსნო ადამიანებიც არიან. მაშასადამე, თუ ყველა ადამიანი პატიოსანია, მაშინ ღირებულებით მსჯელობას, რომ „ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს“, არავითარი აზრი არ ექნება. ეს კი საზოგადოდ ნორმატული სამყაროს სრული გაუქმება იქნებოდა.

გასაგები უნდა იყოს, რომ ფაქტიდან ნორმაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა არ არსებობს. ამაში ჩანს გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებათა თავისებურება: თუ „არის“ მსჯელობა გარესინამდვილისადმი შემეცნებით დამოკიდებულებას გამოხატავს, „უნდას“ მსჯელობა — პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებას. როგორც მართებულად მიუთითებს თ. ჯიოევი, „ღირებულებით-პრაქტიკული დამოკიდებულება არ დაიყვანება თეორიულ დამოკიდებულებაზე: ცნობილია, რომ არ არსებობს ლოგიკურად გამართლებული გადასვლა ობიექტური სინამდვილიდან ღირებულებით ორიენტაციებზე, არსიდან ჯერარსზე“.<sup>11</sup>

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრინციპი, რომლის თანახმად, „ყველაფერი ის, რაც კანონით არ არის აკრძალული, ნებადართულია“, ჯერ ერთი, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის სისტემას. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ სისხლის სამართალში გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან დანაშაულის სუბიექტის მიმალვის პირდაპირი ამკრძალავი ნორმის არარსებობა სამართალში ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. პირიქით, ის განპირობებულია ობიექტური ვითარებით სახელდობრ, ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს თუ განსასჯელს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენებაც კი. ეს განპირობებულია არაბრალეულობის პრეზუმფციის მოქმედებითაც, თუ სისხლის სამართალში დანაშაულის სუბიექტის მიმალვას აკრძალავდით, მაშინ დანაშაულის სუბიექტი ვალდებული იქნებოდა გამოცხადებელიყო მართლმსაჯულების ორგანოებში, რაც წამახალისებელ ნორმებს გააუქმებდა და ამავე დროს დაუპირისპირებოდა სისხლის სამართლის პროცესს, რომლის თანახმად, ბრალდებული თუ განსასჯელი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება. მაშასადამე, იურიდიულად საცხებით სწორი ის, რომ დანაშაულის სუბიექტის მიმალვის ამკრძალავი ნორმა არ არსებობს. მეორეც, კანონით აუკრძალავის ნებადართულობის პრინციპი ეწინააღმდეგება ზოგადმეთოდოლოგიურ წინამძღვრებს, რომელთა თანახმად, რაიმე აკრძალვის არარსებობის ფაქტიდან ნებადართულობაზე პირდაპირი ლოგიკური გზით გადასვლა ობიექტურად შეუძლებელია: არსიდან ჯერარსზე პირდაპირი ლოგიკით გადასვლა უზემი შეცდომაა, ვინაიდან ის ფაქტამდე ნორმის დაყვანის ტენდენციას დაამკვიდრებდა. ეს კი მთელი ნორმატული სისტემის უგულვებელყოფა იქნებოდა, ხოლო ამ გზით კი სამართალიც და სამართლის მეცნიერების არსებობაც გაუგებარი იქნებოდა.

<sup>11</sup> თ. ჯიოევი, კულტურის სტრუქტურა. „კულტურა როგორც ფილოსოფიური კლავის საგანი“, „მეცნიერება“, თბ., 1977, გვ. 78.



ამრიგად, კანონით აუკრძალავის ნებადართულობის პრინციპი, რომელიც ლიტქოს გზას უხსნის პირად გერგილიანობას და ინიციატივას, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი სისტემის კანონიერების რეჟიმის უარყოფა და წმინდა „საქმოსნური“ ფსიქოლოგიის დამკვიდრების მოთხოვნა. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება იდეალის არსებობის წესსა და პირობებს. რაც უნდა ეკონომიკური თავისუფლება თუ ბიზნესი დამკვიდრდეს, ქართველი კაცები მაინც ვერ შეეღებოდა ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს და, მაშასადამე, შიშველი რეალობის ამარა ვერ დარჩება.

ცხადია, ერთ საყურნალო სტატიაში ამ რთული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ აღნიშნული პრინციპი უფრო შეცვლილი ფორმით და განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება მოქმედებდეს ცივილური ციკლის დარგებში. შეიძლება შემდგომი მსჯელობისათვის მივიღოთ პრინციპი: „კანონით აუკრძალავი ყოველთვის როდია ნებადართული“. მაგრამ ზოგადი მეთოდოლოგიური და ლოგიკური პრობლემატიკა აქაც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა სამართლებრივი მოწესრიგების საზღვრების პრობლემაც. კანონით აუკრძალავის ნებადართულობის პრინციპი სამართლებრივი მოწესრიგების სფეროს შესაკვეცადაა გამიზნული. მაგრამ ამ პრინციპის ლოგიკური ანალიზისას, პირიქით, სამართლებრივი მოწესრიგების უსაზღვრობამდე მივდივართ. მართლაც, სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არც არაფერია აკრძალული სამართლებრივად და არც ნებადართული. მაგრამ თუ კანონით აუკრძალავი ამავე დროს ნებადართულია, მაშინ სამართლებრივი ურთიერთობის მიღმა ყოველთვის იგულისხმება ნორმა, რომელიც სამართლებრივად აუკრძალავის ნებადართვას იძლევა. სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ კი ამგვარი აღმჭურველი ნორმის უგულვებელყოფა სამართლებრივი ურთიერთობის უსაზღვრობაზე მეტყველებს, მაშასადამე, კანონით აუკრძალავის ნებადართულობის პრინციპი, რომელიც სამართლებრივი მოწესრიგების სფეროს შესაზღვრდადაა გამიზნული, ლოგიკურ დასასრულამდე მისი მიყვანის შემთხვევაში, სამართლებრივი მოწესრიგების უსასრულობაში გადადის. ესაა ერთი უკიდურესობის მეორეში გადასვლის ცნობილი ფილოსოფიური პრინციპი, რომელიც აქაც უნდა მივიღოთ მხედველობაში.



პაატა ცნობილამა

## კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა

პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ საქართველოში, სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ისეთი განსაკუთრებული ორგანოს შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ კონსტიტუციის დაცვაზე კონტროლის განხორციელებას.

ამ საკითხის გადასაწყვეტად საგულისხმო მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციური კონტროლსა და კონსტიტუციურ ზედამხედველობას შორის თანაფარდობის დადგენას.

ეს წერილი, ბუნებრივია პრეტენზიას არ აცხადებს კონსტიტუციური კონტროლისა და კონსტიტუციური ზედამხედველობის ურთიერთობათა პრობლემების ყოველმხრივ გამოკვლევაზე. მისი მიზანია ამ ორ ცნებას შორის განსხვავებების დადგენა.

განსხვავება კონსტიტუციურ კონტროლსა და კონსტიტუციურ ზედამხედველობას შორის განპირობებულია უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების უზენაესობის პრინციპით. თითქმის ყველა სახელმწიფოში, და მათ შორის საქართველოშიც, ეს პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს ეკუთვნის უმაღლესი საკანონმდებლო ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ხელისუფლება. კონტროლის უზენაესობა, რომელსაც ახორციელებს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, მდგომარეობს იმაში, რომ ეს კონტროლი შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ, მათ შორის, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოზეც.

კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს უზენაესობა გამოიხატება იმაში, რომ ის თვითონ განსაზღვრავს თავის მაკონტროლებელ უფლებამოსილებას უზენაესი მაკონტროლებელი საქმიანობის ამ სფეროში, თვითონ გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება რაიმე აქტის კონსტიტუციურობის შესახებ და იღებს ზომებს დაშვებული კონსტიტუციური დარღვევის გამოსასწორებლად: შეაქვს ცვლილებები კანონში, აუქმებს მას, ცვლის ან დამატებები შეაქვს კონსტიტუციაში. მის გარდა არავის არა აქვს უფლება იკისროს ამ ფუნქციის განხორციელება. კონსტიტუციური კონტროლი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს განსაკუთრებული პრეროგატივაა, ისევე როგორც საკანონმდებლო საქმიანობა.



ამასთან ერთად, კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებასა და კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებისათვის შეიძლება სპეციალური ორგანო კონსტიტუციის დაცვაზე ზედამხედველობისათვის. ამ ორგანოს არა აქვს უფლება თავის თავზე აიღოს კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია, რამდენადაც ეს მოასწავებდა უმალესი წარმომადგენლობითი ორგანოს უზენაესობის პრინციპის დარღვევას. მაგრამ მას შეუძლია კონსტიტუციური დარღვევის შემთხვევაში აცნობოს თავისი არგუმენტირებული მოსაზრება ამ საკითხზე კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს, რომელსაც, და მხოლოდ მას, თავისი უზენაესობის ძალით შეუძლია აღკვეთოს დაშვებული შეცდომა. სპეციალური ორგანოს ასეთი საქმიანობა შეადგენს კიდევ კონსტიტუციურ ზედამხედველობას.

ამრიგად, კონსტიტუციურ კონტროლსა და კონსტიტუციურ ზედამხედველობას გააჩნია საერთო მიზანი და შინაარსი — კონსტიტუციური კანონიერების დაცვა კონსტიტუციური ნორმების რეალიზაციის პროცესში. მაგრამ ისინი ხორციელდება სხვადასხვა ხერხით და ამიტომ წარმოადგენს კონსტიტუციურ კანონიერებაზე დაკვირვების სხვადასხვა მეთოდს.

თუმცა თავის დროზე, როცა დაისვა აღნიშნული ორგანოს შექმნის საკითხი, იყო და დღესაც არის საპირისპირო მოსაზრებები, რომელთა თანახმად, ეს ცნებები იდენტურია, რამდენადაც კონსტიტუციური კონტროლის სფეროში საქმიანობა და კონსტიტუციური ზედამხედველობა მიმართულია ერთიანი მიზნის მისაღწევად.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონტროლი და კანონიერებაზე ზედამხედველობა საქმიანობის სხვადასხვა სახეა. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით: ზედამხედველობის ორგანო ხსნის სამართალდარღვევას და გამოთქვამს თავის აზრს მის შესახებ, მაკონტროლებელი ორგანო კი უფლებამოსილია მიიღოს ზომები გამოვლენილი დარღვევის სალიკვიდაციოდ.

სხვათა შორის, დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო მექანიზმი აგებულია ხელისუფლების დანაწილების თეორიის პრინციპების მიხედვით, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონსტიტუციური ზედამხედველობის ფუნქციას ახორციელებს აშშ-ს უმაღლესი სასამართლო, რომელიც კონკრეტული სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვისთან ერთად, ახორციელებს ასევე ფედერაციისა და შტატების კანონების, სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას.

ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, რა სისტემითა და ფორმითაც ისაა თანამედროვე ეტაპზე მოწყობილი, ვერ დაეკისრება აღნიშნული ფუნქციის განხორციელება, მაგრამ ამისათვის რომ აუცილებელია სპეციალური ორგანოს შექმნა, ეს ცხადია. მით უმეტეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა, ჩემი აზრით, დაგვიანებულიცაა თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ამასთან, მინდა აღვნიშნო ერთი გარემოებაც, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული ზემოაღნიშნულ საკითხებთან. ეს არის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის უფლებამოსილების საკითხი. კონსტიტუციის 119-ე მუხლში გარკვევითაა ჩამოთვლილი მისი უფლებამოსილება, კერძოდ, მე-2 პუნ-



ტეში ზუსტადაა განსაზღვრული იმ ორგანოთა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაზეც უნდა განახორციელოს მან ზედამხედველობა. ჩემი აზრით, ამ მუხლში აუცილებლად უნდა მოხდეს დამატება. საქმე ეხება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ორგანოების გარდა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებების კონსტიტუციურობის შესაბამისობაზე ზედამხედველობის განხორციელებას. ეს, ცხადია, არ უნდა გავიგოთ, როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა.

თანამედროვე ეტაპზე, როცა საქართველოში აღინიშნება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, სხვადასხვა ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისა და საზოგადოებაში წესრიგის დამყარების მექანიზმის შესუსტება, კონსტიტუციური ზედამხედველობის ფუნქციით აღჭურვილი სპეციალური ორგანოს შექმნა და მისი საქმიანობის სწორი, სამართლებრივი რეგლამენტაცია ხელს შეუწყობდა კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობას და საერთოდ, აამაღლებდა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს როლს კანონიერების განმტკიცებაში.

ლავარა ჩორბლაშვილი

## უზენაესია მხოლოდ სამართლიანი კანონი

არაერთხელ თქმულა, რომ სამართლებრივი სახელმწიფო კანონის უზენაესობას ნიშნავს. ეს თავისთავად სწორი დებულებაა. მაგრამ სახელმწიფო რომ სამართლებრივად მივიჩნიოთ, უპირველესად, თვითონ კანონი, რომლის შესრულებასაც მოვითხოვთ, სამართლიანი უნდა იყოს. სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივმა მუშაობამ დამარწმუნა, რომ ყველა კანონი როდი ამტკიცებს სოციალურ სამართლიანობას.

დღეს, როდესაც რესპუბლიკაში მთელი კანონმდებლობის ძირფესვიანი განახლების პროცესი მიმდინარეობს, იქმნება კომისიები თეორიულ და პრაქტიკულ დარგებში მომუშავე ცნობილი იურისტებისაგან, სამართლის ყველა ნორმა სწორედ სოციალური სამართლიანობის პრინციპებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ზოგიერთ მათგანზე მინდა შევჩერდე. ამ მიმართებით, უპირველეს ყოვ-



ლისა, გადასინჯვას მოითხოვს შრომის კანონმდებლობა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 24 მარტის ბრძანებულებამ შრომის კანონმდებლობის დექსის 34-ე მუხლის დამატებაში გაითვალისწინა ადმინისტრაციის განყოფილებით შრომის ხელშეკრულების მოშლის კიდევ ერთი საფუძველი — მოხუცებულობის გამო სრული პენსიის უფლების მქონე მუშაკის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა. თავიდანვე კანონმდებლობაში საპენსიო ასაკის დაწესება მიზნად ისახავდა მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვინაიდან იგულისხმებოდა მუშაკის უფლება — საპენსიო ასაკის დადგომის შემდგომ მიეღო დამსახურებული დასვენების შესაძლებლობა, სააგიტაციო საშუალებები პენსიის უფლების საბჭოეთის დამსახურებად მიიჩნევდნენ, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე განიხილება პენსიის უფლება, დღეს, ჩვენი კანონმდებლობით მოქალაქის უფლება, ასაკის მიღწევის შემდეგ გავიდეს პენსიაზე, გადაიქცა ადმინისტრაციის უფლებად — დაითხოვოს მუშაკი და ეს უფლება, ფაქტობრივად, შედაცვებას არ ექვემდებარება, რომ არაფერი ვთქვათ მორალურ ფაქტორზე (მოქალაქე მძიმედ განიცდის საზოგადოებრივი საქირობის შეგრძნების დაკარგვას), რა დასამალია, რომ ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში მუშაკი უმძიმეს მატერიალურ დანაკარგებს განიცდის, რადგან პენსიის თანხა საცხოვრებელი ნორმის მინიმუმსაც არ აკმაყოფილებს.

ადმინისტრაციის ასეთი შეუზღუდავი უფლება არცთუ იშვიათად არასასურველ მუშაკთან ანგარიშსწორების საშუალებად გამოიყენება, ერთსა და იმავე პირობებში ერთი მუშაკი ასაკის შესრულების შემდეგაც რჩება სამუშაოზე, მეორეს — ითხოვენ, ასეთი დისკრიმინაცია მუდმივი საჩივრების საბაზი ხდება.

საგულისხმოა თვით კანონის ნორმის შემადგენლობა, რომლის მიხედვით, დათხოვნას ექვემდებარება მხოლოდ სრული პენსიის უფლების მქონე მუშაკი, გამოდის, რომ პირი, რომელსაც საპენსიო ასაკის მიუხედავად მუშაობის სტაჟი არ ჰყოფნის, უფრო შედავათიან პირობებში აღმოჩნდება, ვიდრე ის მუშაკი, რომელმაც მთელი სიცოცხლე შრომაში გაატარა, რაც სოციალურ სამართლიანობასთან შორს დგას.

არ შეიძლება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დასკვნის უგულებელყოფაც, რომელმაც საპენსიო ასაკით მუშაკის დათხოვნის უფლება მიიჩნია შრომაზე მოქალაქის უფლების ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად.

თუ მოქალაქეს ჯანმრთელობის მდგომარეობა, გონებრივი მონაცემები ხელს უწყობს და კოლექტივში ავტორიტეტით სარგებლობს, მისი ბედის ასე ხელალებით გადაწყვეტა არ შეიძლება დაკანონდეს, თუ მუშაკი არასათანადოდ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, ადმინისტრაციის კანონით გათვალისწინებული ბევრი სხვა საფუძველიც გააჩნია მისი დათხოვნისათვის, ბოლოს და ბოლოს, 1988 წელს ცენტრიდან თავსმოხვეულ ამ უსამართლო კანონს იოლად შეიძლება შეეღიოს ჩვენი რესპუბლიკა.

მოუთრებლად შემიძლია ვთქვა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომ უკანონოდ დათხოვნილ ან გადაყვანილ მუშაკს სამუშაოზე აღდგენის დროს აუნაზღაურდება გაცდენილი დროის ხელფასი მხოლოდ სამი თვის ფარგლებში, არა თუ უსამართლო, ამორალურია, რამდენჯერ მიფიქრია, როდესაც საჩივრით მოსული მოქალაქისათვის თვალეში ვერ შემინდევს სირცხვილისაგან, საიდან გამოდიოდა კანონმდებელი, როდესაც გაცდენილის ანაზღაურებისათვის ზღვარს ადგენდა, თუ აღ-



მინისტრაციამ უკანონოდ დაითხოვა მუშაკი, შემდეგ რატომღა აგრძელებს მის წვალებას და ნებაყოფლობით არ ასწორებს თავის შეცდომას? ამასთან, ისე იშვიათად, სასამართლო ორგანოები არ იხილავენ საქმეს დადგენილ ვადებში, რის გამოც გაცდენილი დრო სამ თვესაც აჭარბებს, რა ბრალი მიუძღვის მოქალაქეს, რომ მას განაცდური მხოლოდ სამი თვის ფარგლებში აუნაზღაურდეს? აქ სამართლიანობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მართალია რუსეთის კანონმდებლობამ ნაწილობრივ გამოასწორა ეს უსამართლობა, როდესაც ვადა ერთ წლამდე გაზარდა, მაგრამ ეს საკითხის საბოლოო გადაწყვეტა არ არის და საქართველოში ესეც არ მოქმედებს.

არავითარი გამართლება არა აქვს 1988 წლის 24 მარტის დამატებას იმავე კოდექსის 204-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამუშაოზე აღდგენის თხოვნაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან ხელქვეითების წესით, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროიდან, ერთი წლის გასვლის შემდეგ შეტანილი საჩივრები არ განიხილება. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლი იმპერატიული ნორმაა და არავითარი გამოწაკლისი არ დაიშვება. დასაშვებია, რომ კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა დათხოვნილი მუშაკის ადგილზე მიღებული სხვა პირის უფლებების საკითხიც, მართლაც, რამდენ ხანს შეიძლება მუშაკი იმყოფებოდეს სარჩელზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მოსალოდნელი გაუქმების მუქარის ქვეშ. მაგრამ ფაქტია, რომ პრაქტიკაში ხშირი იყო ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ერთი წლის შემდეგ გაუქმების შემთხვევებიც. თუნდაც ამ ერთეულ შემთხვევაში, რატომ უნდა შეიზღუდოს მოქალაქის უფლება? კანონიერების აღდგენის რაიმე ვადის შეზღუდვა, მაშინ, როდესაც ყველა კატეგორიის დავაზე გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით გადასინჯვა ვადის შეუზღუდავად ხდება, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩარჩოებში არ თავსდება.


აღნიშნული კანონი ფაქტობრივად თანამდებობის პირთა არამართლობიერი მოქმედების დაცვისკენაა მიმართული, რომელთა მიზეზით წლების მანძილზე გრძელდება მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნის არაობიექტური გადაწყვეტა.

საფუძველს მოკლებული როდია პრესაში გამოქვეყნებული მოქალაქეთა ჩუქურთვის განცხადება, რომ ღღეს, როდესაც 30-იანი წლების საქმეთა გადასინჯვა მიმდინარეობს, გაუგებარია სამართლიანობის აღდგენის საწინააღმდეგოდ დადგენილი ეს ერთწლიანი ვადა. რუსეთმა ეს ვადა ორ წლამდე გაზარდა, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ მოკლე პერიოდში იგი კვლავ შესაცვლელი გახდა, უკვე მოწმობს, რომ გასაჩივრების უფლების ვადით შეზღუდვამ არ გაამართლა.

სასამართლო პრაქტიკა ბევრ უსამართლობას აწყდება მიყენებული ზიანის ანაზღაურების, ქონების გაყოფის დროს შეფასებასთან დაკავშირებით, რაც მოქალაქეთა სამართლიან აღმოფხვრებას იწვევს.

საგზაო შემთხვევის შედეგად მოქალაქეს დაუზიანეს ავტომანქანა, მეზობელმა წყალი ჩაუშვა და გაუნადგურა ქონება მეზობელს; ჯერ ექსპერტიზა, შემდეგ სასამართლო ზარალის თანხას განსაზღვრავს სათადარიგო ნაწილების, მასალების სახელმწიფო ფასებიდან და შესაკეთებელი მომსახურების, ასევე სახელმწიფო ნიხრიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს შეფასება შეუდარებლად მცირეა იმასთან შედარებით, რაც ნამდვილად დაუჭდება დაზარალებულს ზიანის ანაზღაურება. პროცესზე ეს იცის ყველამ — მხარეებმა, მოსამართლემ, ექსპერ-





რტმა, მაგრამ მაინც, გამოდის აშკარად უსამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო ცდილობს შეასუსტოს მოსარჩელისათვის მიყენებული დარტყმა და გამოაქვს ალტერნატიული გადაწყვეტილება—დაევალოს მოპასუხეს თვითონ შეაკეთოს დაზიანებული ქონება ან გადაუხადოს სახელმწიფო ფასებიდან გამომდინარე, გამოანგარიშებული თანხა. არაკეთილსინდისიერი მოპასუხე, რომელმაც საქმე სასამართლომდე მიიყვანა, ცხადია თვითონ არ შეაკეთებს ქონებას, მის მიმართ რაიმე ღონისძიების გატარება კანონით გათვალისწინებული არ არის და მამასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილების პირველი ნაწილი, რომელიც მხოლოდ კეთილსინდისიერი მოპასუხისათვისაა გამიზნული, შეუსრულებელი დარჩება, ხოლო რეალური ზიანი — ფაქტიურად აღუწარმოებელი. საკითხის ასე გადაწყვეტისას სასამართლო უნებლიედ ბრალეული მხარის პოზიციაზე დგება. სახელმწიფო ერთი მხრივ, ცნობს ინფლაციას, ხოლო მეორე მხრივ, აგრძელებს დავის შემთხვევაში მხარეებს შორის ანგარიშსწორების ძველ წესს.

განსაკუთრებით გულდასაწყვეტია მეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი ავტომანქანის გაყოფის დროს შეფასების დაუშვებლად დაბალი მაჩვენებელი. გარდა იმისა, რომ მანქანა სახელმწიფო ფასებიდან გამომდინარე შეფასდება, გათვალისწინება ამორტიზაციის უმეტესად არარეალური პროცენტი და საბოლოოდ გასაყოფი თანხა მცირეა მანქანის რეალურ ფასთან შეფარდებით, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ მანქანა, ჩვეულებრივ მამაკაცს გადაეცემა, ხოლო დედას რჩება მცირეწლოვანი შვილები, გასაგები უნდა იყოს, თუ როგორ ილახება ამ უკანასკნელთა ქონებრივი უფლებები და სასამართლოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ვფიქრობ, თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან, უნდა მოხდეს მანქანის რეალიზაცია საბაზრო ღირებულებით და თანხა განაწილდეს დადგენილი წესით.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 18 ივნისის დადგენილებით, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის დროს, ღირებულება განისაზღვრება გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედი ფასებით, თუ ნივთის შეძენის შემდეგ ფასები შეიცვალა. მაგრამ, ჯერ ერთი, რატომ მართო მეუღლეებს შორის ქონების გაყოფის დროს უნდა იქნეს გამოყენებული ეს წესი და ქონებაზე დავის სხვა შემთხვევებზე არ გავრცელდეს? ამას გარდა, დღევანდელი ყოველდღიური ინფლაციის პირობებში, სახელმწიფო ვერ ასწრებს ფასების შეცვლას და ნივთების ნამდვილი ღირებულება ასტრონომიული ციფრებით აღინიშნება. ასეთ ვითარებაში არცთუ იშვიათად არაკეთილსინდისიერი მხარე, რომელიც ფაქტობრივად ფლობს სადავო ქონებას, ცდილობს იგი გადამალოს, გაასხვისოს, რომ შემდეგ პასუხი აგოს მხოლოდ მისი სახელმწიფო ღირებულების ფარგლებში, არ მიდის რა არავითარ რისკზე, თუ გაითვალისწინებთ ასეთი ქმედებისათვის დადგენილი პაუზისმგებლობის უმნიშვნელობას. გასაყოფი ნივთების ღირებულების სახელმწიფო ფასებით შეზღუდვა, როგორც ვხედავთ, ისევ არაკეთილსინდისიერი მხარის სასარგებლოდ მოქმედებს.

აღმაშფოთებელია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან წევრის გასვლის ან პაიზე უფლების მქონე მემკვიდრესთან ანგარიშსწორების დადგენილი წესი, პაის თანხების ანაზღაურება ხდება თავდაპირველად შეტანილი თანხების მიხედვით, არ გაითვალისწინება არა თუ ინფლაცია, არამედ ბინის ნამდვილი ღირებულება სახელმწიფო ფასებით კოოპერატივიდან გასვლის მომენტში. კოოპერატივიდან გამსვლელი წევრი, რომელიც არც კოოპერატივში ერთიანდება ღირებულებას შეცვლილი გაზრდილი ფასებით ფარავს, ხოლო თავის ბინას



თითქმის უფასოდ ტოვებს, იმდენად დიდია სხვაობა ადრინდელსა და ბინის ნამდვილ ღირებულებას შორის. პარადოქსია, რომ პირი, რომელსაც გადაეცემის ბინა, ფარავს ბინის თავდაპირველ, ძველ ღირებულებას და ყოველგვარ სხვაობას და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული წესით, აშკარად ძლიერდება სხვის ხარჯზე; თითქმის ტყუილად ღებულობს ბინას.

ამისთვისაა პრაქტიკაში დაუსრულებელი, წლობით მიმდინარე დავები. კოპერატივის წევრებს შორის განთავისუფლებული ბინის გადაცემის თაობაზე. ყველა ცდილობს იაფი ბინის ხელში ჩაგდებას.

დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ მოქმედი წესი სოციალური სამართლიანობისაგან შორსაა და შეცვლას მოითხოვს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იზრუნოს სპეციალისტების მიერ ბინის ნამდვილი ღირებულების დადგენა კოპერატივის წევრის გასვლის მომენტში და შესაბამისად, უნდა ჩატარდეს ანგარიშსწორება გამსვლელსა და მომავალ წევრებს შორის.

ყოვლად გაუგებარია, რისთვის არის შეტანილი საბინაო კოდექსში ღებულება, რომლითაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია საბინაო-სამშენებლო კოპერატივის ან პირადი საკუთრების სახლებში გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის გადასახდელის ოდენობა — ბინის ჭირა. პირველ შემთხვევაში, იგი არ უნდა აღემატებოდეს გამქირავებლის მიერ გადასახდელ იმ საექსპლუატაციო ხარჯებს, რაც გასაქირავებელ სადგომზე მოდის, ხოლო პირადი საკუთრების სახლის გაქირავებისათვის არ უნდა იყოს იმ ზღვრულ განაკვეთზე მეტი, რასაც მთავრობა ადგენს. ეს განაკვეთები იმდენად უმნიშვნელოა, რომ არც ერთი ნორმალური ადამიანი ამ სახედაურით არ დაუთმობს სადგომს უცხო ოჯახს. ყველამ, და რაღა თქმა უნდა, თვითონ სახელმწიფომ იცის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ამ პირობებში გაქირავდეს საცხოვრებელი სადგომი. მაგრამ რა, კანონის ნორმა, რომელიც არ სრულდება და ფაქტობრივად მკვდარია, მაინც ძალაშია.

რა ვნებას მოუტანს სახელმწიფოს ან ვინმეს, რომ მხარეები შეთანხმდნენ და თვითონ დაადგინონ გადასახდელის ოდენობა (რაც ცხოვრებაში მაინც ასე ხდება), ყველა პრობლემა მოიხსნებოდა და სახელმწიფო პირიქით, მოიგებდა დაბეგვრის თანხების სახით. მოიგებდა კანონის ნორმაც, რომელიც თავიდანვე არ იქნებოდა განწირული უმოქმედობისათვის, რაც აძლიერებს მოქალაქეებში კანონისადმი უპატივცემულობის გრძნობას. რამდენი საქმე იხილება სასამართლოებში, როდესაც დამქირავებელი არ ასრულებს შეთანხმებას ჭირის გადახდაზე, სასამართლო სახელმწიფო განაკვეთებით ახდენს ანგარიშსწორებას, რისი გაგებაც მოქალაქეს არ უნდა. განა რაიმე გამართლება ჰქონდა საკომისიო მალაზიებში ავტომანქანების გაყიდვისას მისი შეფასების თანხების განსაზღვრას, რომლის ზევით მალაზია არ აფორმებდა გარიგებას? მოსალოდნელი დავის შემთხვევაში დაუცველი იყო მყიდველიც და გამყიდველიც, რომელთაც უჭირდათ შემდგომ მტკიცება, რომ მანქანა ფაქტობრივად შეუდარებლად ძვირად იყო გაყიდული. აქ სახელმწიფო მართლაც მილიონებს ჰკარგავდა საკომისიო გადასახადების სახით. პრაქტიკაში შემხვედრია ისეთი საქმეებიც, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი დამდგარა გაყიდვის ნამდვილი ფასის დაფარვის გამო, საკომისიო გადასახდელის დაკლებისათვის. პრესაში სისტემატური გამოსვლის მიუხედავად, ათეული წლებით გრძელდებოდა ეს ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა.

საბინაო კანონმდებლობაში სხვაც ბევრ გაუმართლებელ ნორმას ვხვდებით,



რომელსაც სამართლიანად ვერ მივიჩნევთ, კერძოდ, გადასინჯვას მოითხოვს საცხოვრებელ ფართობზე პატიმრის უფლების საკითხი. საბინაო კანონის 59-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, 6 თვეზე მეტი ხნის თავისუფლების აღკვეთით, გადასახლებით ან გასახლებით მსჯავრდების შემთხვევაში, მოქალაქეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება ენახება განაჩენის აღსრულების დღიდან 6 თვის მანძილზე. ნორმა იმპერატიულია ყველა შემთხვევაში, ამის შემდეგ მსჯავრდებული ჰკარგავს უფლებას ფართობზე, სამოქალაქო სამართლის კოდექსში ადრე მოქმედი ნორმა შეიძლება ოდნავ მეტად ჰუმანური იყო, იგი პატიმრის უფლებას იმას მაინც უკავშირებდა, დარჩა თუ არა სადგომში ოჯახის წევრები. იმავე კოდექსის 42-ე მუხლით, ექვს თვეზე მეტი ხნით მსჯავრდებული იხსნება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვიდან, იგი არ გაითვალისწინება მისი პატიმრობის პერიოდში ოჯახის მიერ ბინის მიღების დროს და მათსადაც, გამოდის, რომ ერთი დანაშაულისათვის იგი ორმაგად ისჯება და შეიძლება მეორე სასჯელი უფრო მკაცრიც აღმოჩნდეს, როდესაც სასჯელმთხილი უსახლკაროდ რჩება და თავშესაფარი საძებნელი უხდება. საბინაო კანონმდებლობის ასეთ სიმკაცრეს იმით ამართლებდნენ, რომ ბინის დაკარგვის შიშით მოქალაქე მოერიდება სამართალდარღვევას, მაგრამ ფეიქრობ, ეს არ არის დანაშაულის თავიდან აცილების და პროფილაქტიკის სწორი გზა. შეიძლება პირიქითაც, ისედაც კალაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანი, რომელსაც საკუთარ კუთხესაც ართმევს კანონი, უფრო საშიში გახდეს საზოგადოებისათვის, რომელიც დაინტერესებულია, სასჯელმთხილი პიროვნება დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, მოხდეს მისი სოციალური რეაბილიტაცია.

ეს კანონი არც სახელმწიფოსათვისაა ხელსაყრელი, მმართველობის, მილიციის ორგანოები ადგილებზე ვალდებულნი არიან დაეხმარონ დაბრუნებულ პატიმარს თავშესაფრის მოძებნაში, რაც როგორც პრესიდანაც ჩანს, ხშირად მისთვის ახალი საცხოვრებელი სადგომის მიცემით მთავრდება. თუმცა კანონი არ ითვალისწინებს სასჯელმთხილისათვის ცალკე ბინის მიცემის აუცილებლობას, მით უფრო, თუ მის ფართობში ოჯახის წევრები დარჩნენ და მისი საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფოს არ ჩაბარება.

მოქალაქე, რომელმაც ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მოიხდა, სასჯელის მოხდის შემდეგ დედინაცვალმა არ შეუშვა, თავის ერთოთახიან ბინაში, რის უფლებაც მას კანონით ჰქონდა. გლდანის რაიონის მმართველობის ორგანოებმა სასჯელმთხილს ახალი ერთოთახიანი ბინა მისცეს, სახელმწიფოს ხარჯზე მოგებული აღმოჩნდა ორივე მოღვაწე მხარე — დედინაცვალი და გერი, რომლებიც საერთო ერთოთახიანი ბინის ნაცვლად, თითოეული ცალ-ცალკე, ერთოთახიან ბინაში აღმოჩნდა.

გამორიცხული როდია შემთხვევა, როდესაც არაკეთილსინდისიერი მხარე ფიქტიურად შექმნის სიტუაციას, რომ ოჯახის წევრები, იმის გამო, რომ პიროვნებას არ უშვებენ ბინაში თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით, მიუღწევს ახალი საცხოვრებელი სადგომის მიღებას.

ამ ბოლო დროს პრესაში ხშირად გაისმის მოთხოვნა ამ კანონის გადასინჯვის შესახებ და ახლა, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჰუმანიზაციის პროცესები მიმდინარეობს, ეს მოთხოვნა უცილობლად გასათვალისწინებელია. შეიძლება სამაგალითოდ ისიც გამოვიყენოთ, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდება არ იცნობს მსჯავრდების მოტივით კო-



ოპერატივის წევრის უფლების დაკარგვას ბინაზე, ბინების განსხვავებული სტატუსის მიუხედავად.

სამართლიანობის პრინციპების თვალსაზრისით, დახვეწას მოითხოვს საბინაო კოდექსის 157-ე მუხლი იმ მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომით უზრუნველყოფის თაობაზე, რომელთა სახლები ალებულ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ასაღები საკუთარი სახლების სანაცვლოდ მესაკუთრეებს დადგენილ ნორმების მიხედვით, ეძლევათ ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, სახლების ნაგებობების, მოწყობილობების ანაზღაურებით. სხვა ბინების მიცემის ნაწილში ნორმა სამართლიანია, როდესაც საჭმე ეხება მესაკუთრის ყოფილი ოჯახის წევრებს ან ამავე სახლში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს, მაგრამ თვითონ მესაკუთრის უფლებები აშკარად ილახება. მას ესპობა საკუთრების უფლება, რისი კომპენსაცია არაფრით არ შეიძლება მოახდინოს სახლის ღირებულების სახელმწიფო ფასებით ანაზღაურებამ, რომელიც ახლოსაც არ შეიძლება მივიდეს სახლის რეალურ ღირებულებასთან. მესაკუთრე დამჭირავებლად იქცევა და მთელი სიცოცხლე ბინის ჭირის გადახდა მოუწევს. ვფიქრობთ, ბინა რომელიც მესაკუთრეს ეძლევა მას თავიდანვე საკუთრებაში უნდა გადაეცეს, რაც ნაწილობრივ მაინც აუნაზღაურებს დანაკარგს. გარდა ამისა, კანონის მითითება დადგენილი ნორმით ფართობის მიცემაზე, მესაკუთრის მიმართ ყოველთვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული. როდესაც დიდი ფართობის კაპიტალურ სახლში მცხოვრები მესაკუთრის ოჯახი ერთი ან ორი წევრისაგან შედგება, დადგენილი ნორმის გამოყენება უსამართლობა იქნებოდა.

ახალი კანონმდებლობის შემუშავების და ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და მწამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის განახლებული სამართლებრივი ნორმები საფუძვლად დაედება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ნორმების უზენაესობას.

თამარ ჩიბოშვილი

## იჯარა სოფლად:

## სამართლებრივი პრობლემები

მიწათსარგებლობის ახალმა საიჯარო სისტემამ შეარყია სახელმწიფო მონოპოლია მიწაზე და ნაწილობრივ შეცვალა გლეხის დამოკიდებულება მიწისადმი. საიჯარო ურთიერთობათა შესახებ დღემდე არსებულმა კანონმდებლობამ, ნაკლოვანებათა მიუხედავად, ერთგვარად შეუწყო ხელი მიწაზე საიჯარო ურთიერთობის განვითარებას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, იჯარა არის უძრავი ქონების (შენობის, მიწის) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით.



კანონმდებლობის მიხედვით, იჯარა, ხელშეკრულებაზე დაფუძნებული მიწის, ბუნებრივი რესურსების, საწარმოების (გაერთიანებების) და სხვა ქონების რიგი კომპლექსების, აგრეთვე, სხვა იმ ქონების ვადანი მისაგებებლობა და გამოყენებაა, რომელიც მოიჯარეს სკირდება სამეურნეო. ან სხვა გვარი საქმიანობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის „საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“ კანონის პროექტის შესაბამისად, ერთგვარად გაფართოვდა იჯარის ობიექტები. მე-3 მუხლის მიხედვით, იჯარა დაიშვება მეურნეობის ყველა დარგში ქონების კუთვნილებისა და საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

მხარეებს, ანუ მიიჯარესა და მოიჯარეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება სათანადო ხელშეკრულებითა და „საფუძვლების“ შესაბამისად, თუმცა უნდა ითქვას, რომ საიჯარო ხელშეკრულებებმა დღემდე ვერ მიიღო ჩამოყალიბებული და სრული სახე, რაც გამოწვეულია იმ სამართალდარღვევებით, რომელიც თან ახლავს ადგილებზე მათ გაფორმებას. კერძოდ, ხელშეკრულებების პროექტის შემუშავება და გაფორმება ფაქტობრივად ხდება ცალმხრივად, მოიჯარეებთან შეთანხმების გარეშე. ასევე დაგვიანებით, კერძოდ, უმრავლეს კოლმეურნეობაში და მეურნეობებში მოიჯარეებს ხელშეკრულებები ხელის მოსაწერად ეძლევათ მოსავლის აღების დაწყებამდე, ან მისი დამთავრების შემდეგ, რაც ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული თვითნებობის გამოვლინებაა.

პროექტის მე-5 მუხლის შესაბამისად, იჯარით ქონება შეიძლება აიღოს; საქართველოს რესპუბლიკის და საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქემ, მოქალაქეობის არმქონე პირმა, მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჯგუფებმა და იურიდიულმა პირებმა. ამდენად, დაშვებულია ინდივიდუალური და კოლექტიური იჯარის ფორმები.

საიჯარო სისტემის შემოღებისას ადგილებზე გასაქანი მისცეს კოლექტიური იჯარის დანერგვას, ყველა კოლმეურნეობაში თუ მეურნეობაში ჭარბობდა და კვლავაც ჭარბობს კოლექტიური ან ბრიგადული იჯარა, ვიდრე ოჯახური და ინდივიდუალური, რომელიც ადგილებზე რატომღაც იზღუდებოდა.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა საოჯახო და ინდივიდუალური იჯარის უპირატესობაში, კოლექტიურ იჯარასთან შედარებით, რომელიც თავისი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პრინციპებით ბევრად ემსგავსება საიჯარო სისტემის შემოღებამდე არსებულ ბრიგადებს. მაგალითად, მეტ წილ კოლმეურნეობებში და მეურნეობებშიც (შაშიანის კოლმეურნეობა, ჩუმლაყის კოლმეურნეობა, ვაზისუბნის კოლმეურნეობა, ვეჯინის სანერგე მეურნეობა და სხვა) ოჯახური და ინდივიდუალური იჯარით მომუშავე კოლმეურნეობებმა და მუშებმა მძალწიეს უფრო მაღალ შრომით შედეგებს და შესაბამისად, ანაზღაურებაც მეტი მიიღეს, ვიდრე კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადის წევრებმა. შაშიანის კოლმეურნეობაში კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებიდან თითოეულმა წევრმა წლის ბოლოს საშუალოდ მიიღო ოთხი-ხუთი ათასი მანეთი შრომითი ანაზღაურება, ხოლო ინდივიდუალური და საოჯახო წესით მომუშავე კოლმეურნეობა კი რვა-ცხრა ათასი მანეთი. დაახლოებით ასეთივე შედეგებია სხვა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ამასთან, გამოვლინდა, რომ წლის ბოლოსათვის კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადის წევრებს ერთმანეთის მიმართ აღქრათ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურებასთან დაკავშირებული



ბევრი სადავო საკითხი, რაც დასტურდება სახელმწიფო ორგანოებში შესული საჩივრებითა და განცხადებებით.

ეს კი ეჭვის ქვეშ აყენებს აზრს იმის შესახებ, რომ შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმის განხორციელება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას, შრომის ანაზღაურების ზრდას და სხვა. ვინაიდან მკვეთრად განსხვავებულია კოლექტივის თითოეული წევრის კვალიფიკაცია, შრომისუნარიანობა, პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, შრომის დისციპლინა, რაც ერთგვარ უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების საბოლოო შედეგებზე.

კოლექტიური იჯარის დროს დაგეგმვა, აღრიცხვა და კონტროლი შეიძლება მეურნეო ანგარიშზე მყოფი ქვედანაყოფების ანალოგიურად ხორციელდება, რაც არავითარ დაინტერესებას არ ქმნის იჯარის წევრებს შორის და პირიქით.

შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმის უპერსპექტივობაში კი „კოლექტივიზაციიდან“ დღემდე განვლილმა პერიოდმა დაგვარწმუნა.

კოლექტიური იჯარა სწორედ რომ ახალი ბიუროკრატიული მახეა და იგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების გადაარჩენის მიზნით იქნა ხელშეწყობილი და განმტკიცებული.

დღეს-დღეობით უპირატესობა უნდა მივანიჭოთ და სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაენერგოთ ოჯახური და პირადი იჯარა, რომლის დროსაც ხელშეკრულების საფუძველზე მუდმივ სარგებლობაში, ან ხანგრძლივი ვადით უნდა გადაეცეს ოჯახს, ან პიროვნებას მიწის გარკვეული ნორმა და წარმოების სხვა საშუალებები, რომელზედაც დაუწყსდებათ გადასახადი, საიჯარო ქირა; მისი რაოდენობა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

მოიჯარეს, დაინტერესების მიზნით უნდა მიეცეს უფლება ათი-თხუთმეტი წლით სარგებლობის შემდეგ შეიძლოს იჯარით აღებული მიწის გაკეროვება.

დღემდე, არსებული კანონმდებლობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების და მიღებული მოსავლის თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობას. ვიზიარებ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ მთავარია დღეს არა საკუთრების ფორმა და მათი სამართლებრივი განმტკიცება (თუმცა მკითხველმა არ წარმოიდგინოს ეს მეორეხარისხოვან, სათუო საკითხად), არამედ მთავარია მიღებული მოგების მითვისების ფორმა და წესი. (ტ. ზამბახიძე — სამეურნეო კანონმდებლობის თანამედროვე ტენდენციები, „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ. № 2, გვ. 27).

იმისათვის, რომ პიროვნება დაინტერესებული იყოს ყოველ წელს რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღოს, ვფიქრობ, არსებული მნიშვნელობა მისთვის იმას კი არა აქვს, მიწას 20-25 წლის ვადით ფლობს თუ სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში, არამედ იმას, თუ რამდენად თავისუფალია იგი მოწეული მოსავლის განკარგვაში და რა სარგებლობას ელის იგი ამ მოსავლიდან. ამიტომაც რომ ვერც მიწების ნაციონალიზაციამ და ვერც გარდაქმნის პერიოდმა, როდესაც გადაარჩენისათვის გზების ძიება ხდებოდა, მიღებულმა ვერც ერთმა კანონმა თუ კანონქვემდებარე აქტმა (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „სსრ კავშირში არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ“; სსრ კავშირისა და მოკავში-



რე რესპუბლიკების 1989 წლის 23 ნოემბრის „იჯარის კანონმდებლობის საფუძველები“; სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1990 წლის 28 თებერვლის „მიწის კანონმდებლობის საფუძველები“ და სხვ.) სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ვერ შეავსო ცარიელი დახლები.

საიჯარო ურთიერთობა უპირატესად შიდასამეურნეო იჯარული ნარდის ფორმით ვითარდებოდა და დღესაც ინარჩუნებს ასეთ სახეს. სანარდო იჯარის დროს მეიჯარე მოიჯარეს ხანგრძლივი სარგებლობისათვის ამაგრებს მიწასა და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, რაშიც ეს უკანასკნელი უხდის საიჯარო ქირას, ან წარმოებულ პროდუქციას, ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ შეთანხმებული ფასით, მიჰყიდის საწარმოს. ამდენად შიდასამეურნეო იჯარა ასეთ შემთხვევაში სანარდო ურთიერთობის ხასიათისაა.

როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამარლის კოდექსის 343-ე მუხლის თანახმად, ნარდობის დროს სანარდო ხელშეკრულებით ერთი მხარე (მენარდე) კისრულობს თავისი რისკით შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო მეორე მხარის (შემკვეთის) დავალებით, მისი ან თავის მასალით, ხოლო შემკვეთი კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი საზღაური.

ასე რომ, საიჯარო ურთიერთობის დროს ქირავნობის საგანი ძირითადი საბრუნავი საშუალებებია, ხოლო ნარდობის დროს ხდება სამუშაო ძალის დაქირავება. შიდასამეურნეო სანარდო იჯარა პრაქტიკულად მოძველებულია და ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის სისტემაში იგი უნდა გამოირიცხოს და უპირატესობა ოჯახურსა და პირად იჯარას მიეცეს, რადგან იგი მეურნეობებში და კოლმეურნეობებში ადრე არსებული სამუშაო ფორმების სახეშეცვლილი სისტემაა, რაც ერთგვარად ამცირებს შრომით შედეგებს.


პროექტის 34-ე მუხლის მიხედვით, მეიჯარე ანუ იჯარით ქონების ამღები, ფაქტობრივად, მთლიანად დამოკიდებულია იჯარადარზე (ქონების იჯარით გამოცემზე) და მისი საქმიანობა გარკვეულწილად შეზღუდულია. მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს პროდუქციის რეალიზაცია, დაადგინოს სარეალიზაციო ფასები; გარკვეული სამუშაოს შესრულების მიზნით გამოიყენოს დაქირავებული შრომა, საბანკო დაწესებულებებში გახსნას დამოუკიდებელი ანგარიში და სხვა. ყველა ეს და სხვა საკითხები მან უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ იჯარადართან შეთანხმებით. ეს კი გარკვეულწილად მეიჯარის შრომას სტიმულს უქარავავს და აღარ იძლევა ისეთ შედეგებს როგორცაა უნდა იძლეოდეს იჯარა.

ამდენად, ნარდობამ თავისი განვითარება უნდა ჰპოვოს ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის შიგნით.

ოჯახური და პირადი იჯარის დროს აკრძალულია დაქირავებული შრომის გამოყენება. პრაქტიკულად კი მოიჯარეები ხშირად იყენებენ გარეშე დამხმარე ძალას, რომელთაც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უხდიან გარკვეულ გასამრჯელოს. ამიტომ, უნდა დაკანონდეს დაქირავებული შრომის გამოყენება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების მიზნით, რაც ხშირად აუცილებელი ხდება დაძაბულ სამუშაო პერიოდში, ანდა სამუშაოს ჩამორჩენის დროს, თუ ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად მოიჯარის ავადმყოფობით.

დაქირავებულ პირთა შრომის პირობები და ანაზღაურება უნდა განისაზღვროს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთშეთანხმებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.





საიჯარო წესით მომუშავე ოჯახს და პიროვნებას უნდა მიეცეს უფლება თავისი სახელით დადოს სამეურნეო ხელშეკრულებები, მიენიჭოს იურიდიული პირის უფლება და ბანკში გახსნას საკუთარი ანგარიში.

საერთო შემოსავლიდან სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის გადასახდელები მოიჯარეს თვითონვე შეაქვს შესაბამის სახელმწიფო ფონდში. იმავე წესით შეაქვს საშემოსავლო გადასახადი ბიუჯეტში, რათა ისარგებლონ ყველანაირი სოციალური სიკეთით. ასეთივე სიკეთით უნდა სარგებლობდნენ თვით დაქირავებული პირებიც.

ოჯახური და პირადი იჯარის დროს, რომელიც დასაბამი ფერმერული მეურნეობის განვითარებისა, მიწის უფექტიანი გამოყენების მიზნით, მოიჯარეებს, როგორც უკვე ითქვა, მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს საიჯარო საქმიანობის დროს. მას მტკიცედ უნდა განესაზღვროს მხოლოდ საიჯარო ქირა, რომელიც ყოველწლიურად უნდა იხადოს და ასევე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახე, რომელიც უნდა აწარმოოს იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე. მიეცეს უფლება, მიღებულ მოსავალს რეალიზაცია გაუქეთოს როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. დამოუკიდებლად დააწესოს პროდუქციის სარეალიზაციო ფასები.

მოიჯარემ შეიძლება აწარმოოს თავისი პროდუქციის გაცვლა მისთვის საჭირო სხვა პროდუქციაზე, მომხმარებელთან წინასწარი შეთანხმების (შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება) საფუძველზე აწარმოოს და მიჰყიდოს გარკვეული სახის პროდუქცია. სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში ისარგებლს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა არსებული წესებისა და ხელშეკრულების შესაბამისად. უფლება აქვს შეიძინოს და პირად საკუთრებაში იქონიოს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები, რომლითაც შეიძლება ის თავისი მიწის ფართობის ინდივიდუალურად დამუშავებას.

გარდა ამისა, უნდა შეიქმნას პუნქტები, საიდანაც მოიჯარეს, რომელსაც პირად საკუთრებაში არ გააჩნია მისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები, ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ტექნიკით და გადაიხადოს დადგენილი საზღაური. ასევე, უნდა შეიქმნას სასუქებისა და პერბიციდების მომწოდებელი პუნქტები და ა. შ. ასე, რომ მოიჯარეს მივანიჭებთ რა დამოუკიდებლობას, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ მისთვის დახმარების აღმოჩენისა და მზრუნველობის სფერო, რადგან უამისოდ, მოიჯარის მიერ თავისი საიჯარო საქმიანობის სრული წარმოება შეუძლებელი იქნება.

თუკი შეიძლება, რომ გავაკეთოთ ასეთი შედარება, აღსანიშნავია, რომ რაპონიაში ფერმერთა კანდიდატებისათვის შექმნილია სპეციალური მოსამზადებელი ცენტრები, სადაც საფუძვლიანად ეუფლებიან მეურნეობრიობის მთავარ კლემენტებს: საიჯარო და დაქირავებული შრომის ორგანიზაციის, მიწისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას, სახსრების გონივრულ ხარჯვას, შესწავლიან წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიას, რათა გაზარდონ მისი ეფექტიანობა, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესონ ხარისხი.

მიწა იჯარით უნდა გადაეცეს შესაბამისი სოფლის მაცხოვრებელს, რომელსაც ექნება სათანადო ცოდნა და გამოცდილება სოფლის მეურნეობაში.

საფუძვლების 13-ე მუხლის თანახმად, მოიჯარე მოქალაქესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სხვა თანაბარ პირობებში ახალი ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება აქვთ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. მიმაჩნია, რომ თუ ასეთი პირები არ





აღმოჩნდებიან, საიჯარო ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლებები უნდა მიეცეთ სხვა კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომლებიც იმავე დასახლებულ ადგილზე ცხოვრობენ, ან იცხოვრებენ და არ გააჩნიათ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი.

მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის მოიჯარე ვალდებულია ზრუნავდეს მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის, უნდა დაიცვას მიწა ეროზიისაგან, არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის მოცდენა, მასზედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა და საერთოდ მისი არამიზნობრივი გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნდა დაეკისროს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა ყველანაირი დარღვევისათვის და მით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად, ან შეწყდეს მისი ნაკვეთით სარგებლობის უფლება, გარდა ამისა, საიჯარო ხელშეკრულების მოშლა და შეწყვეტა შეიძლება მოხდეს თვით მოიჯარის სურვილით.

იჯარის ხელშეკრულების შესრულების დროს, აგრეთვე, მოიჯარის მიერ წარმოებულ ყველა საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავას განიხილავს სასამართლო.

საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ ახალ კანონმდებლობაში გარკვეული სიახლით და ვფიქრობ, არასწორად არის წარმოდგენილი საიჯარო ურთიერთობის მხარეების აღმნიშვნელი ტერმინები, „იჯარადარი“ და „მეიჯარე“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „იჯარადარი“ განმარტებულია, როგორც იჯარით ამღები რისაჲ — მოიჯარე. „მოიჯარეც“ განმარტებულია, როგორც იჯარით ამღები რისაჲ — იჯარადარი. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში კი პირდაპირ წერია მეიჯარე კი არა მოიჯარე, იჯარადარი. ე. ი. იჯარადარი და მოიჯარე არის ერთი და იგივე მნიშვნელობის — იჯარით ქონების ამღები.

პროექტის მე-4, მე-5 მუხლების მიხედვით კი — „იჯარადარი“ არის იჯარით ქონების გამცემი, ხოლო „მეიჯარე“ იჯარით ქონების ამღები.

ამავე დროს, კანონმდებლობაში ქონების იჯარით ამღების მნიშვნელობით ზოგ შემთხვევაში ნახმარია მეიჯარე, ზოგ შემთხვევაში მოიჯარე. მე-7 მუხლში ეკითხულობთ „საიჯარო ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილი იქნეს მეიჯარის ვალდებულებები, მოიჯარის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების, წარმოების განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების ტექნიკური განახლების, სოციალური განვითარების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, საკონსულტაციო და სხვაგვარი დახმარების, კადრების მომზადების, იჯარით აღებული ქონების ეფექტიანი გამოყენებისა და მისი ჯეროვანი მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეიჯარეს მიღებული აქვს იჯარადარის (იჯარით ქონების გამცემი) მნიშვნელობა, ხოლო მოიჯარეს მეიჯარის (იჯარით ქონების ამღები) მნიშვნელობა.

მიმაჩნია, რომ პროექტის მე-4 მუხლში ტერმინი „იჯარადარი“ უნდა შეიცვალოს „მეიჯარით“, ხოლო მე-5 მუხლში ტერმინის „მეიჯარეს“ ნაცვლად უნდა იყოს „იჯარადარი“ ან „მოიჯარე“. შესაბამისად უნდა შეიცვალოს და დაუსუსტდეს მთლიანად კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინები, რათა აღნიშნულმა უზუსტობებმა ხელი არ შეუშალოს კანონის სწორად გაგებას და გამოყენებას.



ჰანს შნაიდერი

# მასობრივი არაულოზები კრიმინოლოგის თვალთ

„მასობრივი არაულოზის“ ცნება


მასობრივი არეულობები ხდება როგორც დემონსტრაციის ჩატარებისას, ისე სხვა მრავალი მოვლენის დროს. დემონსტრაციისაგან იგი განსხვავდება იმით, რომ დემონსტრაცია მშვიდობიანი შეკრებაა, რომლის უფლებაც აქვთ სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს და სადაც მათ შეუძლიათ გამოხატონ კოლექტიური პროტესტი სოციალური ნაკლოვანებების წინააღმდეგ. მასობრივი არეულობები პირველ რიგში გამოირჩევიან: პირთა კანონსაწინააღმდეგო შეკრებით, სამზე მეტი ადამიანის თავმოყრით, წინასწარ მომზადებული აქციის ჩატარებით, როლების განაწილებით, ძალადობის გამოყენებით, როგორც წესი, ეს არის ბრბო, რომელიც ესვრის ქვევს პოლიციელებს, ამტვრევს ვიტრინის მინებს, ძარცვავს მაღაზიებს, აყირავებს და წვავს ავტომობილებს, აღმართავს ბარიკადებს. მასობრივი არეულობის ამგვარი შეფასება ხდება საზოგადოების მიერ და მის შესახებ სოციალური რეაქცია დაკავშირებულია არც თუ ისე ადვილი პრობლემების გადაწყვეტასთან.

ძალადობას, რომელსაც იყენებენ მასობრივი არეულობების მონაწილენი, გააჩნია შემდეგი ნიშნები: კავშირი ორგანიზმის მოჭარბებულ აქტივობასთან; ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური ვნების მიყენება ძალადობის მსხვერპლისათვის ანდა წინასწარგანზრახული მატერიალური ზარალის მიყენება საერთოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა არ წარმოადგენს მასობრივი არეულობების მონაწილეთა განსაკუთრებულ მიზანს, ის გამოიყენება არამართლზომიერად ან მართლზომიერად — ეს კი განისაზღვრება კანონმდებლობით. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არეულობების მონაწილეთა, მსხვერპლთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ქცევის ანალიზს.

## სიძნელეები მასობრივი არაულოზების გამოკვლევისას

მასობრივი არეულობები არ ხდება რეგულარულად. ეს ხელს უშლის მათ სისტემატურ ემპირიულ გამოკვლევას. გარდა ამისა, პრობლემატურია მონაცემების შეკრება უშუალო მონაწილეთა გამოკითხვის გზით, ვინაიდან ისინი როგორც ამ მოვლენების დროს, ასევე მათ შემდეგ იძყოფებიან აფექტის მდგომარეობაში და არაადექვატურად აღიქვამენ მომხდარს. მასობრივი არეულობები უმეტეს შემთხვევაში აღწერილია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც შემთხვე-





ვით მოხვდნენ მოქმედებების ადგილას, და სამწუხაროდ, როგორც ვინაიდან არიან განსწავლულნი ემპირიული სოციალურ გამოკვლევის მეთოდებში, გარეგანი დაკვირვების მიხედვით, ყველა მასობრივი არეულობა ჰგავს ერთმანეთს, თუმცა, სინამდვილეში თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთადერთსა და განუმეორებელს როგორც მისი საბაბის, ისე სოციალურად განპირობებული მიზეზის მიხედვით.

მასობრივი არეულობების გამოკვლევა, კონტროლი მათზე, აგრეთვე მათ წარმოშობაზე, დაკავშირებულია ერთმანეთთან, ვინაიდან თუ არ შევისწავლით მათ, არ მივიღებთ გამაფრთხილებელ და მაკონტროლებელ ღონისძიებებს, ეს ხელს შეუწყობს მათ წარმოშობას, თუ მასობრივი არეულობები არ ხდება, და არც განიხილება მათი წარმოშობის შესაძლებლობა, მაკონტროლებელ ინსტანციებს უეცრად გაჩაღებული არეულობების დროს ეუფლებათ გაურკვეველობა და დაბნეულობა. ავსტრალიის სამთავრობო კომისიის ანგარიშში ძალადობის პრობლემების შესწავლის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წლის დასაწყისში, გამოტოვებულია საკითხი მასობრივი არეულობების შესახებ, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ისინი ამ ქვეყანაში პრაქტიკულად არ მომხდარა.

60-იან წლებში მრავალრიცხოვანი მასობრივი და სტუდენტური არეულობების შემდეგ აშშ-ში კოლექტიური ძალადობა თითქმის მთლიანად გაქრა (გარდა რამდენიმე მოკლე აფეთქებისა 80-იანი წლების დასაწყისში). სხვა მიზეზებთან ერთად მას ხსნიან მაკონტროლებელი ღონისძიებების მომზადებით. პოლიციის მიერ მომზადებულ იქნა მათი განხორციელების გეგმები, ტარდებოდა შეთანხმებული კოლექტიური მოქმედებების ვარჯიშები, აღიჭურვნენ წყალმსხმელებითა და ვერტმფრენებით. გატარებულ იქნა აგრეთვე სოციალური ხასიათის გამაფრთხილებელი ზომები, ასე რომ კოლექტიური ძალადობა თითქმის მთლიანად გამოირიცხა. თუმცა, მისი ადგილი დაიკავა პროტესტმა, რაც გამოიხატა ძალადობის ინდივიდუალურ ფორმებში.

**მასობრივი არეულობების გამოვლენის მახასიათებელი**

1990 წლის პირველ სამ თვეში შეიძლება დავასახელოთ მასობრივი არეულობების რამდენიმე შემთხვევა. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ ბერლინში 16 იანვარს დაახლოებით 2 ათასმა ადამიანმა შეუტია გდრ-ს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამსახურის ორ შენობას; თავდაპირველად მათ განზრახული ჰქონდათ ჩაეტარებინათ საპროტესტო დემონსტრაცია ამ სამსახურის გაჭიანურებული ლიკვიდაციის წინააღმდეგ. ვენაში 23 თებერვალს ჩატარებული დემონსტრაციის დროს გაჩაღდა ჩხუბი; პოლიციის მცდელობამ, გაეშველებინა დაპირისპირებული ჯგუფები, გამოიწვია ის, რომ დაიწყეს ქვების სროლა. მიწების მსხვერვა. ბერნში, ბუნდესპლაცზე, მასობრივი მშვიდობიანი მიტინგის დროს დაახლოებით ორასმა ადამიანმა, რომლებიც ჩაცმულნი იყვნენ უპირატესად შავ ტანსაცმელში, მოაწყო კონფლიქტის პროვოცირება. ისინი ცდილობდნენ შეეერთათ ფედერალური პოლიციის რეზიდენციისათვის და ცეცხლს მისცეს სახალხო და კანტონალური ბანკები, დიდ ბრიტანეთში 2-3 კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა ძალადობრივი შეტაკებები პოლიციასა და მოქალაქეებს შორის, ეს უკანასკნელნი აღშფოთებულნი იყვნენ მთავ-



რობის გადაწყვეტილებით მუნიციპალური სულადი გადასახადის შემოღების გამო.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ არეულობები წარმოიშობა არა მხოლოდ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, არამედ სხვა მიზეზებითაც. გფრ-ის სტატისტიკის მიხედვით, დემონსტრაციების უმრავლესობა მიმდინარეობს შვედლობიანად. არამშვიდობიანი დემონსტრაციების წილმა მათი საერთო რიცხვიდან 1977-1981 წწ. შეადგინა 5,5% წელიწადში, ხოლო 1983-1989 წლებში — 3,2%. თუმცა, პოლიცია გვატყობინებს არამშვიდობიანი დემონსტრაციების სულ უფრო გამკაცრების შესახებ, იმის შესახებ, რომ ძალადობის ხერხები სულ უფრო საზიფათო და დახვეწილი ხდება.

არსებობს მასობრივი არეულობების მრავალი სახე. დანაშაულებრივ სახელმწიფოებრივ სისტემაში შესაძლებელია მოსათმენი ან ნებადართული არეულობები, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმუხტონ საზოგადოებაში დაგროვილი ძალადობრივი პოტენციალი ეროვნულ ან სხვა სოციალურ უმცირესობაში. ეს ძალადობრივი პოტენციალი გროვდება, როგორც წესი, სოციალურ-სტრუქტურული ნაკლოვანებების გამო, რომლებიც წარმოიშენენ თვითონ დანაშაულებრივი სახელმწიფოს ბრალით და რომელთა აღმოფხვრის უნარიც მას არ გააჩნია. ასეთი არეულობების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ებრაელთა დარბევები ე. წ. „რაიხის კრისტალურ ღამეს“ 1938 წლის 9-10 ნოემბერს, როდესაც დაარბიეს სინაგოგები და ებრაელების მაღაზიები, მრავალი ებრაელი ცემეს და მოკლეს კიდევ.

მასობრივი არეულობების გამოვლენის მეორე ფორმად ითვლება სოციალურ უმცირესობათა გამოსვლა შევიწროებების წინააღმდეგ, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურული ნაკლოვანებებით. მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაციისა და სოციალურ-ეკონომიკური შევიწროებების საწინააღმდეგო პროტესტთან დაკავშირებული მასობრივი არეულობები უოტსში—ლოს-ანჯელესში (1965 წ.) ნიუარკსა და დეტროიტში (1967 წ.), სოუეტში—იოჰანესბურგში (70-იანი და 80-იანი წლები). სტუდენტური არეულობების დროს ბერკლში (1963 წ.) კენტსკის უნივერსიტეტში (1970 წ.) წამოაყენეს ვიეტნამის ომის დამთავრებისა და განათლების დემოკრატიზაციის მოთხოვნები. ახალგაზრდული არეულობების მიღმა (ე. წ. „არასერიოზული არეულობები“ 50-იან წლებში, რომლებიც დაკავშირებული იყო როკ-ნ-როლის კონცერტებთან, ციურისში კი ახალგაზრდული ცენტრის დახურვასთან (1980 წ.) უპირველესად იდგა პიროვნების ახალგაზრდული კრიზისი, დაურწმუნებლობა ავითრდამკვიდრების შესაძლებლობაში, იმედგაცრუების გრძნობა, რაც დამახასიათებელია ახალგაზრდული ასაკისათვის. არეულობები, რომლებიც მოხდა სახლებიდან მობინადრების გამოსახლებასთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინსა და ჰამბურგში (80-იანი წლები), ამსტერდამში (1989 წ. ნოემბერი), მათი მონაწილეების სიტყვებით, მოწოდებული იყო შიექციათ საზოგადოებრიობის ყურადღება ნაკლებფასიანი საცხოვრებელი ფართის სიმცირისათვის, ქალაქში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების პრობლემებისათვის, მიწის ნაკვეთებით სპეკულაციის წინააღმდეგობისათვის.

უცხოეთის უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწეების ვიზიტებს (მაგალითად, სპარსეთის შაჰის რეზა ფეხლავის ჩამოსვლა დასავლეთ ბერლინში 1967 წ. ივნისში, აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ჩამოსვლა კრეფელ-





დში 1983 წ. 25 ივნისს) ხშირ შემთხვევაში თან სდევს არეულობები, მათგან უმთავრესი ზეზები დაკავშირებულია ამ პიროვნებების საყოველთაო განთქმვასთან. ასეთი მოვლენების პოლიტიკურ მნიშვნელობასთან. არეულობები ხდება სხვა არაჩვეულებრივ სიტუაციებშიც. მაგალითად, 1977 წ. ნიუ-იორკში დენის გამორთვის გამო მოხდა გაძარცვები სინელეში, ხოლო შემდგომ — დარბევები და მასობრივი არეულობები.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არეულობები ხშირად ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა ციხის ხელმძღვანელობა ან ზედმეტად რეპრესიულ კონტროლს იჩენს მსჯავრდებულების მიმართ, ან ანიჭებს მათ გაუმართლებლად დიდ თავისუფლებას. არეულობები სპორტული შეჯიბრებების დროს (მაგალითად, 1985 წ. 29 მაისს ქ. ბრიუსელში საფეხბურთო მატჩის დროს „ჰეიზელის“ სტადიონზე) ყველაზე ხშირად იმითაა გამოწვეული, რომ სპორტი გადაიქცევა ხოლმე დაუნდობელ დავად სიმბოლოების შესახებ და ძალადობის გამოვლინება მოთამაშეებს შორის მაყურებლებსაც აქეზებს ძალადობისაკენ. ზოგიერთ ტერიტორიულ თემში, რომლებშიც შედარებით მაღალია სოციალური დეზორგანიზაცია (მაგალითად, ბერლინ-კროიციბერგში), არეულობები ძალზე ხშირად შეორდება (1987 წლიდან 1989 წლის ჩათვლით მეთევზეების დღესასწაულებთან და მაისის დემონსტრაციებთან დაკავშირებით). ისეთ რაიონებში, სადაც მრავალი უცხოელი ცხოვრობს, მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე, დაბალია მათი შემოსავლები, არაა საკმარისი საცხოვრებელი ბინები, ირღვევა ნორმალური ადამიანური კავშირები საზოგადოების შიგნით, მათ ცვლის აგრესიული ურთიერთობების სუბკულტურა, რომელიც ასწავლის ძალადობას კონკრეტულ მაგალითებზე.

### მასობრივი არეულობების ტიპოლოგია

ისტორიული განვითარების პროცესში გვხვდება კოლექტიური ძალადობის სამი ფორმა. პრიმიტიული (ტომობრივი მტრობა, ლინჩის სასამართლო) გამოიხატება ერთი მცირე სოციალური ჯგუფის აგრესიაში მეორის მიმართ. რეაქტიული კოლექტიური ძალადობა (არეულობები, რომლებიც გამოწვეული იყო უკმაყოფილებით, კვების პრობლემების არასწორი განაწილებისა და მათზე მაღალი ფასების გამო; აჯანყებები გადასახადების ამკრეფთა წინააღმდეგ, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; ავტომობილთა ან სხვა ტექნიკის დამტყვრევა გამოხატავს პროტესტს მქონებელთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სოციალური სისტემის წინააღმდეგ.

დაბოლოს, თანამედროვე კოლექტიური ძალადობა ხასიათდება არეულობების მონაწილეთა საშუალო რიცხვის მნიშვნელოვანი მომატებით და ერთობლივი მოქმედებების მიზნების დიდი განსაზღვრულობით.

თანამედროვე მასობრივი არეულობები პირობითად შეიძლება დაყვით ოთხ ჯგუფად (იდეალურ ტიპად): შეიარაღებული (მათ განასხვავებს რაციონალური დაგეგმვა, ზუსტი მიზნობრივი მითითებები, სოციალური, სტრუქტურული განპირობებულობა); ექსპრესიული არეულობები (ხაზგასმულადაა გამოხატული, ეჭვმდებარება გრძნობებისა და აზრების გამოხატვას); უსაფუძვლო (არა აქვთ სოციალურ-სტრუქტურული მიზეზები); გარდამავალი ტიპის არეულობები.

### მასობრივი არეულობების მიზეზების გამოკვლევის ისტორია

კოლექტიური ძალადობის პირველი გამოკვლევები იწყება XIX და XX




საუკუნეების მიჯნაზე. ამ მოვლენის თანამედროვე თეორიები და ემპირიული გამოკვლევები იყენებენ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომებს. ფსიქოლოგიური მიდგომა ხასიათდება ხალხთა მასების ჰომოგენურობისა და ირაციონალურობის გამოკვეთით, მასის, როგორც არასრულფასოვანის შეფასებით. გ. ლენინის მიხედვით, მასა უსახო და ამორფულია. არეულობებში ვლინდება ადამიანების ჯოგური გრძნობა, რომლებიც ვარდებიან პირველყოფილ მდგომარეობაში, ეშვებიან რა ცხოველების დონეზე. არეულობის სიტუაციაში ვითარდება კოლექტიური სული (რომელიც განსაზღვრავს ბრბოს მიდრეკილებას ერთიანი ზემოქმედებისადმი, ემოციონალური გადადებისადმი) და მცირდება ცალკეული ინდივიდის პასუხისმგებლობა. ზ. ფრეიდა ამ სწავლების ბაზაზე განავითარა თავისი ფსიქოანალიტიკური დასაბუთება: თავმოყრილი ხალხის უპასუხისმგებლობა და მასობრივი არეულობების დროს ერთიანი განზრახვისადმი მათი მიდრეკილება ეფუძნება ბრბოში ინსტიქტური საწყისის სიჭარბეს. ინდივიდუალური თანდათანობით მცირდება, პირქუში დესტრუქციული ინსტიქტები გარეთ გამოიჭრება. ასეთი სწრაფვის დროს ინსტიქტები თავისუფლად კმაყოფილდება. მოქმედებების ეფექტურობა იზრდება, ხოლო მათი გააზრებულობა ეცემა. არეულობის დროს მასობრივი შეგნება, ლიდერთან თითოეული მონაწილის იდენტიფიკაციის გამო, ყალობდება კოლექტიურ იდეალად. კ. იასპერსი ამბობდა, რომ „წარმართველი ადამიანები“, რომლებიც აღზრდილნი არიან ავტორიტარულად, წინასწარ არიან განწყობილნი იმისათვის, რათა გაიშალონ და გაიხსნან მასაში.

**სოციოლოგიური მიდგომა** ხაზს უსვამს ხალხთა მასობრივი შეჯგუფებებს რაციონალურობასა და ჰეტეროგენურობას (სხვადასხვაგვარობას). მას საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა სოციოლოგმა რ. ბარკმა თავის დისერტაციაში „მასა და პუბლიკა“, რომელიც დაიცვა ჰაიდელბერგში 1903 წელს. არეულობების ემპირიული შესწავლა დაიწყო ჩიკაგოში 1919 წ. მომხდარი რასობრივი არეულობების განხილვით. შემდგომ 1962 წ. აშშ-ში ნ. ჯ. სმელზერმა გამოვიდა მოხსენებით „კოლექტიური ქცევის თეორია“. მან წამოაყენა მასობრივი არეულობების განვითარების ტიპური თანმიმდევრობის მოდელი. როგორც წესი, ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს სტრუქტურული მიდრეკილება და დაძაბულობა, რომელთა შესახებ წარმოდგენაც ვრცელდება საზოგადოებრივ შეგნებაში. ამ ფენომენის აღნიშვნის მიზნით, სმელზერმა შემოიტანა ცნება „განზოგადებული წარმოდგენა“, რომლის ქვეშაც გულისხმობდა იდეოლოგიური დამუშავების პროცესს, „განტევენის ვაცების“ დევნას, რომლებსაც ბრალად ერაყებთან სოციალურ-სტრუქტურული მოუგვარებლობანი. ბოროტების განზოგადებული სიმბოლოს გამოსახვას თან ერთვის იმ ფაქტორების მოქმედება, რომლებიც აღაგზნებენ საზოგადოებრივ ატმოსფეროს და აჩქარებენ აფეთქებას. ლიდერთა ავტორიტატი მოქმედებისაკენ მობილიზებას უკეთებს არეულობების რიგით მონაწილეებს, ამასთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური კონტროლის მექანიზმი.

სმელზერმა შექმნა არეულობის მომწიფების საკმარისად ზუსტი მოდელი. არეულობების სოციალურ-სტრუქტურულ მიზეზებზე მიუთითებდა აგრეთვე ორი კომპეტენტური კრიმინოლოგიური კომისია, რომლებმაც გამოიკვლიეს 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში მომხდარი სტუდენტური და რასობრივი არეულობები და თავიანთი ანგარიშები გამოაქვეყნეს 1968 და 1969 წლებში.

70-იანი წლების დასაწყისში გაიმართა პოლემიკა ორ ამერიკელ სოციო-





ლოგს ნ. ჯ. სმელზერსა და ჯ. ნ. სკოლნეკს შორის, რომელიც დღესაც კი არ არის დამთავრებული. სკოლნეკი თვლის, რომ „განზოგადებული წარმოდგენის“ ცნებით სმელზერი თავის მოდელში უშვებს კოლექტიური ქცევის იდეალურ ლობას და ამით დისკრედიტაციას უწევს კოლექტიურ პროტესტს. სკოლნეკი თავის მიერ გაკრიტიკებულ მოდელს უპირისპირებს შეხედულებას, კერძოდ, იმას, რომ არეულობები — ეს არის რაციონალური პასუხები განსაზღვრულ სოციალურ უწყესრიგობებზე. სმელზერი პასუხობს, რომ მისი ოპონენტი არაკრიტიკულად აღიქვამს პროტესტის გამომთქმელთა იდეოლოგიას და თვითონ დგება მათ პოზიციაზე. ჩემი შეხედულებით, ამ კამათში სმელზერი მართალია, ვინაიდან ყველა არეულობას როდი აქვს რაციონალური გაგება და სოციალურ-სტრუქტურული მიზეზები.

### **მასობრივი არაულოგავის მიზეზების თანახმადროვე თეორიები**

არეულობის წარმოშობა — არის მრავალმხრივი და კომპლექსური პროცესი. მასში თავისებურ როლს თამაშობენ ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. არეულობების მიზეზების თეორიები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იყოს ემპირიული და ექსპერიმენტულად შემოწმებული. დავასახელებ სამ თეორიას, რომელთა სისწორე ემპირიულად საკმარისად არ არის დადასტურებული:

1. **რეგრესიის კრიმინალურ-ბიოლოგიური თეორია** ეყრდნობა აღამიანში აგრესიული ინსტიქტის არსებობას და არეულობაში ხედავს მის დაბრუნებას ცხოველური მდგომარეობისაკენ.

2. **გადადების ფსიქონალიტიკური თეორიის** თანახმად, არეულობების მონაწილეებს ძლევენ და ხიბლავენ შეუგნებელი განზრახვები, გრძნობები და აფექტები.

3. **კონვერგენციის ფსიქონალიტიკური თეორია** ამტკიცებს, რომ არეულობების მონაწილენი ხდებიან ინდივიდუუმები ერთმანეთის მსგავსი პიროვნული მახასიათებლებით, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა პიროვნული განსხვავებანი, საზოგადოების „ფსკერის“ წარმომადგენლები.

აღნიშნული თეორიები მეტისმეტად ზრდიან ინდივიდუუმის როლს, არ ითვალისწინებენ რა არეულობების მონაწილეთა ქცევისა და მოტივების ნაირგვარობას. ერთთათვის, მთავარია, გამოხატონ პროტესტი, მეორეთათვის — გამოიყენონ სიტუაციის დროს შექმნილი ქაოსი, მესამენი — უბრალოდ პასიური მაყურებლები არიან.

სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიების უმრავლესობით აიხსნება არეულობების მხოლოდ ცალკეული ასპექტები. მაგრამ მათი მიზეზების მრავალმხრივობა და გამაფრთხილებელ-მაკონტროლებელი მექანიზმების თავისებურებები შეიძლება გაითვალისწინონ მხოლოდ ამ თეორიების კომბინაციების დროს.

**სოციოლოგიური თეორიები** წარმოდგებიან საზოგადოებრივი და ჯგუფური საფუძვლებიდან.

1. **სოციალურ-სტრუქტურული თეორიები** ასაბუთებენ მასობრივი არეულობების მიზეზების მრავალრიცხოვნობას, აღნიშნავენ რა, რომ თითოეულ მათგანს ფესვები აქვს გადგმული კონკრეტულ სოციალურ სტრუქტურაში. ასე, მაგალითად, არეულობების დაწყება შეიძლება გამორიყვიოს სოციალურ-ეკონომიკურმა სიძნელეებმა, აუხდენელი ოცნებების იმედგაცრუებამ, ფრუსტრაციამ.



არეულობები ძალზე ხშირად ხდება გარდატეხისა და კრიზისის დროს, ვინაი-  
დან გამაღებულ სოციალურ ცვლილებებს მიეყავართ პოლიტიკური და სოციალური  
არამდგრადობისაკენ, გაურკვევლობისა და დაურწმუნებლობისაკენ, ნო-  
ლო აქედან—საყოველთაო დაბნეულობისაკენ. ტრადიციული ნორმები და სტან-  
დარტები არ გამოდგება ახალი პრობლემების გადასაწყვეტად, ადრინდელი სო-  
ციალური კონტროლი უმოქმედო ხდება. ახალი სიტუაცია მოითხოვს ორიენ-  
ტირების სწრაფ განახლებას, ადაპტაციის უდიდეს დაჩქარებას ახალი სოცი-  
ალური ნორმებისაკენ.

**2. ნორმების წარმოქმნის თეორია აღნიშნავს, რომ ადამიანების მასობრივი**  
შეკრებისას, არეულობების დროს, ურთიერთმოქმედების პროცესში და კოლექ-  
ტიური გადაწყვეტილებების გამოძეგვებისას, წარმოიშობა ახალი (ჯგუფური)  
ნორმები. სამართალი და სამართალდარღვევა ახლებურად განიმარტება. არეუ-  
ლობის სიტუაციის განსაზღვრა — ეს არის რეალური სინამდვილის აღდგენის  
აქტიური პროცესი. ხალხის მასა თვითონ აღდგენს თავისთვის ნორმატიულ საზ-  
ღვრებს, მაგრამ ეს არ ხდება ერთი არეულობის განმავლობაში. ახალი ნორ-  
მატიული სტრუქტურის წარმოშობა არ ნიშნავს იმას, რომ არეულობის ყველა  
მონაწილეს გააჩნია ერთნაირი შეხედულება.

**3. სტრუქტურის წარმოქმნის თეორია იმაზე მიუთითებს, რომ არეულო-**  
ბების დროს ფუნქციებისა და როლების განაწილება ხდება მის მონაწილეთა  
შორის, ამასთან, წარმოიქმნება ხელისუფლებისა და იდეოლოგიის მოკლედრო-  
ული ლოკალური სტრუქტურა.

**ფსიქოლოგიური თეორია** განიხილავს არეულობების მონაწილეთა პიროვ-  
ნულ თავისებურებებს. მიდრეკილება ძალადობისაკენ ყალიბდება ოჯახსა და  
სკოლაში სოციალიზაციის დეფექტების შედეგად. ძალადობრივი მოქმედებე-  
ბისა და ფსიქოლოგიურად მათი გამართლების ჩვევები შეითვისება ძალადობის  
სუბკულტურაში. პიროვნებები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ძალადობისაკენ,  
არეულობებში ექებენ თავგადასავლებს, თვითდამკვიდრების სოციალური იდენ-  
ტიფიკაციის მოპოვების შესაძლებლობებს. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ის ადა-  
მიანები არიან, რომლებიც ზუსტად ვერ აყალიბებენ თავიანთ აზრებს, მშვი-  
დობიანად, სიტყვიერად ვერ გადაჭრიან პიროვნებებს შორის წარმოშობილ  
კონფლიქტებს. მათთვის არეულობები წარმოადგენს ძალადობის გამოყენებაში  
გამოცდილების შექმნისა და სრულყოფის გამოსაცდელ პოლიგონს.

**სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიები** იხილავენ არეულობების შიდა თა-  
ვისებურებებს და მათი განვითარების სტადიის პრობლემებს.

თითოეულ არეულობას წინ უსწრებს სოციალური დაძაბულობის ზრდისა  
და დაგროვების პროცესი. არეულობების გამომწვევი ფაქტი შეიძლება იყოს  
ტრივიალური და ხშირ შემთხვევაში ჰქონდეს სიმბოლური მნიშვნელობა. იგი  
თამაშობს კატალიზატორისა და სოციალურ-სტრუქტურული მიზეზების უშუა-  
ლოდ ძალადობრივ მოქმედებად გარდამქმნელის როლს. უმრავლეს შემთხვევაში  
ამ როლში გამოდის პოლიციური წინააღმდეგობა, რომელიც დრამატიზდება  
იმიტ, ვის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული. პოლიციელები განიხილებიან  
არა როგორც წესრიგის დამცველებად, არამედ როგორც საზოგადოებრივი  
უწყსრიგობის სიმბოლოებად. ამასთან ერთად, იდეოლოგიურ დამუშავებას, აგი-  
ტაციას, ჭორებს შეუძლიათ დააჩქარონ და გაამწვავონ სიტუაცია, მოაახლოვონ  
ძალადობრივი მოქმედებები.

როდესაც იწყება უშუალო შეჯახება ადამიანთა ჯგუფებსა და პოლიციას



შორის, საქმე მიდის კონფლიქტამდე „თავისა“ და „სხვა“ ჯგუფს შორის „თავის“ ჯგუფში ძლიერდება სოლიდარობა ერთმანეთთან და „სხვა“ ჯგუფის ათვალისწინება. წარმოიშობა სიამაყე „თავისი“ ჯგუფისადმი, მისი სტრატეგია გადაფასება, იზრდება სოციალური დისტანცია და მტრობა „სხვა“ ჯგუფის მიმართ, მისი შესაძლებლობების სათანადოდ შეუფასებლობა.

კონფლიქტის შემდგომ გაღრმავებასთან ერთად, ეს პროცესი იზრდება. სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის მიხედვით, მტრული ჯგუფები არა მარტო ურთიერთგაირებენ ერთმანეთზე, არამედ ორმხრივად აფასებენ და ინტერპრეტირებენ თავიანთ თავს და თავიანთ ქცევას, რა თქმა უნდა, „სხვა“ ჯგუფსა და მის ქცევას მცდარი შეფასება და ინტერპრეტაცია ეძლევა. ვითარდება ძალადობის სპირალურად მზარდი პოტენციალი, თავდაპირველად „სხვა“ ჯგუფის ქცევა განიხილება როგორც პროვოკაცია, როგორც „თავისი“ ჯგუფის ღირსების ხელყოფა, ხოლო შემდგომ ეტაპზე პროცესი მეორდება მეორე ჯგუფის მხრიდან, შემდეგ უკვე წარმოიშვება ძალადობის ესკალაცია.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების დროს დადასტურდა, რომ მასის ანონიმურობის პირობებში ძალადობისაკენ მისწრაფება იზრდება. ქრება საზოგადოებისაგან დაგმობის შიში, ანონიმურობის ნიღბის ქვეშ წარმოიშვება განზრახვა, გასაქანი მისცეს ძალადობას, მწყობრიდან გამოდის თავშეკავებისა და პირადი პასუხისმგებლობის მექანიზმები, ირღვევა თვითრეგულაციის მექანიზმები, არეულობების მონაწილეთა მხრიდან, ანონიმურობა ძლიერდება ბრბოს უსახობით, ხოლო პოლიციელების მხრიდან — ჩაფხუტებითა და დამცველი ტანსაცმლით.

შემდგომში ორივე მხრიდან წარმოჩინდება ნეიტრალიზაციისა და თვითგამართლების მექანიზმები: თავიანთ თავს თვლიან მხოლოდ ამსრულებლებად, მსხვერპლი უფასურდება, მხოლოდ მათ სდებენ ყველაფერში ბრალს, უარყოფენ პასუხისმგებლობას საკუთარი ქცევისათვის, მაგალითად, არეულობების მონაწილეებს შეუძლიათ თავის გამართლებისათვის გამოიყენონ პოლიტიკური სკანდალები, ვინაიდან ისინი ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური სისტემა მთლიანად არის კორუფციით გაჟღენთილი.

ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ თუ მოწინააღმდეგე ძალთა შეჯახებამ უკვე მიგვიყვანა მწვავე კონფლიქტამდე, არეულობა იწყებს აჩქარებას, და საქმე მიდის ნამდვილ დამანგრეველ გაბრუებამდე.

### არეულობების ასახვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

პლურალური საზოგადოების პირობებში სამეურნეო და სოციალური ურთიერთობების სტრუქტურაში მომწიფებულნი ცვლილებების გაჭიანურება წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს, არეულობების თავიდან აცილების მიზნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში მოვალენი არიან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მისცენ სათანადო შესაძლებლობა, რათა სადაო პრობლემები საჩაროდ განიხილონ.

ხშირად თავისდროულად არ ხდება ამგვარი სოციალური კონფლიქტების გათვითცნობიერება, მათ არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას, ან ისინი არასწორად გადმოიკვამ პოლიტიკოსებისა და ყურნალისტების მიერ, ამავდროულად ამ პრობლემების გადაუწყვეტლობა აისახება სოციალურად ნაკლებად დატულ საზოგადოებრივ ჯგუფებზე და გრძელდება ძველვარება საზოგადოების წიაღში, ამ შემთხვევაში პროტესტულად განწყობილი პარტია ხშირად გამო-



სავალს ზედავს ძალადობის გამოყენებაში, რათა მიიქციოს ყურადღება თავისი საქმიანობისადმი და გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შეცვლაზე. ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის არასდროს არ უვლიან ძალადობრივ პროტესტებს, არეულობების მოწყობა უმრავლეს შემთხვევაში არის ცდა იმისა, რომ მიაქციონ საზოგადოებრიობის ყურადღება სოციალურ უწყისრიგობებზე. თუმცა ამ მომენტებზე, როგორც წესი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ არ ხდება აქცენტის გაკეთება, ისინი ძირითადად აღწერენ ძალადობის გარეგან გამოვლენას, ხშირად ზედმეტად ამძიმებენ რა მას. სენსაციური მოვლენების დრამატული ასპექტების აღწერით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ართობენ პუბლიკას, მაგრამ არასაკმარისად აცნობენ მას არეულობების სოციალურ-სტრუქტურულ მიზეზებს, მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს. კონფლიქტის მონაწილენი ზოგჯერ წარმოგვიდგებიან ერთი კუთხით, როგორც სიმშვიდის დამრღვევნი, რომლებიც კმაყოფილებას განიცდიან ნგრევითა და ძალადობით. ამით კონფლიქტი, რომელიც საფუძვლად უდევს არეულობას, კიდევ უფრო რთულდება. ის სრული სახით არ დაიყვანება საზოგადოებრივ შეგნებამდე, არ იქცევა ღრმა ანალიზის ობიექტად. არამედ წინასწარვე ცხადდება სოციალურად მავნე მოვლენად.

პირდაპირი ეთერის ტელერეპორტაჟებს შეუძლიათ მხოლოდ არეულობების შემდგომი განვითარების პროვოცირება მოახდინონ. ოპერატორების ყოფნა კონფლიქტის ადგილზე და ტელერეპორტაჟები მოქმედებისაკენ უბიძგებს კონფლიქტური ჩგუფის წარმომადგენლებს: ისინი ვალდებულია თვლიან თავს ჩაერიონ სიტუაციაში, ფიქრობენ, რომ სწორედ ამას მოითხოვს მათგან მაყურებელი. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ჩგუფებს კი შეუძლიათ გამოიყენონ ტელეინფორმაცია ძალადობის ესკალაციის გასამართლებლად.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოვალენი არიან საჭირო მომენტში მისცენ კონფლიქტურ პარტიებს საკმარისი შესაძლებლობები, რათა მოხდეს კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანად და ურთიერთმისაღები პირობებით. არაა საჭირო, რომ არეულობები შეძლებისამებრ გადაიკეს პირდაპირი ეთერით, აუცილებელია მხოლოდ მათი ობიექტური ანალიზი და ყურადღების გამახვილება სოციალურ მიზეზებსა და შედეგებზე.

## არეულობების თავიდან აცილება

რადგანაც მასობრივი არეულობები (გარდა ე. წ. უსაფუძვლოებისა) წარმოდგენენ სოციალურად მწვავე კონფლიქტების გამოვლენის ფორმას, რომელთაც ფესვები სოციალურ-სტრუქტურულ ნაკლოვანებებში აქვთ. პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა ამოცანაა, დროულად წარმოაჩინონ ეს ნაკლოვანებები და აქციონ ისინი საჯარო საზოგადოებრივი განხილვის საგნად. მასობრივი არეულობების გამომწვევი კონფლიქტების გადაწყვეტა არ უნდა იყოს პოლიციის ამოცანა, ეს უკანასკნელი მაშინ ერევა მოვლენებში, როდესაც ისინი უკვე მომხდარნი არიან, ე. ი. ძალზედ გვიან.

არსებობს მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია არეულობების წინასწარ თავიდან აცილება. პირველ რიგში, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება, რათა მთელი მოსახლეობა ერთმნიშვნელოვნად გამობდეს ძალადობის გაუმართლებლად გამოყენებას. ამასთან „ძალადობის“ ცნება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური ძალადობით, ბავშვების



აღზრდა მაგალითის ძალით, ძალადობრივი სასჯელების გამოყენების გარეშე, კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგების გამოცდილება ოჯახსა და სკოლაში — ყველაფერი ეს ემსახურება მომავალში კრიმინალური ძალადობის თავიდან აცილებას. კანონით, ფიზიკური სასჯელების აღკვეთა შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან აღმზრდელობით საშუალებად.

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები მზად უნდა იყვნენ მოქალაქეებთან თავაზიანი დიალოგისათვის მათი მოთხოვნილებებისა და სიფრთხილეების შესახებ, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ გადაჭრან მოძველებული კონფლიქტები ორმხრივი შეთანხმებით. საჭიროა გაფართოვდეს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში, განსაკუთრებით თემების დონეზე, მეწარმეებმა, პოლიტიკოსებმა, მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა, ცნობილმა სპორტსმენებმა და საერთოდ გამოჩენილმა ადამიანებმა. ღრმად უნდა შეიგნონ, რომ მათ მიბაძავენ, და რომ პოლიტიკურ სკანდალებს კომპრომეტირებას უწყევნ, საზოგადოებრივი ძალები.

შეძლებისდაგვარად არ უნდა დაფუშვთ სოციალური დებორჯანიზაციის კერების წარმოშობა, მაგალითად, ლარიბთა გეტო ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არქიტექტურა და ქალაქის დაგეგმარება, რაც აბრკოლებს დამნაშავეობის განვითარებას. მათ ხელი უნდა შეუწყონ ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობების სტილს, რაც დაფუძნებულია სამეზობლო კონტაქტების განვითარებასთან, საერთო ტერიტორიული ინტერესების გაგებასთან.

გუნდურ თამაშობებში, მაგალითად ფეხბურთსა და ჰოკეიში, ყურადღებისა და შეფასების ძირითად ობიექტად უნდა იქცეს თამაშის ტექნიკა, მისი შინაარსი, შეთანხმებულობის ესთეტიკა და ადამიანური კოოპერაცია. დღეს ბევრი სპორტსმენი მისწრაფვის აგრესიული პროფესიონალური სუბკულტურისაკენ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალადობრივი თამაშის გამართლება და მაღალი შეფასებაც კი. მაგალითად, ფეხბურთი დღეს იქცა დაუნდობელ დავად სიმბოლოების, საფეხბურთო კლუბებისა და ქალაქებისა მორალური მნიშვნელობების, პატივისცემის, პრესტიჟის შესახებ, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. ეს ბრძოლა დაუნდობელია, ვინაიდან სიმბოლოების შესახებ დავაში კომპრომიტები არ არსებობს.

### არეულობების კონტროლი

არეულობების კონტროლის ფუნქცია დაკისრებული აქვთ სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემასა და განსაკუთრებით კი — პოლიციას. რადგანაც არეულობები ხშირად წარმოიშობა დემონსტრაციების დროს, ძირითად ამოცანად იქცევა ხელი შეუწყონ მათ მშვიდობიანად ჩატარებას.

პოლიციამ უნდა გააადვილოს მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარება და ამისათვის იზრუნოს ორგანიზატორებთან მოქმედებების კოორდინაციისათვის დემონსტრაციამდე, დემონსტრაციის დროს და მის შემდეგ, ბოლო მასობრივი მიტინგების დროს — ერთობლივი შეთანხმებით დაგეგმოს მათი ჩატარება. პოლიციამ შეძლებისდაგვარად უნდა გაამახვილოს კონტროლი თვითონ დემონსტრანტებზე. არ არის აზრს მოკლებული, თუ დემონსტრაციის ჩატარების შემდეგ მოხდება მისი განხილვა ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის. იგი ხელს შეუწყობს მომავალში მოწყობილი დემონსტრაციების მშვიდობიანად ჩატარებას, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმე მიდის პოლიტიკურად მო-



ტივირებული ძალადობის გამოყენებამდე. ამიტომ ყოველ დემონსტრაციას შეუძლია ორივე მხარე გაამდიდროს გამოცდილებით.


დემონსტრაციის წინ აუცილებელია მოსახლეობის რაც შეიძლება უკეთეს ინფორმირება, რათა ხალხმა სწორად შეიგნოს წესრიგის კონტროლისადმი პოლიციის ამოცანის სირთულეები. მოწინააღმდეგის სტერეოტიპები უნდა დაიმსხვრეს, არ უნდა მივიდეთ პოლარიზაციამდე, ძალადობის ესკალაციამდე. შეჯახებამდე პროტესტით ვანწყობილ ჯგუფებსა და პოლიციელებს შორის. პოლიცია — არის არა კონფლიქტური პარტია, არამედ წესრიგის დამცველი (მშვიდობის დამამყარებელი კონფლიქტურ პარტიებს შორის). მან უნდა ისწავლოს სტრესის გადალახვა და კონტაქტების დამყარება, დაარჩეს გულგრილი და მშვიდი ნებისმიერი პროვოკაციის პირისპირ და ყველაფერზე გონივრულად მოახდინოს რეაგირება. პოლიციელს უნდა ესმოდეს არეულობების სოციალურ-სტრუქტურული მიზეზები და მათი მსვლელობების ტიპური თავისებურებანი.

პოლიცია უნდა მოემზადოს არეულობებისადმი კონტროლისათვის, მაშინაც, თუკი ისინი არ მომხდარან დიდი ხნის მანძილზე, შეადგინოს სამუშაო გეგმები და იყოს მოვლენების კურსში, იგი ტექნიკურად უნდა იყოს აღჭურვილი და ჰქონდეს შეთანხმებული გუნდური მოქმედებების კარგი ჩვევები. ძალადობაში ბრალეულ პირთათვის ძალიან დიდი უნდა იყოს, კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემის რისკი, ამიტომ არეულობების დროს აუცილებელია არსებობდეს დამრღვევთა შეპყრობის სპეციალური ქვეგანყოფილებები და უზრუნველყოფილ იქნეს სამხილთა შეკრება. პროკურატურას უნდა წარედგინოს სამხილები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოში. არეულობებისადმი კონტროლის დროს პოლიციის წინაშე დგას ორმაგი ამოცანა, კერძოდ: აღკვეთოს წესრიგის დარღვევა და იმავდროულად მოძებნოს დამნაშავენი და მისცეს ისინი პასუხისგებაში.

რადგანაც თვითონ პოლიციის გარეგან სახეს (დამცველი ტანსაცმელი, ჩაფხუტები, ფარები) აქვს სიმბოლური ხასიათი და დამატებით შეუძლია გაამძაფროს სიტუაცია, საჭიროა თავი აარიდონ ზედმეტ აღჭურვილობას. პოლიციელები სხვადასხვაგვარად უნდა აღიჭურვონ დემონსტრაციის ხასიათიდან გამომდინარე (მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი), არ უნდა იყოს რა ორივე შემთხვევაში ერთნაირი აღჭურვილობა (ცრემლსადენი გაზის ბალონები, წყალმსხვეპლები და ა. შ.). პოლიციამ უნდა შეიგნოს, რომ დემონსტრანტთა დაშინებით ვერ შეამცირებენ ძალადობის ალბათობას. რეპრესიას ან მისი გამოყენების შესაძლებლობას შეუძლია გამოიწვიოს როგორც შიში, ასევე აღშფოთება და ამით შექმნას არ მარტო დაშინების პოტენციალი, არამედ გაბოროტების პოტენციალიც.

არსებობს არეულობების კონტროლის ავტორიტარული და დემოკრატიული სტილი. ტოტალიტარული სახელმწიფო შეუზღუდავად იყენებს თავის ხელისუფლებას ამგვარი კონტროლისათვის, დამოკიდებულს ხდის რა ამით თავის არსებობას ამგვარი კონტროლის წარმატებით განხორციელებისადმი. დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიცია არეულობების დროს მოქმედებს კანონის შესაბამისად და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. მოქმედებს რა ასე, ის მოქალაქეებს აგრძნობინებს, რომ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები მზად არიან მხარი დაუჭირონ ხალხს, არეულობების დროს სახელმწიფოს ავტორიტეტი სამართლებრივი დემოკრატიის პირობებში სერიოზულად არასდროს არ შეიბღალება.





# გალაქტიონის გარდაცვალება

(საგამოკითხავო დოკუმენტები)

ამ ათიოდე წლის წინათ თბილისის პროკურორმა ბატონმა ხოლომონ ნანიტაშვილმა დამირევა, ჩვენს არქივში გალაქტიონ ტაბიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრული საქმე ინახება და ხომ არ გაცნობითო. აბა, ამაზე უარს ვინ ეტყობა, დიდი მადლობა გადავუხადე და ნახევარ საათში აღნიშნული საქმე ჩემს მაგიდაზე გაჩნდა. საქმეს სულ გავეცანი და მისი სრული ქსერობრივ გადავადებინე. ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს ბატონ გიორგი ნატროშვილსაც ველაპარაკე ამ საქმის გალაქტიონის ფონდში გადატანის თაობაზე.


საქმის გამოძიების ხარისხი და კულტურა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქმის ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია ზერეზოდ, დაუდევრად, არაკვალიფიციურად. კანონით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევით, გამოძიების მიერ დაუდგენლად არის მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ემყარება კანონიერი წესით შემოწმებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს. არ არის გამოკვლეული ის კონკრეტული სიტუაცია, ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რამაც გალაქტიონს მიაღებინა ეს შემწარავი გადაწყვეტილება. გარკვეული არ არის, რატომ დააწვინეს გალაქტიონი საერთო პალატაში, როგორ აღიქვა მან ეს ფაქტი, ანდა, სად იწვა ხოლმე, რა მიზეზით არ მოხდა უფრო მოსახერხებელ და ტექნიკურად აღჭურვილ პალატაში მისი დაწვევა. გალაქტიონთან ერთ პალატაში მწოლიარე ავადმყოფებიც კი არ არიან დაკითხული. ამ და სხვა ხარვეზების მოუხედავად, საქმე მაინც დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი ძირითადი დოკუმენტების გამოქვეყნება, მითუმეტეს, რომ გალაქტიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის არასწორი თუ დამახინჯებული ინტერპრეტაცია დღემდე გრძელდება. ეჭვი არაა, წარმოდგენილ დოკუმენტებს ინტერესით გაეცნობა საზოგადოებრიობა, გალაქტიონის სახელთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და დეტალი ხომ ღახდაუღებელია ქართველი კაცისა და ქართული კულტურისათვის, დოკუმენტში სოციალური და ორთოგრაფიული ხასიათის უნეში შეცდომები ჩასწორებულია, დოკუმენტის დესათაურების შემდეგ ციფრებით მითითებულია ხისხლის სამართლის საქმის ფურცელი.

ალექსანდრე შუშანაშვილი

## 1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილება. 1.

1959 წ. 17 მარტი. ქ. თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურორი კვაბიძე, გავეცანი რა გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებულ მასალებს და მივიღე რა მხედველობაში, რომ 1959 წლის 17 მარტს, 18 საათზე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მე-4 სართულიდან გადმოვარდა ავადმყოფი გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 91-ე და 96-ე მუხლებით და დავადგინე: აღძვრა სისხლის სამართლის საქმე გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით და საქმის გამოძიება დავალოს გამომძიებელ მახვილიძეს.





1959 წ. 17 მარტი. ქ. თბილისი. ორჯონიძის სახელობის რაიონის პროკურატურის განყოფილებაში, პირველი კლასის იურისტ მახვილაძეს 19 საათზე ელსმენით შემატყობინა მორიგე სხიბრტყაძემ, რომ მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში გადმოვარდა და სასიკვდილო დაზიანება მიიღო ვალაკტიონ ტაბიძემ. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა 19 საათსა და 15 წუთზე რაიონის პროკურორ კიკაბიძესა და სტაჟიორ-გამომძიებელ ახვლედიანთან ერთად. ადგილზე დაძვება რაიონლიციის განყოფილების ოპერაწმენებელი ჯავაშვილი, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს დირექტორი კერესელიძე, ნერვული განყოფილების გამგე პონდოვეი, ამავე განყოფილების ექიმი ოქროპირიძე, ქირურგიული განყოფილების მორიგე ექიმი ნემსიწვერიძე, ექიმები — თოფურაძე, ყვანია, დირექტორის მოადგილე შეროზია, დირექტორმა კერესელიძემ ეზოს მხრიდან მიგვიყვანა იმ ადგილზე, სადაც მე-4 სართულიდან გადმოვარდნილა ავადმყოფი ვალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა სასამართლო ექიმი-ექსპერტი ნინიკაშვილი და თბილისის პროკურატურის სისხლის სამართლის განყოფილების პროკურორი ჭელიძე.

დათვალეობების აღმოჩნდა: შემთხვევის ადგილი, სადაც გვამი იქნა ნანახი მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს ელექტრომექანიკოსის მურადოვის მიერ, წარმოადგენს ასფალტირებულ ეზოს. შენობის მარცხენა კუთხესთან არის შესასვლელი ქვის კიბეები, რომლის მარჯვენა კუთხეში დაწყობილია ბეტონის ფილები ერთ მეტრსა და 30 სანტიმეტრის სიმაღლეზე. მიწის პირზე გამოდის საქვებზე განყოფილების ორმაგი ფანჯარა, რომლის გარეთა მხრის ზედა და ქვედა მინა ვატეხილია, ჩამოტეხილია აგრეთვე ბეტონის ფილის ზედა კუთხე. ნატეხები იქვე მიწაზე დაყრილი. სისხლის ლაქები შემჩნეული ვერ იქნა.

საავადმყოფოს დირექტორ კერესელიძის განმარტებით, შემთხვევის ადგილიდან გვამი გადაუტანიათ შენობაში, შესასვლელი კიბიდან ხუთი მეტრის მანძილზე მდებარე ავადმყოფთა მიწაზე ოთახში. აღნიშნულ ოთახში გვამი მოთავსებულია საკაცზე გულადმა. გვამს აცვია აბრეშუმის ზოლებიანი პიჯამო, თეთრი ტილოს ზედა და ქვედა საცვალი, წინდები და ტყავის ყავისფერი ფეხსაცმელი.

გვამი სწორი აგებულებისაა, კარგი კვების, ხელის შეხებით თბილია. გვამური გაშეშება არ არის განვითარებული. მკირე მოცულობის მოწითალო იისფერი გვამური ლაქები სხეულის უკანა ზედაპირზე ხელის დაჭრით ფერმკრთალდება და ისევ აღიდგენს ფერს. მარჯვენა წარბის გარეთა კუთხესთან შეინიშნება უსწორო ნაპირებიანი კანის ზერყლე ჭრილობა, სიგრძით 1,5 სანტიმეტრი, საიდანაც ჰორიზონტალურად მიემართება ორი ნაკვდვი, სიგანით 1,5-2 სანტიმეტრი. მუცლის მარჯვენა ზედაპირზე, ფერდქვეშა მიდამოში, წერტილოვანი ხასიათის ნაკვდვი და სისხლნაყენობებია. მარცხენა ხელის ცერის პირველი ფალანგის სახსარი გახსნილია. სხეულზე გარეგნულად სხვა რაიმე აღსანიშნავი ნიშანი არაფერია.

ოთახში, სადაც საკაცზე გვამია დასვენებული, მარცხენა კედელთან დგას ავადმყოფის გასასინჯი ტახტი და ორი რბილი საყარძელი. კუთხეში დგას ტუმბოჩქა.

საავადმყოფოს დირექტორ კერესელიძის მითითებით, დათვალეობა ოთახი, საიდანაც ავადმყოფი გადმოვარდა. ოთახი არის მე-4 სართულზე, № 92. იგი წარმოადგენს ნერვული განყოფილების გამგის პონდოვეის სამუშაო კაბინეტს. ოთახს აქვს შესასვლელი საერთო დერეფნიდან და ორი ფანჯარა, ერთი — შესასვლელი კარის მარცხენა კედელში, ხოლო მეორე — მოპირდაპირე, მხარეზე. ფანჯრები არის ორმაგი. მათ დაბლა დაყენებულია ცენტრალური გათბობის რადიატორი, თითოეული 9 სექციით. მანძილი კარებიდან მოპირდაპირე კედლის ფანჯარამდე, საიდანაც გადავარდა ავადმყოფი ტაბიძე, არის 5 მეტრი. შესასვლელი კარების მარჯვენა, კედელთან დგას ავადმყოფის გასასინჯი ტახტი, რომელზედაც გადაფარებულია თეთრი ზეწარი. ტახტზე დევს საავადმყოფოს ხალათი, რომელიც ექიმ ოქროპირიძის განცხადებით ეცვა ავადმყოფ ტაბიძეს. მარცხენა კედელთან ფანჯარა ღია და მისგან 30 სანტიმეტრის დაცილებით დგას ვენური სკამი კარებისკენ მისაბჯენი ზურგით. ოთახის მარცხენა კუთხეში დგას საწერი მაგიდა ფანჯარაზე არავითარი ფეხის კვალი არ არის. მანძილი ფანჯრიდან ეზოს ზედაპირამდე, ესე იგი ტაბიძის გადავარდნის ადგილიდან დაკემის ადგილამდე 13 მეტრია.

ავადმყოფის გასასინჯ ტახტზე ნანახი ხალათის ერთ ჯიბეში აღმოჩნდა: სახელმწიფო ნიშნის ფული 50 მანეთიანი ხუთი ცალი, 10 მანეთიანი სამი ცალი, მანეთიანი ერთი ცალი, სულ 281 მანეთი; № 3525 შემნახველი სალაროს წიგნაკი № 94170, გახსნილი ვალაკტიონ ვასილის ძე



ტაბიძის სახელზე. 1959 წლის 16 მარტის თარიღით ნაშთი ნაჩვენებია 26295 მანეთი და 46 კაპიკი; შრომის უუნარობის ფურცელი № 089933, გაცემული მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მე-4 მარტის თარიღით, ვალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის სახელზე დიაგნოზით „ნიპერტონია, ათეროსკლეროზი“, დახურულია 15 მარტს, უბის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერით უბის წიგნაკში დევს თეთრი ქალაღი, ზომით 30x8 სმ., რუსულ ენაზე დაწერილი ლექსით. ხელს აწერს ვინმე ზაკომოლოდინი. ჩანაწერი გაკეთებულია ლურჯი მეღწილით.

ხალათის მგორე ჯიბეში ნანახი იქნა პაპიროსის „რეკორდის“ კოლოფი, რომელშიც დევს ექვსი ცალი პაპიროსი, აქედან სამი ცალი ნაწიწავი და ასანთის სამი კოლოფი: პატარა ზომის სავარცხელი, ცხვირსახოცი და ნაცრისფერი სხვადასხვა ფერის ზოლით, კარების ორი ცალი თიბერის ვასალები, ხუთი სანტიმეტრი ზომის უბრალო, შავი ფანქარი „ავტორსკი“.

ღირეჭტორ კერესელიძის მითითებით, ამავე სართულზე დათვალიერდა № 7 პალატა, სადაც 17 მარტიდან იწვა ავადმყოფი ტაბიძე. ოთახი არის 16 კვ. მეტრი. კარების მარჯვენა კედელთან დგას სამი საწოლი, რომელთაგან ორზე წვანან ავადმყოფები: ალექსანდრე მეთოდეს ძე ალავეიძე და აკაკი ტერენტის ძე დუგლაძე. შესასვლელიდან პირველი საწოლი, რომელიც ეკუთვნოდა ტაბიძეს, თავისუფალია. საწოლს გადაფარებული აქვს ღია ვარდისფერი შალის ნაქსოვი საბანი. ღირეჭტორ კერესელიძის განმარტებით მორიგე ექთან ანანიაშვილს ბალიშის ქვეშ უპოვნია ტაბიძის სათვალეები, რაც გადმოშვა.

გვამი გადმოტანილ იქნა ამავე საავადმყოფოს პროზექტურაში. ფული 281 მანეთი, შემნახველი სალაროს წიგნაკი, უბის წიგნაკი, ვასალები, სავარცხელი, პაპიროსის კოლოფი, შრომის უუნარობის ფურცელი, ფანქარი და სათვალეები, ამოღებულ იქნა და დაერთო საქმეს. დათვალიერება დამთავრდა 22 საათზე.

### 3. ვლადიმერ მურადოვის დაკითხვის ოქმი. 23-24.


1959 წ. 18 მარტი. ქ. თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა, პირველი კლასის იურისტმა მახვილაძემ მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში დროებითი წესების 19-23 მუხლების დაცვით, დაგვიხმე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე მურადოვი, დაბადებული 1932 წელს, ასირიელი, უპარტო, საშუალო განათლების მქონე, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს ელექტრომონტორი, სამართალში არ ყოფილი, რომელმაც აჩვენა: ამ საავადმყოფოში ვმუშაობ ელექტრომონტორად. მუშაობას ვამთავრებ ექვსის ნახევარზე. გუშინ, 17 მარტს, ჩვეულებრივ დროს დავამთავრე მუშაობა და ეზოდან პირველ სართულზე შევედი ფეხსაცმელების სახელოსნოში, სადაც დამხვდა ხელოსანი გურგენა და ჩემი ორი ამხანაგი — ნოდარ სიმონიანი და ედუარდ ოსიპოვი. უცებ გავიგონეთ რაღაც ჩამოვარდნის თუ მძიმე საგნის დავარდნის ხმა. არავითარი ყვირილი ამას არ მოჰყოლია. დაახლოებით ნახევარი წუთის შემდეგ გამოვედი სახელოსნოდან და გამომყენენ ჩემი ამხანაგები. ეზოში დავინახე ვიღაც ახალგაზრდა, დაახლოებით 19-20 წლის, დაბალი, შავგვრემანი; ეცვა შავი პალტო და ღია ფერის სუშპა ეჭირა ხელში. იგი ელაპარაკებოდა ავადმყოფს რომელიღაც სართულზე, ეტუბოდა, მნახველი იყო, ჩვენ რომ გამოვედით, ის ვაეი მობრუნდა ჩვენსკენ და გვითხრა — ვიღაც ჩამოვარდა ზევიდანო. მე მივედი კიბეებთან, სადაც ეწყო ბეტონის ფილები და იქვე იწვა ვიღაც მამაკაცი. ავედი კიბეებზე, ზევიდან გადმოვხედე და ვიციანი გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც თავი კიბის კედლისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ხოლო ფეხები ფანჯრისაკენ. იმ წუთშივე დავეჭახე მეკარეს. იგი არ იყო. გავაღებინე კარები ჩვენს პარკიანხერ ვალიკო ფრანგიშვილს, შევედი სამორიგეოში. იქ დამხვდა მორიგე ექიმი კანდილაკი. მას ვუთხარი ტაბიძე ჩამოვარდნილა-მეთქი და ავირბინე მე-ერთხე სართულზე, სადაც პარკიანხერ ვალიკოს თქმით იწვა ტაბიძე. მეთთხე სართულზე დამხვდა ექიმი თუ ექთანი და იმას ვუთხარი რაც მოხდა, ჩამოვედი ძირს, ვალიკოს უკვე საკაცე ეჭირა ხელში და ჩაიღოდა ეზოში. მე, ვალიკომ, ექიმმა და პირველად რომ მითხრა, იმ ვაჟმა დავაწვინეთ ტაბიძე საკაცეზე და შევიტანეთ პირველ სართულზე — ავადმყოფთა მისაღებ ოთახში. მერე მოვიდნენ სხვები, სხვა საქმეზე არაფერი ვიცი.

ჩვენება წავაგითხე, სწორეა და ხელს ვაწერ.

### 4. ვაგარეილ კონდოევის დაკითხვის ოქმი. 12-13.

1959 წ. 17 მარტი. ქ. თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა, პირველი კლასის იურისტმა მახვილაძემ, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში,





დროებითი წესების 19-23 მუხლების დაცვით, დავკითხე გაბრიელ სერგის ძე პონდოვეცი, **სამმართველოს** დებულები 1875 წელს, სომეხი, უპარტიო, უმადლესი განათლების მქონე, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს ნერვული განყოფილების გამგე, სამართალში არ ყოფილი, რომელმაც აჩვენა:

მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში ვმუშაობ 1929 წლიდან. ვარ ნერვული განყოფილების გამგე. განყოფილება მეოთხე სართულზეა. იმავე სართულზეა ჩემი სამუშაო ოთახი. გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც ჩემს ავადმყოფს, ვიკნობ დაახლოებით 10-12 წელია. იგი სრაციონარულად მკურნალობდა. მისი დაავადება იყო ქრონიკული ალკოჰოლიზმი, პიპერტონია, სისხლის მიღების სკლეროზი და თავის ტვინის მიღების სკლეროზი. გადიდებული ჰქონდა გული და ღვიძლი. როგორც ავადმყოფი იყო წყნარი და დამჯერი. 1959 წ. 19 იანვრიდან 5 მარტამდე ტაბიძე იწვა ჩვენიან სამკურნალოდ. კარგად გრძობდა თავს და მისი სურვილით გაეწერა. ამის შემდეგ იგი პირველად ვნახე დღეს — 17 მარტს. ღლის ორის ნახევარზე შემოვიდა ჩემს ოთახში, უკვე მიღებული დასაწოლად. იგი წორმალურად ლაპარაკობდა. მე და განყოფილების ექიმ ოქროპირიძეს გვიამბო თავისი ავადმყოფობის ისტორია. იგი უჩიოდა გულის არეში ტვივილებს, საერთო სისუსტეს, თქვა, რომ უქანასენელი ხუთი დღე სვამდა, ხოლო დღეს არ დაუფლევია. გაუსინჯეთ მაკა, ჰქონდა რითმული 84, ტონები ყრუ. სისხლის წნევა 180/80. იქვე ტაბიძე დაეაწვინეთ, გაუსინჯეთ ფილტვები, გული, მუცლის ორგანოები, ენახეთ გული და ღვიძლი გადიდებული პერიფერიული სისხლის მიღების სკლეროტიული. ტაბიძე წავიდა მე-7 პალატაში, სადაც მის ვარდა წევს ორი ავადმყოფი. ღლის ოთხის ნახევარზე მე და ოქროპირიძემ დაამთავრეთ მუშაობა და წავედით სახლში. საღამოს 7-8 საათზე დამირიქეს ბინაზე, რომ ტაბიძე გადავიარდა და სასიკვდილოდ დახიანდა. იმავე წუთში წამოვედი და ტაბიძე ენახე უკვე გარდაცვლილი. როდესაც გაესინჯე იგი არც მთვრალი და არც ნასვამი არ ყოფილა. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ სამუშაო ოთახს არ ვკეტავ, დამლაგებელი ალაგებს და ის კეტავს, დილით რომ მოვდივარ ოთახი ღია მხვდება. ტაბიძე ჩემთან ოთახში შემოვიდა მარტო, არავინ არ მოყოლია. პალატაში იყო ვინმე თუ არა მასთან მნახველი, არ ვიცი, მას არ ჰქონდა ისეთი მძიმე მდგომარეობა, რომ გვეფიქრა, ასეთ შედეგზე. ჩვენებაზე დასამატებელი არაფერი მაქვს, წავიკითხე სწორება და ხელს ვაწერ.

**5. ნოდარ ტაბიძის დაკითხვის ოქმი. 16, 61-63.**

1959 წ. 17 მარტი. ჭ. თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა, პირველი კლასის იურისტმა მახვილამძე მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში, დროებითი წესების 19-23 მუხლების დაცვით, დავკითხე ნოდარ პარკლეს ძე ტაბიძე, დაბადებული 1931 წელს, ქართველი, სკკპ წევრი, უმადლესი განათლების მქონე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-მუშაი, სამართალში არ ყოფილი რომელმაც აჩვენა:

გალაკტიონ ტაბიძე არის ჩემი ბიძა (მამის ძმა), ეცხოვრობთ ერთ ბინაში — მარჯანიშვილის ქუჩა № 4. წლების განმავლობაში ბიძა ავადმყოფობდა (ნერვული დაავადება, ალკოჰოლიზმი). უქანასენელ ხანებში უფრო მტკივნეულად განიცდიდა სისუსტეს, შედარებით ნაკლებად იკურდა თავს. გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული თითქმის სულ ავად იყო. თვეების განმავლობაში იწვა და მკურნალობდა მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში. დაახლოებით ათი დღის წინათ გამოეწერა საავადმყოფოდან, სადაც 40 დღემდე დამყო. სამუშაოდ, მკურნალობა შედეგისანი ვერ გამოდგა, ბიძამ ვერ მოახერხა სმის მიტოვება. ამ დღეებშიც გრძელდებოდა ბოკება. გუშინ დილით წამოვიყვანე საავადმყოფოში, მაგრამ ნასვამი იყო და არ ისურვა ექიმისათვის მოეცადა. ამ დილით სახლიდან გამოვედით 9 საათსა და 30 წუთზე, ჩავსხედით მანქანაში და პირდაპირ საავადმყოფოს მოვაშურეთ, წამოსვლის წინ დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა ჩემსა და ბიძას შორის:

— გუშინ შეგვიპირდნენ ბიძა, მაგრამ თქვენ არ ისურვეთ მოცდა, დღეს აუცილებლად უნდა წავიდეთ, თორემ შეიძლება შემდეგ საავადმყოფოში აღვილიც არ აღმოჩნდეს.

— აუცილებლად უნდა წახვიდე, გალაკტიონ — ეუბნებოდა მეუღლემ. ბიძა თავს იკავებს არ სურს წამოსვლა.

— არ ღირს, ხვალ წავიდეთ, ახლა ცუდი ამინდია — ცალკებად ამბობს.

— არ შეიძლება, თქვენც ხომ კარგად გრძობთ, აუცილებელია მკურნალობა, ხვდა გიმოსავალი არაა, არ, აქვე მანქანას დავიკვირთ და პირდაპირ მივალო.

ვაკმევე პიჯაკს, პალტოს და თუმცა ყოყმანობს, მაგრამ ჩანს თავს იმორჩილებს და მომყვება იმ გადაწყვეტილებით, რომ დაწვეს.



დაველოდეთ ექიმ ირაკლი ფალავანდიშვილს. გალაკტიონი შედარებით მშვიდობიან განწყობილებზეა. მხოლოდ ერთხელ სცადა ქვედა სართულზე ჩასვლა; ალბათ, ალკოჰოლის ეფექტებამ (იქ, მგონი ბუფეტი უნდა იყოს), მაგრამ არ გაუღწევი. ჩანს მის გონებაშიც ბრძოლა გაუძლიერებლად რომ დამთანხმდა. იქდა ვესტიბულში, ბოლოსაც სცემდა. ესაუბრა დირექტორ კერესელიძეს, როგორც კი გამოჩნდა ექიმი ფალავანდიშვილი იმ წუთშივე მივიდა და სთხოვა:

— მიშველე ირაკლი, ავად ვარ, სუსტად, დამაწყინეთოქვევინან.

საბუთები გააფორმეს. მეორე ვესტიბულში დავეუცადეთ ტანსაცმელს. იქ თანამშრომლებსა და ავადმყოფებს, ესაუბრებოდა. ამ დროს გამოჩნდნენ მწერლები. შალვა დადიანის ნეშტის გასასვენებლად მოვიდნენ. მიესალმნენ გალაკტიონს. ირაკლი აბაშიძემ უთხრა:

— რა დაგემართა გალაკტიონ?

— ცუდად ვარ, ავადმყოფობ.

— აბა, შენ იცი, თავს მოუარე, დაწევი, დაისვენე.

მეორე ხნის შემდეგ ჩამოდის ექიანი. შეგდევართ გასახდელში. ვხდი ტანსაცმელს, ვაცმეგ საავადმყოფოს ფორმას. გამოვდივართ. ბიძია მეუბნება:

— ხშირად მოდი, ტელეფონით დამირეკე. სახლში უთხარი ხშირად დამირეკონ, შეიარე და ვაიგე, როგორა წიგნების საქმე. ვემშვიდობებით ერთმანეთს. იგი ლიტვით აყავთ ზემოთ, დღის 5 საათი და 30 წუთი იქნებოდა. ტანსაცმელი სახლში წავიღე. ცოლს მოვუყვიე ყველაფერი და სამუშაოდ წავედი. დავბრუნდი სახლში ათის ნახევრისათვის და ეს ამბავი დამხვდა... დაახლოებით ათი წლის წინათ ბიძიას ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ერთ სამსუხარო, ანალოგურ ფაქტს — ხილდან გადავარდა მტკვარში, მაგრამ ეს აყო წუთიერი აფეთქება. ჩანს, როცა წყალში ჩავარდა გამოფხიზლდა და გასცურა ნაპირზე. ჩვენება ჩემი ხელით არის დაწერილი.

### ა. ვერა დადიანის დაკითხვის ოქმი, 21.


18 მარტა 1959 გ. გ. ტბილისი. Народный следователь прокуратуры Орджоникидзевского района, юрист первого класса Махвиладзе допросила в качестве свидетеля с соблюдением ст. ст. 19—23 Временных правил Веру Михайловну Дадияни, 1895 года рождения, русская, со средним образованием, беспартийная, медсестра больницы 4-го управления, не судимая, которая дала следующее показание:

Я 21 год работаю здесь. За это время Галактион Табидзе часто лежал у нас в нервном отделе. Он всегда был приветливый, спокойный, вежливый. В последний раз он отсюда выписался 5 марта 1959 года. После этого до 17 марта я Табидзе не видела. 17 марта 1959 года примерно вначале третьего часа я видела Табидзе. Он находился в вестибюле, то курил, то ходил. Я поздравилась с ним. Он очень вежливо ответил, спросил как я живу. После этого я его видела в половине шестого. Он собирался выйти на балкон, хотел взять стул и выйти на балкон. Я ему сказала, что там мокро, грязно и не стоит сегодня там посидеть, если хотите воздух, то я открою дверь и посидите здесь. Он поверил, поставил стул и пошел по коридору. Я ушла домой. Когда я ему сказала, что на балконе мокро и не стоит там посидеть, он улыбкой согласился со мной и не стал выходить. Необычайного в его поведении я не замечала. Больше я ничего не знаю. Сегодня утром я узнала, что Табидзе бросился с четвертого этажа из кабинета доктора Пондоева и умер. Кабинет Пондоева вообще не закрывался. До этого Табидзе заходил в кабинет и писал и если, допустим, увидели бы, что он зашел в кабинет, то мы никогда не подумали, что он совершит такое действие, как самоубийство. Вчера никого не видела, в том числе я не видела когда Табидзе зашел в кабинет Пондоева. Показание мною прочитано, записано с моих слов правильно, в чем и расписываюсь.

### 7. სუსანა არაქელაშვილის დაკითხვის ოქმი, 17-18.

1959 წ. 18 მარტი. ქ. თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა პირველი კლასის იურისტმა მახვილაძემ, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში, დროებითი წესების 19-23 მუხლების დაცვით, დავითზე სუსანა კონონ ასული არაქელა-





ვა, დაბადებული 1901 წელს, სომეხი, უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი, სამართალში არ ყოფილა რამელმაც აჩვენა:

ამ საავადმყოფოში ვმუშაობ 1939 წლიდან. გალაკტიონ ტაბიძეს ვიცი როგორც ჩვენს ავადმყოფს. იგი ხშირად იწვა ჩვენთან. ხშირად მოუყვანიათ მთვრალი. დიდი ხანი არ არის, რაც გავწერა ნერვული განყოფილებიდან. 1959 წლის 17 მარტს მე მოვედი სამსახურში დღის სმ საათზე. პონდოვემა და ოქროპირიძემ მითხრეს, რომ ტაბიძე დაწვა დღეს მათთან და მოხოვეს გული მომესმინა. ავედი მეოთხე სართულზე და პონდოვეის კაბინეტის წინ, დერეფანში, ვნახე ტაბიძე, კარებთან გაჩერებული. რომ დამინახა წამოვიდა წინ და მომესალმა. შევეკითხე, როდის დაწვა. მიპასუხა, დღესო. როგორ ბრძანდებით, შევეკითხე. არა მიშავსო, მიპასუხა. ხომ არაფერია ახალი, შევეკითხე. მითხრა, წიგნი გამოდის ჩემიო, ვთხოვე შესულიყო პონდოვეის ოთახში და გავსინჯავდი. მართლაც იმ ოთახში გავსინჯე გული და ფილტვები. ცვლილება არაფერი იყო. შევიპირდი, რომ საღამოს შემოვლისას კიდევ ვინახულებდი. ამ სიტყვებით გამოვედი ოთახიდან. ის წავიდა თავისი პალატისაკენ, მე კი ჩავედი მესამე სართულზე. დაახლოებით 6 საათზე მე გავიგონე რაღაც მძიმე სავნის დაცემა-დავარდნისა და მინების მსხვერვის ხმა. გადავიხედე დახურული ფანჯრიდან ეზოში. ვილაც უცნობი ვაჟი ჩემსკენ იყურებოდა, რაღაცას მანიშნებდა. მე გავაღე ფანჯარა და მინაც ვერაფერი დავინახე. მეგონა, ჟანგბადის ბლონი გადავარდა. ამ დროს მოვიდა ექთანი — თერაპიული განყოფილების მორიგე და მითხრა ავადმყოფის ტანსაცმლით ვილაც გადავარდნილა დაბლაო, მე იმ წუთშივე ჩავედი დაბლა და ვნახე, რომ ტაბიძე იწვა, ეზოში, ბეტონის ფილებთან. თავი ჰქონდა ფანჯრიდან მარჯვნივ, ფეხები ფილებისაკენ. მაშინვე გავუსინჯე მია. გულისცემა. თვალის გუგები, უკვე მკვდარი იყო. ჩემთან იყო პარაკმახერი, მონტორი და ვილაც უცხო ვაჟი. ექთანი გავგზავნე საკაცებზე. დავდევით საკაცებზე და შევიტანეთ საავადმყოფოს მისაღებ ოთახში. მე დიდხანს არ მოვშორებდვარ, მეგონა ღრმა გულის წასვლა ჰქონდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ იგი მკვდარი იყო.

ტაბიძე გასინჯვამდე და გასინჯვის დროსაც სულ ღიმილით მელაპარაკებოდა, თავაზიანად. ავადმყოფობაზე არც უთქვამს რაიმე. არავითარი განსაკუთრებული მისთვის არ შემინიშნავს. როდესაც საკაცებზე გავგზავნე ექთანი, პარალელურად გავგზავნე ქირურგთან. ექთანმა მითხრა საავადმყოფოს ტანსაცმელში წვეს ვილაც ეზოშიო, გადავარდნა მას ჩემთვის არ უთქვამს. დასაძალი არაფერი მაქვს. ჩვენება წავიკითხე სწორება და ხელს ვაწერ.

**8. ივლიტა მიაქის ახსნა-განმარტაბა. 50.**

Прокурору республики тов. Топуридзе. Объяснение сотрудницы контрольно-аналитической лаборатории ГАПУ. Иветты Микадзе. Наша лаборатория находится на первом этаже. Над нами проживал поэт Галактион Табидзе. Он иногда заходил в нашу лабораторию. За два дня до его смерти он был у нас выпивший, разговаривал со студентами и заведывающей. Несколько месяцев тому назад он зашел к ним и жаловался, что его беспокоит запах наших лекарств, а потом обратился ко мне и попросил чего-нибудь ядовитого. Я объяснила ему, что мы с ядовитыми лекарствами не имеем дела, а если бы и имели яды, то как я могла их Вам дать милый Галактион. Аналитик Иветта Микадзе, 1959 г. 19.III.

**9. გალაკტიონ ტაბიძის გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტი. 58-57. (ამონაბეჭდი).**

1959 წლის 18 მარტს, 13 საათსა და 30 წუთზე, ხელოვნურ სინათლეზე, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს პროზექტურაში, თანხმად ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის მომართვისა, ექიმთა კომისიის მიერ, შემადგენლობით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი—ვლადიმერ ყაფლანის ძე ფლენტი, აკადემიკოს წევრ-კორესპონდენტი—ირაკლი იაკობის ძე ტატიშვილი, პროფესორი—ირაკლი ბესარიონის ძე კობახიძე და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს გამგე — რამაზ რაფდენის ძე გვეტაძე, მოხდა გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა.







ტაბიძის გვამი ნახეს საავადმყოფოს ეზოში, ფანჯრების ქვევით და როგორც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაამტკიცა იგი გადმოვარდნილი იყო დიდი სიმაღლიდან, ტაბიძის მის პირდაპირ ზევით მეთოხე სართულზე ღია იყო პონდოვების კაბინეტის ფანჯარა, საიდანაც გადმოვარდა ტაბიძე. პონდოვეი ტაბიძის გადმოვარდნის დროს სამსახურში არ იმყოფებოდა.

როგორც სამედიცინო დასკვნებიდან ჩანს, ტაბიძე დაავადებული იყო ქრონიკული ალკოჰოლიზმით, ჰიპერტონიით, სისხლის მიღების სკლეროზით და თავის ტვინის მიღების სკლეროზით, რის გამოც იგი ხშირად მკურნალობდა აღნიშნულ საავადმყოფოში და არ საჭიროებდა მუდმივ მეთვალყურეობას.

როგორც გამოძიებით დადგინდა, ტაბიძის მხრიდან თვითმკვლელობის ცდას ადრეც, დაახლოებით 10 წლის წინათაც ჰქონია ადგილი, როდესაც იგი მტკვარში გადამხტარა, ასევე, მოწმე მიქაძე აჩვენებს, რომ ერთხელ ტაბიძემ საწამლაგი სთხოვა.


როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, აღნიშნული მკვლელობა წარმოადგენს თვითმკვლელობას, რომელიც გამოწვეული იყო ტაბიძის უეცარი ფსიქიური ტრავმით, რის გამოც ვიხელმძღვანელე დროებითი წესების 54-ე მუხლით და დაეადგინე: საქმე № 109/815, აღძრული გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, წარმოებით მოისპოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

### 11. ნინა ტაბიძის ხელწერილი. 71.

1959 წ. 21 აპრილი. ქ. თბილისი. ნინა სიმონის ასულმა ტაბიძემ მივიღე ჩემი მეუღლის გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის შემდეგი წიგნები: შემსალაროს წიგნაკი, საფასო № 3525, ანგარიშის ნომერი 94170, 26295 მან. და 46 კაპიკის ნაშთით; ფული 281 მანეთი; უბის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერით: ლექსი «Я советский рабочий... в коммунизм» რუსულად ხელის მოწერა ალექსი პეტრეს ძე ზაკომოდინი. ცხვირსახოცი ყავისფერი ნაპირებით, გ. ვ. ტაბიძის შრომის უწყარობის ფურცელი, სერია № 089933 19 იანვრიდან 5 მარტამდე; ცნობა, რომ ტაბიძე მკურნალობს ლეჩკომბინატში, სათვალე, გამჭვირვალე გაყოფილი მინებით; პაპიროსი „რეკორდი“ სამი პაპიროსის ნამწვავით და სამი მოუწვეველი პაპიროსით; შავი უბრალო ფანქარი 7 სმ. სიგრძის; სავარცხელი ტარიანი ყავისფერი, ორი თითბერის გასაღები, ერთ-ერთი რკინის ენით, შეკრული ქაღალდის კანაფით; სამი ყუთი ასანთი.

აღნიშნული წიგნები და ფული მივიღე ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელ სიმონიშვილისაგან.





**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ**

(„აპაინური წესები“)\*

**გენერალური ასამბლეა**

**მხედველობაში იღებს** ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ასევე ადამიანთა უფლებების შესახებ არსებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ეხება ახალგაზრდობას,

**ითვალისწინებს**, რომ 1985 წელი გამოცხადებულია ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად: მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა — და რომ, საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის უფლებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის და დაცვის საკითხებს, რისი დასტურიც არის ის, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა უფლებების დეკლარაციას (რეზოლუცია 1986 (XIV),

**ეყრდნობა** დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მეექვსე კონგრესის მიერ მიღებულ 4 რეზოლუციას (იხ. დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაეროს მეექვსე კონგრესი, კარაკასი, 1980 წლის 25 აგვისტო — 5 სექტემბერი; სამდივნოს მიერ მომზადებული მოხსენება (გაეროს გამოცემა გაყიდვაშია № R 81, IV, 4, თავი 1, ნაწილი B), რომლებშიც არის მოწოდება იზრუნონ არასრულწლოვანებზე და შემუშავდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესები, რაც მოდელი იქნება წევრი-სახელმწიფოებისათვის,

**ეყრდნობა** ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1984 წლის 25 მაისის 1984/153 გადაწყვეტილებას, რის მიხედვითაც წესების პროექტი პეკინში 1984 წლის 14-18 მაისს გამართული რეგიონთაშორისი მოსამზადებელი თათბირის შემდეგ განსახილველად წარედგინა 1985 წლის 26 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე მილანში მომდინარე გაეროს VII კონგრესს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ (იხ. რეგიონთაშორისი მოსამზადებელი თათბირის მოხსენება გაეროს VII კონგრესს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ თემაზე: ახალგაზრდობა, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება (A/CONF, 121/IPM/CONF).

**აღიარებს**, რომ ახალგაზრდობას პიროვნული განვითარების ადრეულ ეტაპ-

\* მიღებულია გაეროს 96-ე პლენარულ სხდომაზე, 1985 წელს.



ზე სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და დახმარება ფიზიკური, სპორტული, ლიერი და სოციალური განვითარების სფეროში, ასევე სამართლებრივი მშვიდობის, თავისუფლების, პატივისცემის და უშიშროების პირობებში.

მიიჩნევს, რომ არსებული ნაციონალური კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, შესაძლოა, მოითხოვს გადასინჯვას და შეცვლას მოცემულ წესებში მითითებული ნორმების გათვალისწინებით;

მიიჩნევს, რომ შესაძლოა, არსებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების გამო ეს ნორმები ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი უნდა განხორციელდეს პროგრამა-მინიმუმის სახით.

1. **მადლიერებით აღნიშნავს** დამნაშავეობის აღკვეთასა და მასთან ბრძოლაში გენერალური მდივნის, გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის აზიის და შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის და გაეროს სხვა ინსტიტუტების მიერ გაწეულ მუშაობას არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მოსამზადებლად;

2. **მადლიერებით აღნიშნავს** გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებას არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ მინიმალური სტანდარტული წესების პროექტის თაობაზე A/CONF, 121 (14);

3. **იწონებს** პეკინში ჩატარებული რეგიონთაშორისი მოსამზადებელი თათბირის შედეგებს, როდესაც დასრულდა წესების ტექსტის შემუშავება და იგი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად გადაეცა გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესს;

4. **ამტკიცებს** გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ, რომლებიც რეკომენდებულია მეშვიდე კონგრესის მიერ და დამატების სახით ერთვის მოცემულ რეზოლუციას. ასევე, იწონებს მეშვიდე კონგრესის რეკომენდაციას, რომ მათ ეწოდოს „პეკინური წესები“;


5. **სთავაზობს** წევრ-სახელმწიფოებს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუსაბამონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა პეკინურ წესებს, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროსთან დაკავშირებული პერსონალის მომზადების დროს; შესაბამის ორგანოებს და ფართო საზოგადოებრიობას გააცნონ მოცემული წესები;

6. **მოუწოდებს** დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტს, შეიმუშაოს ღონისძიებანი პეკინური წესების ეფექტურად განხორციელებისათვის გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის ინსტიტუტის მხარდაჭერით;

7. **სთავაზობს** წევრ-სახელმწიფოებს, აცნობონ გენერალურ მდივანს პეკინური წესების განხორციელების თაობაზე; დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტს რეგულარულად წარუდგინონ მოხსენებანი მიღწეულ შედეგებზე;

8. **სთხოვს** წევრ-სახელმწიფოებს და გენერალურ მდივანს, ჩაატარონ გამოკვლევები და შეიმუშაონ მონაცემთა ბაზა არასრულწლოვანთა მიმართ მარ-





**9. გენერალურ მდივანს სთხოვს** და წევრ-სახელმწიფოებს სთავაზობს, უზრუნველყონ პეკინური წესების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება გაეროს ყველა ოფიციალურ ენაზე არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში, საინფორმაციო მოღვაწეობის აქტივობების ჩათვლით;

**10. სთხოვს** გენერალურ მდივანს, შეიმუშაოს პეკინური წესების განხორციელების ექსპერიმენტალური პროექტები;

**11. სთხოვს** გენერალურ მდივანს და წევრ-სახელმწიფოებს, გამოყონ აუცილებელი სახსრები პეკინური წესების წარმატებით განხორციელებისათვის; კერძოდ, კადრების დაქირავების და მომზდების, თანამშრომელთა გაცვლის, გამოკვლევების და შეფასებების წარმოების და მიღების, ასევე, გამასწორებელ დაწესებულებებში ყოფნის ახალი ალტერნატივების შემუშავებისათვის.

**12. სთხოვს** გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის VIII კონგრესს, პეკინური წესების და მოცემულ რეზოლუციაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების განხორციელების დროს მიღწეული შედეგების მიმოხილვა მოახდინოს დღის წესრიგის ცალკე პუნქტის ფარგლებში, რომელიც ეხება მართლმსაჯულების განხორციელებას არასრულწლოვანთა მიმართ;

**13. დაბეჯითებით** სთხოვს გაეროს სისტემის ყველა შესაბამის ორგანოს, კერძოდ, დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაეროს რეგიონალურ კომისიებს და სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ინსტიტუტებს, სხვა მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ითანამშრომლონ სამდივნოსთან და მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა მათ კომპეტენციაში შემავალ შესაბამის სფეროებში უზრუნველყონ პეკინური წესების პრინციპების განხორციელება შეთანხმებული და მუდმივი მოქმედებებით.

**დამატება**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ „პეკინური წესები“

**ნაწილი პირველი, ზოგადი პრინციპები**

**1. ძირითადი მიზნები**

1. 1. წევრი-სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ, თვითნებური ზოგადი ინტერესების შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანის და მისი ოჯახის კეთილდღეობას;

1. 2. წევრი-სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ, შექმნან პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდის შინაარსიან ცხოვრებას საზოგადოებაში. საზოგადოებამ მისი ცხოვრების იმ პერიოდში, როცა მოზარდი ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი ყოფაქცევისადმი, ხელი უნდა შეუწყოს მისი პიროვნების განვითარებას და ისეთი განათლების მიღებას, რომელიც მაქსიმალურ



რად თავისუფალია დანაშაულის და სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლებლობისაგან;

1. 3. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური ზომების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას ოჯახის, მოსახლეობის და საზოგადოების სხვა ჯგუფების, სკოლების და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩათვლით, რათა ხელი შეუწყონ მოზარდის კეთილდღეობას კანონის მხრივ ჩარევის აუცილებლობის შესამცირებლად და ეფექტურად, სამართლიანად და პუმანურად მოეპყრონ მოზარდს, რომელიც კანონთან კონფლიქტშია;

1. 4. მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იყოს ყოველი ქვეყნის ეროვნული განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი ყველა არასრულწლოვანისათვის სოციალური სამართლიანობის საყოველთაო უზრუნველყოფის ჩარჩოებში, ეს ერთდროულად დაიცავს ახალგაზრდობას და საზოგადოებაში მშვიდობიან წესრიგს;

1. 5. მოცემული წესების განხორციელება ყოველ წევრ-სახელმწიფოში უნდა მოხდეს არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში;

1. 6. უნდა ხდებოდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სამსახურის სისტემატური განვითარება და კოორდინირება, რათა ამოღდეს და საჭირო დონეზე შენარჩუნებული იქნეს ამ სფეროში დაკავებული პერსონალის კვალიფიკაცია, მეთოდების, მიდგომების და დამოკიდებულებების ჩათვლით.

#### კომენტარი

აღნიშნული ზოგადი მიზნები ეხება ყოველს მოცემულ სოციალურ პოლიტიკას და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაქსიმალური ხელშეწყობისაკენ, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არასრულწლოვანთა საქმეებში მართლმსაჯულების სისტემის ჩარევას და პირველ რიგში, შეამცირებს ზარალს, რომელიც მოსდევს ნებისმიერი სახის ჩარევას. ძირითადი შინაარსი პოლიტიკისა, რომლის მიზანია გამორიცხოს მოცემული წესების გამოყენების აუცილებლობა; არის ამგვარი ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენამდე.


წესები 1. 1. — 1. 3. მიუთითებს სერიოზულ როლზე, რომელიც აკისრია კონსტრუქციულ სოციალურ პოლიტიკას არასრულწლოვანთა მიმართ, კერძოდ, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისა და სამართალდარღვევის აღკვეთაში.

1. 4. წესში მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ განისაზღვრება არასრულწლოვანთათვის სოციალური სამართლიანობის სისტემის შემადგენელ ნაწილად, ხოლო 1. 6. წესში მითითებულია, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემის მუდმივი სრულყოფა. იმავდროულად, უნდა მიიღონ ზომები არასრულწლოვანთა მიმართ პროგრესული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის და გაითვალისწინონ ამ სისტემის პერსონალის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

1. 5. წესის მიზანია, აისახოს წევრ-სახელმწიფოებში არსებული პირობები, რომლებზეც დამოკიდებული იქნება კონკრეტული წესების გამოყენების ფორმები. ეს ფორმები აუცილებლად განსხვავებული იქნება სხვა სახელმწიფოების მიერ გამოყენებული ფორმებისაგან.



2. წესების გამოქვეყნების სფერო და ხმარებული  
განსაზღვრებები



2. 1. მოცემული მინიმალური სტანდარტული წესები გამოიყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მიუკერძოებლად, ყოველგვარი განსხვავებული მიდგომის გარეშე, მაგალითად, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რწმენის, პოლიტიკური ან სხვა წარმოდგენების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე;

2. 2. მოცემული წესების განხორციელებისათვის წევრი-სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ განსაზღვრებებს იმგვარად, რომ ისინი პასუხობდნენ მათ შესაბამის სამართლებრივ სისტემებს და კონცეფციებს:

ა) არასრულწლოვანი ბავშვი ან ახალგაზრდა, რომელიც არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ჩადენილი სამართალდარღვევისათვის იმ ფორმით, რომელიც განსხვავდება მოზრდილი ადამიანისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან;

ბ) სამართალდარღვევად ითვლება ყოველგვარი სახის დანაშაული (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ისჯება კანონით არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში;

გ) არასრულწლოვან დამნაშავედ ითვლება ბავშვი ან ახალგაზრდა, რომელიც ექვემდებარება დანაშაულის ჩადენაში ან დადგენილია, რომ მან იგი ნამდვილად ჩაიდინა.

2. 3. ყოველი ეროვნული იუსტიციის ფარგლებში საჭიროა ძალისხმევა, რათა მიღებული იქნეს კანონების, წესების და დებულებების კომპლექსი უშუალოდ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების და მათ მიმართ მართლმსაჯულების აღმასრულებელი დაწესებულებების და ორგანოების შესახებ. ამ დაწესებულებათა და ორგანოთა მიზნებია:

ა) დააკმაყოფილონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სხვადასხვა მოთხოვნილებანი, ამასთან, დაიცვან მათი ძირითადი უფლებები;

ბ) დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნილებანი;


გ) ცხოვრებაში გაატარონ მოცემული წესები მტკიცედ და მიუკერძოებლად.

**კომენტარი**

მინიმალური სტანდარტული წესები სპეციალურად არის ფორმულირებული იმგვარად, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, და ამასთან, დაწესდეს გარკვეული მინიმალური სტანდარტები არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობისა, არასრულწლოვანის ნებისმიერი არსებული განსაზღვრების და არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის ნებისმიერი სისტემის პირობებში. ყველა შემთხვევაში წესები უნდა გამოიყენებოდეს მიუკერძოებლად და რაიმე განსხვავების გარეშე.

ამიტომ, 2. 1. წესში ხაზგასმით არის მითითებული წესების მიუკერძოებლად და რაიმე განსხვავების გარეშე გამოყენების აუცილებლობა. ეს წესი შეესატყვისება ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მე-2 პრინციპს (რეზოლუცია 1386 (XVI)). იხ. აგრეთვე კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმით გამოყენების აღმოფხვრის შესახებ (რეზოლუცია 34/180, დამა-





ტება); რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საყოველთაო კონფერენციის დეკლარაცია (რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საყოველთაო კონფერენციის მოხსენება, ენეკა, 14-25 აგვისტო 1978 წელი) გაეროს გამოცემა, გაყიდვაშია № R. 79.XVI.2. (თავი 2); დეკლარაცია რელიგიასა ან წარმოდგენებზე დაფუძნებული ყველა სახის დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის ლიკვიდაციის შესახებ (რეზოლუცია 36/55); და-კ პატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (იხ. ადამიანის უფლებები; საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული, გაეროს გამოცემა, გაყიდვაშია № R. 83.XVI.1); კარაკასის დეკლარაცია (რეზოლუცია 35/171, დამატება და წესი 9).

2. 2. წესში განსაზღვრულია ტერმინი „არასრულწლოვანი“ და „სამართალდამრღვევი“, როგორც კომპონენტები ცნებისა „არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი“, რაც არ არის ამ მინიმალური სტანდარტული წესების საგანი (იხ. აგრეთვე წესი 3, 4). უნდა აღინიშნოს, რომ ასაკობრივი ზღვარი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყოველი სამართლებრივი სისტემის მდგომარეობასთან. რითაც გათვალისწინებული იქნება წევრი-სახელმწიფოების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სამართლებრივი სისტემები. ამიტომ ცნება „არასრულწლოვანი“ მოიცავს ფართო ასაკობრივ დიაპაზონს 7-დან 18 წლამდე და 18 წლის ზევით. ასეთი ფართო ზღვარი შედეგია ეროვნული სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნებისა და არ ამცირებს მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების მნიშვნელობას.

2. 3. წესში აღნიშნულია, რომ აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობა მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების ზორტმესხმისათვის, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.

**8. წესების გამოყენების სფეროს გაფართოება**

3. 1. წესების შესაბამისი დებულებანი გამოიყენება არა მხოლოდ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ, არამედ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთა პასუხისგებაში მიცემა შეიძლება ნებისმიერი კონკრეტული ჩადენილი დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის შემთხვევაში მოზრდილი ადამიანი არ დაისჯება;

3. 2. საჭიროა ძალისხმევა, რათა წესებში მითითებული პრინციპების მოქმედება გავრცელდეს ყველა არასრულწლოვანზე, რომელთა მიმართ მიღებულია ზომები სოციალური უზრუნველყოფის და მზრუნველობისათვის;

3. 3. ასევე საჭიროა ძალისხმევა, რათა წესებში გადმოცემული პრინციპების მოქმედება გავრცელდეს ახალგაზრდა, სრულწლოვან სამართალდამრღვევებზე.

**კომენტარი**

მესამე წესი ითვალისწინებს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალურ სტანდარტულ წესებში გათვალისწინებული დაცვის მეთოდების გავრცელებას შემდეგ შემთხვევებზე:

- ა) სხვადასხვა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში გათვალისწინებული
- ვ. წ. „სტატუსური დარღვევები“, როდესაც ჩადენილი სამართალდარღვევები



არასრულწლოვანისათვის უფრო ფართო სფეროს მოიცავს, ვიდრე მოზარდი-სათვის (მაგ. გაცდენები, ცული ყოფაქცევა სკოლაში და ოჯახში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე არაფხიზელ მდგომარეობაში მისვლა (წესი 3. 1).

ბ) დანისძებნათა გატარება არასრულწლოვანებზე სოციალური უზრუნველყოფის და მზრუნველობის დაწესებულებისათვის (წესი 3. 2);

გ) ახალგაზრდა, სრულწლოვან სამართალდამრღვევებზე მოსყმულ წესებში გადმოცემული პრინციპების გავრცელება (წესი 3. 3).

გამართლებულია წესების გავრცელება ამ სამ კატეგორიაზე.  
წესი 3. 1. ითვალისწინებს მინიმალურ გარანტიებს ამ სფეროში. ხოლო წესი 3. 2. ითვლება სასურველ ნაბიჯად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების მიმართ უფრო სამართლიანი, თანასწორი და პუმანური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

#### 4. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკი

4. 1. სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის არსებობას, ამგვარი ასაკის ქვედა ზღვარი, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური მომწიფების ასპექტების გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ძალზე დაბალი.

##### კომენტარი

სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი საკმაოდ განსხვავებულია ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. თანამედროვე მდგომარეობაში გამოიხატება, რომ განისაზღვროს, შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალური და ფსიქოლოგიური ასპექტები; სხვაგვარად, უნდა განისაზღვროს ბავშვის სამართალში მიცემის შესაძლებლობა, გამომდინარე მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან — აღიქვას და შეიგნოს პასუხისმგებლობა ჩადენილი აშკარა ანტი-საზოგადოებრივი ქმედებისათვის. თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალზე დაბალია ან საერთოდ არ არის დაწესებული, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება აზრს კარგავს. საერთოდ, არსებობს მჭიდრო კავშირი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობასა ან დანაშაულებრივ ქმედებებს და სხვა სოციალურ უფლებებსა და მოვალეობებს შორის (მაგ. ოჯახური მდგომარეობა, სამოქალაქო სრულწლოვანება და სხვა).

ამიტომ საჭიროა ძალისხმევა, რათა დაწესდეს საერთაშორისო მასშტაბით მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი.

#### 5. მართლმსაჯულების მიზნები არასრულწლოვანთა მიმართ

5. 1. მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ პირველყოფლისა მიმართულია არასრულწლოვანის კეთილდღეობის და იმის უზრუნველყოფისა, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ყო-



ველგვარი ღონისძიება ყოველთვის შეესატყვისებოდეს როგორც პიროვნების თავისებურებებს, ისე სამართალდარღვევის გარემოებებს.

### კომენტარი

5. 1. წესში ასახულია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების ორი უმთავრესი მიზანი: პირველია არასრულწლოვანის კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა. ეს არის ძირითადი საზრუნავი იმ სამართლებრივი სისტემებისა, რომლებშიც არასრულწლოვან სამართალმრღვევთა საქმეებს არჩევენ სპეციალურ საქმეთა სასამართლოები ან ადმინისტრაციული ხელისუფლება. მაგრამ არასრულწლოვანთა კეთილდღეობას ყურადღება უნდა მიექცეს იმ სამართლებრივ სისტემებშიც, რომლებშიც არსებობს სისხლის სამართლის დევნის მოდელი, ამგვარი მოდელის არსებობის დროს გარანტირებული იქნება წმინდა სადასჯელო ხასიათის სანქციები (იხ. წესი 14).

მეორე მიზანია „შესაბამისობის პრინციპის“ დაცვა. ეს პრინციპი ფართოდ არის ცნობილი, როგორც დამსჯელი სანქციების გამოყენების შეზღუდვის საშუალება. დამსჯელი სანქციები ძირითადად გამოიხატება დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სამაგიეროს მიზლის პრინციპის გამოყენებაში. ახალგაზრდა სამართალდამრღვევების მოქმედებებზე რეაქცია უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს, არამედ პიროვნების განსაკუთრებულობასაც. სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებანი (მაგალითად, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზარალი და სხვა ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება სამართალდამრღვევის პიროვნებას) გავლენას უნდა ახდენდეს საპასუხო ქმედებების შესაბამისობაზე (მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდამრღვევის სურვილი, ზარალი აუნაზღაუროს დაზარალებულს ან მისი სურვილი, იცხოვროს სისხლსავსე და სასარგებლო ცხოვრებით).

ანალოგიურად, საპასუხო ქმედებანი, მიმართული ახალგაზრდა სამართალდამრღვევის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, შეიძლება გავიდეს აუცილებლობის ფარგლებიდან და ამით ზიანი მიაყენოს კონკრეტული ახალგაზრდის ძირითად უფლებებს, რაც შეიძინევა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ზოგიერთ სისტემაში. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საპასუხო ქმედებების შესაბამისობა სამართალდარღვევის გარემოებების თავისებურებების, მსხვერპლის და ასევე, სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით.

მეხუთე წესში გათვალისწინებულია მხოლოდ სამართლიანი საპასუხო ქმედებების გატარება არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ ნებისმიერ სამართალდარღვევაზე ან დანაშაულზე. ასპექტების მრავალფეროვნებამ, რომელსაც შეიცავს ეს წესი, შეიძლება ხელი შეუწყოს ორ მიდგომას: ახალი და ნოვატორული სახეები საპასუხო ქმედებებისა ისევე სასურველია, როგორც გაფრთხილების ღონისძიებანი არასრულწლოვანზე სოციალური კონტროლის ქსელის გამართლებელი გაფართოების შემთხვევაში.

### 6. დისკრეციული უფლებამოსილებაგის მოცულობა

6. 1. არასრულწლოვანთა სხვადასხვა განსაკუთრებული სახის მოთხოვნების, ასევე, არსებული წესების მრავალფეროვნების გამო, უნდა გათვალისწინებული იქნეს დისკრეციული უფლებამოსილებების შესაბამისი მოცულობა სამართლის



გზით საქმის გარჩევის ყველა ეტაპზე და არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. ასევე გამოძიების პროცესში თლოში საქმის განხილვის, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოტანის და მათ აღსრულებაზე კონტროლის დროს;

6. 2. ამასთან ერთად, საჭიროა ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ანგარიშგება ნებისმიერი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ყველა ეტაპზე და დონეზე;

6. 3. პირნი, რომლებიც ფლობენ უფლებამოსილებას, უნდა ფლობდნენ სათანადო კვალიფიკაციას ან მომზადებას ამ უფლებამოსილებათა კეთილგონივრულად გამოყენებისათვის თავიანთი ფუნქციების და რწმუნებების შესაბამისად.

**კომენტარი**

6. 1, 6.2 და 6.3. წესები მოიცავს არასრულწლოვანთა მიმართ ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური მართლმსაჯულების განხორციელების რამოდენიმე ძირითად ასპექტს: მართლმსაჯულების ყველა ძირითად დონეზე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ნებართვის აუცილებლობა, რათა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეეძლოთ იმოქმედონ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე; აუცილებლობა, რომ გადაისინჯოს კონტროლის და წინააღმდეგობის ზომები, რათა გამოირიცხოს დისკრეციული უფლებამოსილების არასწორად გამოყენების შემთხვევები და დაცულ იქნეს ახალგაზრდა სამართალდამრღვევის უფლებები. დისკრეციული უფლებების ფართოდ გამოყენების შემზღვევა ანგარიშგება და პროფესიონალიზმი. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში ხაზგასმულია პროფესიონალური ჩვევების და მომზადების მნიშვნელობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დისკრეციული უფლებამოსილების კეთილგონივრულად გამოყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეებში (იხ. აგრეთვე წესები 1.6 და 2.2). ამ კონტექსტში ხაზგასმულია დისკრეციული უფლებამოსილებების გამოყენების კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მნიშვნელობა საქმეთა გადასინჯვის, აპელაციების და ა. შ. სისტემების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებული იყოს გადაწყვეტილებების და ანგარიშგების შემოწმება. ამგვარი მექანიზმები კონკრეტულად არ არის მითითებული გარკვეული სიძნელეების გამო, რადგან მათი ჩარევით საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტულ წესებში შეუძლებელია გათვალისწინებული იყოს მართლმსაჯულების სისტემებში არსებული ყველა განსხვავება.

**7. არასრულწლოვანთა უფლებები**

7. 1. ძირითადი პროცესუალური გარანტიები, როგორც არის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების გაცნობის უფლება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება, მშობლების ან მზრუნველის დასწრების უფლება, მოწმებთან პირისპირ შეხვედრის და ჯვარედინი დაკითხვის უფლება, ზემდგომ ინსტანციაში აპელაციის უფლება გარანტირებული უნდა იყოს სასამართლოს წესით საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

**კომენტარი**

7. 1. წესში ხაზგასმულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებითი ელემენტებია და აღიარებულია საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების შესახებ არსე-



ბულ დოკუმენტებში (იხ. აგრეთვე წესი 14). მაგალითად, დებულება უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ შედის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 11-ე მუხლში და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 14.2. მუხლში.

მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების მე-14 მუხლში და შემდგომ კონკრეტულად განისაზღვრება საკითხები, რომლებიც ძირითადია, კერძოდ, სასამართლოში არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, ხოლო 7.1 წესში ზოგადად დასტურდება ყველა ძირითადი პროცესუალური გარანტია.

## 8. კონფიდენციალურობის გარანტია

8. 1. არასრულწლოვანის უფლებას კონფიდენციალურობაზე პატივი უნდა ეცეს ყველა ეტაპზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისთვის ზიანის მიყენება არასასურველი საჯაროობის ან რეპუტაციის შელახვის გამო;

8. 2. პრინციპში, არ უნდა გამოქვეყნდეს არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებაზე.

### კომენტარი

მე-8 წესში ხაზგასმულია კონფიდენციალურობაზე არასრულწლოვანის უფლების უზრუნველყოფის მნიშვნელობა. ახალგაზრდობა განსაკუთრებით ავადმყოფურად რეაგირებს რეპუტაციის შელახვაზე, აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რაოდენ უარყოფითად ეკიდება ახალგაზრდობა ისეთი განსაზღვრებების გამოყენებას, როგორც არის „სამართალდამრღვევი“ ან „დამნაშავე“.

მე-8 წესში ხაზგასმულია ასევე აუცილებლობა, რომ დაიცვან არასრულწლოვანი მისი საქმის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან (მაგალითად, ეჭვმიტანილი ან გასამართლებული სამართალდამრღვევების სახელების გამოქვეყნება), პიროვნების ინტერესები დაცული და გარანტირებული უნდა იყოს პრინციპულად მაინც. (მე-8 წესის ზოგადი დებულებანი დაკონკრეტებულია შემდგომ 21-ე წესში).

## 9. თავდაცვითი უანიჭვნა

9. 1. მოცემული წესები არ უნდა იქნეს გავებული ისე, თითქოს გამორიცხულია გაეროს მიერ მიღებული დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (იხ. ადამიანის უფლებები: საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული (გაეროს გამოცემა, გაყიდვაშია № R. 83.XIV.1), ასევე ახალგაზრდა პირთა დაცვის და მათზე ზრუნვის შესახებ მიღებული დოკუმენტების და სტანდარტების გამოყენება, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

### კომენტარი.

მე-9 წესი გათვალისწინებულია ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოცემული წესების გაგების და ცნოვრებაში გატრების დროს ადამიანის უფლებების შესახებ უკვე არსებული ან შემუშავების პროცესში მყოფი საერთაშორისო დოკუმენტების და სტანდარტების პრინციპების შესაბამისად, ასეთებია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,



ბავშვთა უფლებების დეკლარაცია და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 68 პროექტი (იხ. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1985 (142 რეზოლუციის) გადავლისწინებული უნდა იქნეს, რომ მოცემული წესების გამოყენება ზიანს არ აყენებს არავითარ ანალოგიურ საერთაშორისო დოკუმენტს, რომლის დებულებათა უფრო ფართოდ გამოყენება შესაძლებელი 67 (იხ. აგრეთვე წესი 27).

## ნაწილი მეორე. გამომიყვანა და სასამართლოს წინაშე საჩივრის განხილვა

### 10. თავდაპირველი კონტაქტი

10. 1. არასრულწლოვანის დაკავების შემთხვევაში, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ მის მშობლებს ან მზრუნველს, ხოლო თუ დაუყოვნებლივ შეტყობინება შეუძლებელია, აცნობებენ მოგვიანებით, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში.

10. 2. სასამართლო ან სხვა კომპეტენტური პირი ან ორგანო დაუყოვნებლივ განიხილავს გათავისუფლების საკითხს;

10.3. კონტაქტები მართლმსაჯულების ორგანოებს და არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს შორის ხორციელდება იმგვარად, რომ პატივი ეცეს არასრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს. ხელი შეუწყოს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და გამორიცხოს მისთვის ზიანის მიყენება საჩივრის გარეშე სათანადოდ გათვალისწინებით.

#### კომენტარი

პრინციპში, 10.1. წესი შედის დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 32-ე წესში 69 (დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს 1955 წელს (იხ. გაეროს პირველი კონგრესი დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ, ჟენევა, 1955 წლის 22 აგვისტო — 3 სექტემბერი. სამდივნოს მოხსენება (გაეროს გამოცემა, გაყიდვამია № R 1956. IV. 4). თავის 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციაში ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო მინიმალური სტანდარტული წესები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება პერსონალის მოძიებას და მომზადებას პენიტენციალური და გამასწორებელი დაწესებულებებისათვის, ასევე, რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად ღია პენიტენციალური და გამოსასწორებელი დაწესებულებების შესახებ. საბჭომ რეკომენდაცია მისცა მთავრობებს, დადებითად შეხედნენ მინიმალური სტანდარტული წესების მიღების და გამოყენების საკითხს და შესაძლებლობის ფარგლებში ანგარიში გაუწიონ ორი სხვა ჯგუფის რეკომენდაციებს პენიტენციალური და გამოსასწორებელი დაწესებულებების მართვის დროს, ახალი 95-ე წესი ჩართული იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიითითებულა საბჭოს 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციაში, სრული ტექსტი დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა შედის დოკუმენტში დამიანის უფლებები: საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული).

გათავისუფლების საკითხს (წესი 10.2) დაუყოვნებლივ განიხილავს მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი ან დაწესებულება, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, საზოგადოებრივი ორგანოების ან პოლიტიკური ხელისუფლების ჩათ-



ვლით, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება გაათავისუფლონ დაპატიმრებული პირი (იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 9. 3).

წესი 10. 3. ეხება პროცედურის ზოგიერთ ძირითად ასპექტს და პოლიციელების და სხვა თანამდებობის პირების ყოფაქცევას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის. საყოველთაო აღიარებით გამოთქმა „თავი აარიდონ ზიანის მიყენებას“, წარმოადგენს მოქნილ ფორმულირებას და მოიცავს ყოველგვარი ქმედებების მრავალ მხარეს (მაგალითად: მიმართვის უხეში ფორმები, ფიზიკური ძალადობა, გარემომცველთა მხრივ საყვედური). მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობაც კი შეიძლება არასრულწლოვანისათვის „ზიანის მიყენებას“ წარმოადგენდეს. ამიტომ, ტერმინი „თავი აარიდონ ზიანის მიყენებას“, უნდა გაგებულ იქნეს უფრო ფართოდ — როგორც არასრულწლოვანისათვის რაც შეიძლება ნაკლები ზიანის მიყენება, ასევე ნებისმიერი სახის დამატებითი და გადამეტებული ზიანის რაც შეიძლება ნაკლებად მიყენება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ორგანოებთან პირველი კონტაქტის დროს. ამან შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანის დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი. ამას გარდა, ყოველი შემდგომი ჩარევის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მსგავს თავდაპირველ კონტაქტებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია თანაგრძნობა და რბილი, მაგრამ მომცხოვნი მიდგომა.

## 11. საქმის უწყვეტება

11.1. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმის განხილვისას შეძლების მიხედვით არ არის საჭირო საქმის ოფიციალური განხილვა 14. 1. წესში მითითებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ;

11. 2. პოლიცია, პროკურატურა ან სხვა ორგანოები, რომელნიც წარმართავენ არასრულწლოვანის საქმეს, უფლებამოსილი უნდა იყვნენ მიიღონ გადაწყვეტილებები თავად, საქმის ოფიციალურად მოსმენის გარეშე, რომელიც დადგენილია სამართლებრივ სისტემაში მიღებული კრიტერიუმების და მოცემულ წესებში არსებული პრინციპების თანახმად;

11. 3. საქმის განხილვის შეწყვეტა, რაც დაკავშირებულია შესაბამისი სხვა სამსახურებისათვის გადაცემასთან, ხდება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის, მისი მშობლების ან მზრუნველის თანხმობით, იმ პირობით, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ექვემდებარება გადასინჯვას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადების საფუძველზე;

11. 4. არასრულწლოვანთა საქმეების გადასინჯვის დისკრეციული ხასიათის უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის აუცილებელია განხილულ იქნეს ჩარჩოებში ისეთი პროგრამები, როგორც არის დროებითი მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის განხორციელება, რესტიტუცია და დაზარალებულთათვის კომპენსაციის მიცემა.

### კომენტარი

საქმის შეწყვეტა, მისი ამოღება სისხლის სამართლის წარმოებიდან და გადაცემა დამხმარე სამსახურებისათვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა ოფიციალურ და არაოფიციალურ ნიადაგზე მრავალ სამართლებრივ სისტემაში. ეს პრაქტიკა საშუალებას იძლევა, შეიზღუდოს არასრულწლოვანის მიმართ მართლმსაჯულე-



ბის აღსრულების ნეგატიური შედეგები (მაგალითად, ნასამართლობის და განა-  
ჩენის დამლა), მრავალ შემთხვევაში საუკეთესო შედეგებს იძლევა ხელისუფ-  
ლების კომპეტენტური ორგანოების მხრივ ჩაურევლობა. ამგვარად, საქმის შეწყ-  
ვეტას დასაწყისშივე, ალტერნატიული (სოციალური) სამსახურებისათვის გადა-  
ცემის გრეშე, შეიძლება ოპტიმალური შედეგი ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით  
ეხება საქმეებს, როცა არ მომხდარა სერიოზული დარღვევები და როცა ოჯახს,  
სკოლას ან სხვა ინსტიტუტს, რომლებიც ახორციელებენ არაოფიციალურ სო-  
ციალურ კონტროლს, უკვე მიღებული აქვთ ან აპირებენ მიიღონ ზემოქმედე-  
ბის შესაბამისი კონსტრუქციული ზომები.

როგორც 11. 2. წესშია მითითებული, საქმის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს  
გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე პოლიციის, პროკურატურის ან  
სხვა დაწესებულების, მაგალითად — სასამართლოების, ტრიბუნალების, საბჭო-  
ების ან კომისიების მიერ. ეს შეიძლება განხორციელდეს ერთი, რამოდენიმე  
ან ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ შესაბამისი სისტემების წესების,  
პოლიტიკის და მოცემული წესების გათვალისწინებით საქმის შეწყვეტა ეხება  
როგორც მცირე ისე მნიშვნელოვან საქმეებს.

11. 3. წესში ხაზგასმულია, რომ მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი სა-  
მართალდამრღვევის (ან მისი მშობლების, ან მზრუნველის) აუცილებელი თან-  
ხმობა საქმის შეწყვეტის რეკომენდებულ ფორმაზე. ამ თანხმობის გარეშე საქ-  
მის გადაცემა სხვა სამსახურებისათვის ეწინააღმდეგება კონვენციას იძულებითი  
შრომის გაუქმების შესახებ 70. (კონვენცია № 105 მიღებულია 1957 წლის 25  
ივნისს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის  
მიერ, მის მეორმოცე სესიაზე, ტექსტის შესახებ იხ. შენიშვნა 67). მაგრამ ამგ-  
ვარი თანხმობა შეუცვლელი არ არის, ვინაიდან თანხმობა შეიძლება განაცხა-  
დოს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა არასრულწლოვანმა. წესში ხაზ-  
გასმულია, რომ მინიმუმამდე უნდა დავიდეს საქმის შეწყვეტის პროცესის ნე-  
ბისმიერ ეტაპზე იძულების და დაშინების შესაძლებლობა. არასრულწლოვანი  
არ უნდა გრძნობდეს ზეგავლენას (მაგალითად სასამართლო პროცესისათვის  
თავის არიდების მიზნით). მასზე არ უნდა ახდენდნენ გავლენას საქმის შეწყვე-  
ტის ამა თუ იმ ფორმაზე დათანხმების გამო, ამიტომ ივარაუდება, შემუშავდეს  
დებულება ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა შესახებ გადაწყვეტილების გა-  
მოტანის მისაღებლობის შეფარდების შესახებ „ხელისუფლების კომპეტენტური  
ორგანოს მიერ განცხადების საფუძველზე“ (ხელისუფლების კომპეტენტური  
ორგანო შეიძლება იყოს სხვა, ვიდრე მითითებულია მე-14 წესში).

11. 4. წესში რეკომენდებულია დებულება, რომელიც შეიცავს არასრულ-  
წლოვანის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურ ალტერნატი-  
ვებს საქმის შეწყვეტის და მისი გადაცემის ფორმით. განსაკუთრებით რეკომენ-  
დებულია პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მსხვერპლისათვის საქმის  
მოგვარებას რესტიტუციის გზით და ყველა ზომის მიღებას, რათა მომავალში  
გამოირიცხოს კანონის დარღვევა დროებითი ზედამხედველობის და ხელმძღვა-  
ნელობის განხორციელების გზით. კონკრეტული გარემოებების გათვალისწინე-  
ბით საქმე შეიძლება შეწყდეს უფრო სერიოზული სამართალდამრღვევების  
შემთხვევაშიც (მაგალითად, პირველი სამართალდარღვევა; დანაშაული, ჩადე-  
ნილი მეგობართა წაქეზებით და სხვა).



## 12. პოლიციის სპეციალიზაცია



12. 1. თავისი ფუნქციების საუკეთესოდ აღსრულებისათვის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ან მუდმივად არიან დაკავებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებით ან თანამშრომლები, რომლებიც ძირითადად არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთაზე მუშაობენ, გადიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს და მომზადებას. ამ მიზნით დიდ ქალაქებში უნდა შეიქმნას პოლიციის სპეციალური დანაყოფები.

### კომენტარი

მე-12 წესში ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირის სპეციალური მომზადების აუცილებლობას. ვინაიდან, პოლიციასთან ურთიერთობა არასრულწლოვანების პირველი კონტაქტია მართლმსაჯულების სისტემასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მან იმოქმედოს კვალიფიციურად და ჯეროვნად.

თუმცა ურბანიზაციასა და დამნაშავეობას შორის კავშირის საკითხი მეტად რთულია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდა დაკავშირებულია დიდი ქალაქების სწრაფ და არაგეგმურ ზრდასთან. ამიტომ, პოლიციის სპეციალური დანაყოფები აუცილებელია არა მხოლოდ მოცემულ დოკუმენტში მითითებული კონკრეტული პრინციპების (წესი 1. 6.) დასაცავად. არამედ უფრო ზოგადად — არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის ეფექტურობის, ასევე, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

## 13. დაპატიმრება სასამართლომდე

13. 1. სასამართლომდე დაპატიმრება წარმოადგენს უკიდურეს ზომას და ზორციელდება ხანმოკლე დროით;

13. 2. სასამართლომდე დაპატიმრება შესაძლებლობის მიხედვით იცვლება სხვა ალტერნატიული ზომით. მაგალითად — მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი მუშაობა, ან მოთავსება ოჯახში, აღსაზრდელთა დაწესებულებაში ან სახლში;

13. 3. არასრულწლოვანი, რომელიც დაპატიმრებულია სასამართლომდე, სარგებლობს გაეროს მიერ მიღებული დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ყველა უფლებით და გარანტიით;

13. 4. სასამართლომდე დაპატიმრებული არასრულწლოვანები თავსდებიან მოზრდილთაგან განკალკევებით, სპეციალურ დაწესებულებებში ან ამგვარი დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში, რომელშიც არ იმყოფებიან უფროსები;

13. 5. დაპატიმრებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით — სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, ასევე დახმარებით განათლების და პროფესიული მომზადების სფეროში, რომელიც შეიძლება მათ დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესის და პიროვნულობის გათვალისწინებით.

### კომენტარი

ანგარიში უნდა გაეწიოს „სისხლის სამართლის გავლენის“ საშიშროებას არასრულწლოვანებზე, რომლებიც სასამართლომდე არიან დაპატიმრებული. ამიტომ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით 13.1, წესში წახალისებულია



ახალი და ნოვატორული ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლომდე დაპატიმრება არასრულწლოვანის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

სასამართლომდე დაკავებული არასრულწლოვანები სარგებლობენ დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით, ასევე, საბოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, განსაკუთრებით მე-9 მუხლით და მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით და გარანტიებით.

წესი 13. 4. არ ეწინააღმდეგება, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ განსხვავებული ზომები მოზრდილი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენის წინააღმდეგ. ეს ზომები ისევე ეფექტურია, როგორც მოცემულ წესში მითითებული ღონისძიებანი.

დახმარების სხვადასხვა სახეები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს. ჩამოთვლილია, რათა ყურადღება მიექცეს დაპატიმრებული ახალგაზრდების (მაგალითად, ნარკომანების, ალკოპოლიკების, გონებრივად დაავადებულების, პატიმრობის საფუძველზე ფსიქოლოგიურად ტრავმირებულების და ა. შ.) განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს.

დაპატიმრებული ახალგაზრდების განსხვავებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი შეიძლება გახდეს საფუძველი იმ ღონისძიებათა კლასიფიკაციისა, რომელთა საფუძველზე ზოგიერთი ახალგაზრდა სასამართლომდე დაპატიმრებულია ცალკე, რაც არ აზიანებს მას და საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს გაწეული მისთვის აუცილებელი დახმარება.

დამნაშავეობის აღკვეთის და დაპატიმრებულებთან მოპყრობის გაეროს VI კონგრესმა თავის რეზოლუციებში 4<sup>63</sup> არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სტანდარტების შესახებ მიუთითა, რომ წესებმა უნდა ასახოს ძირითადი პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომდე დაკავება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები არ უნდა იმყოფებოდნენ დაწესებულებებში, სადაც შეიძლება მოექცნენ დაპატიმრებული მოზარდების უარყოფითი გავლენის ქვეშ და რომ მუდამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განვითარების მათი ღონისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ნაწილი მესამე, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის ზომის არჩევა

#### 14. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო, რომელსაც გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება

14. 1. თუ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე არ იქნა შეწყვეტილი (მე-11 წესის თანახმად), მას უძღვება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო (სასამართლო, ტრიბუნალი, საბჭო, კომისია და ა. შ.) სამართლიანი და მიუხმრობელი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად;

14. 2. სასამართლოს წესით საქმის განხილვა უნდა პასუხობდეს არასრულწლოვანის ინტერესებს და ხორციელდებოდეს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რაც არასრულწლოვანს საშუალებას მისცემს, მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გადმოსცეს თავისი მოსაზრება.

კომენტარი



ძნელია განისაზღვროს კომპეტენტური ორგანო ან პირი, რომელიც უნდა დაეხმოს ევროსაბჭოსადმი აღწერს ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც გამოაქვს სასამართლო განაჩენი. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოში იგულისხმებიან ის პირნიც, რომლებიც ხელმძღვანელობენ სასამართლოს ან ტრიბუნალს (ერთი მოსამართლე ან რამოდენიმე წევრი), პროფესიონალი მოსამართლეების და პრაქტიკოსების პირების ჩათვლით, ასევე ადმინისტრაციული კომისიები (მაგალითად, შოტლანდიურ და სკანდინავიურ სისტემებში) ან ნაკლებად ოფიციალური ორგანოები და სასამართლოს ტიპის დაწესებულებანი, რომლებიც წყვეტენ კონფლიქტებს.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პროცედურა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს მინიმალურ სტანდარტულ წესებს, რომლებიც გამოიყენება თითქმის ყველგან, ყოველი დამნაშავეისადმი, „სათანადო კანონიერი პროცედურის“ სახელით ცნობილი პროცედურის შესაბამისად. სათანადო პროცედურის შესაბამისად, ცნება—„სამართლიანი და მიუმხრობელი სასამართლო“—მოიცავს ისეთ ძირითად გარანტიებს, როგორიც არის უდანაშაულობის პრეზუმცია, საბუთების წარდგენა და შესწავლა, საერთო სამართლებრივი დაცვა, ჩვენებაზე უარის თქმის უფლება, საბოლოო სიტყვის უფლება საქმის გარჩევის დროს, აპელაციის უფლება და ა. შ. (იხ. აგრეთვე წესი 7, 1.).

## 15. ადვოკატი, მზრუნველი და მზრუნველი

15. 1. სასამართლოს წესით განხილვის დროს, არასრულწლოვანს უფლება აქვს, წარდგინდეს იყოს ადვოკატის წინაშე ან მიმართოს უფასო სამართლებრივ დახმარებას, თუ ამგვარი დახმარების გაწევა გათვალისწინებულია ზოცული ქვეყნის კანონმდებლობით;

15. 2. მშობლებს ან მზრუნველს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს წესით საქმის განხილვაში და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი თქვას მათ დასწრებაზე, თუ თვლის, რომ ეს აუცილებელია და კეთდება არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე.

### კომენტარი

მე-15. 1. წესში გამოიყენება ტერმინოლოგია, რომელიც ანალოგიურია დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 67-ე და 93-ე წესისა. თუ დებულება ადვოკატის და უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ აუცილებელია არასრულწლოვანისათვის სამართლებრივი დახმარების გასაწევად, მე-15. 2. წესში მითითებული, მშობლების ან მზრუნველის მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანისათვის საერთო ფსიქოლოგიურ და ემოციურ დახმარებად; — „ფუნქციად, რომელიც უნდა შესრულდეს სასამართლოს წესით საქმის განხილვის პროცესში“.

ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან სათანადოდ განიხილონ საქმე, სასარგებლო იქნებოდა თანამშრომლობა არასრულწლოვანის იურიდიულ წარმომადგენლებთან (ან რომელიმე სხვა დამხმარესთან, რომელსაც არასრულწლოვანი შეიძლება ენდოს და ნამდვილად ენდობა). ამ დებულებამ მნიშვნელობა შეძლება დაკარგოს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლების ან მზრუნველების დასწრება საქმის მოსმენის დროს უარ-



ყოფით გავლენას ახდენს — მაგალითად, ისინი ავლენენ მტრულ დამოკიდებულებას არასრულწლოვანისადმი, ამიტომ, გათვალისწინებული უნდა იყოს მათ დასწრებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

## 16. მოხსენებები სოციალური გამოკვლევების შედეგების შესახებ

16. 1. ყველა შემთხვევაში, გარდა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისა; ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელიც წინ უძღვის განაჩენს, აუცილებელია, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი გარემო და პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი ან გარემოებები, რომლებშიც ჩადენილი იქნა დანაშაული, ეს საჭიროა, რათა გამოტანილ იქნეს სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება.

### კომენტარი

სოციალური გამოკვლევების შედეგების შესახებ მოხსენებები (სოციალური დასკვნები ან მოხსენებები გადაწყვეტილების გამოტანამდე) შეუცვლელ დაზმარებას უწევენ უმეტეს შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს წესით განხილვას. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა იცოდნენ არასრულწლოვანის შესახებ არსებული შესაბამისი ფაქტების შესახებ, მაგალითად, მისი სოციალური და სოჯახო გარემოცვის, ჩუკოლაში სწავლის, აღზრდის შესახებ და ა. შ. ამ მიზნით ზოგიერთ სასამართლო სისტემაში გამოიყენება სპეციალური სოციალური სამსახურები ან თანამშრომლები, რომლებიც ასრულებენ ამ ფუნქციებს, სასამართლოების ან კომისიებისათვის ამ ფუნქციების შესრულება შეუძლიათ სხვა თანამშრომლებსაც, მათ შორის — პრობირების სისტემის თანამდებობის პირებსაც, ამიტომ, მოცემულ წესში მითითებული, რომ აუცილებელია შესაბამისმა სოციალურმა სამსახურებმა კვალიფიციურად მოამზადონ მოხსენებები სოციალური გამოკვლევების შედეგებზე.

## 17. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის და ზემოქმედების ზომების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპები

17. 1. ზემოქმედების ზომების შერჩევის დროს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

a) ზემოქმედების ზომები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ სამართალდარღვევის გარემოებებს და სიმძიმეს, არამედ არასრულწლოვანის მდგომარეობას და მოთხოვნილებებს; ასევე, საზოგადოების მოთხოვნილებებსაც;

b) გადაწყვეტილება, არასრულწლოვანის პირადი თავისუფლების შეზღუდვის შესახებ, მიიღება მხოლოდ საკითხის საფუძვლიანად განხილვის შემდეგ შეზღუდვა, რამდენადაც შესაძლებელია, მინიმუმამდე უნდა დავიდეს;

c) არასრულწლოვანს პირადი თავისუფლება აღეკვეთება იმ შემთხვევაში, თუ მას ჩადენილი აქვს სერიოზული დანაშაული სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან მრავალჯერ აქვს ჩადენილი სერიოზული დანაშაულები; ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ზემოქმედების სხვა შესატყვისი ღონისძიება;

d) არასრულწლოვანს საქმის განხილვის დროს განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს მისი კეთილდღეობა.

17. 2. არასრულწლოვანი არც ერთი დანაშაულისათვის არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით.





17. 3. არასრულწლოვანი ფიზიკურად არ ისჯება.

17. 4. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.

**კომენტარი**

ახალგაზრდების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების ძირითადი სიძნელე გაპრობებულა გადაუჭრელი ფილოსოფიურა ხასიათის წინააღმდეგობებით, რომლებიც არსებობს:

a) გამოსწორებასა და სამაგიეროს მიზნებს;

b) დახმარებას, აღკვეთას და დასჯას;

c) კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით დადგენილ ზემოქმედების ზომას და მთელი საზოგადოების დაცვის ინტერესების შესატყვის ზემოქმედების ზომას;

d) ზოგადად ვაფრთხილებასა და ინდივიდუალურ სასჯელს შორის.

ამ მიდგომათა შორის არსებული წინააღმდეგობა უფრო ნათლად გამოვლინდება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს, ვიდრე მოზრდილთა საქმეების განხილვისას. არასრულწლოვანთა საქმეებისათვის დამახასიათებელი ნიშნუბების და შედეგების მრავალფეროვნების გამო ამ ალტერნატივათა შორის რთული ურთიერთკავშირია.

არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების მინიმალური სტანდარტული წესები არ აკანონებს რომელიმე სახის მიდგომას, არამედ მიუთითებს, რომელი მიდგომა შეესაბამება ყველაზე მეტად საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამიტომ, 17. 1. წესში მითითებული ძირითადი დებულებანი, კერძოდ — a და c ქვეპუნქტები, მიჩნეულ უნდა იქნეს პრაქტიკულ სახელმძღვანელო პრინციპებად, რომლებიც ათვლის წერტილს წარმოადგენს. თუ შესაბამისი ორგანოები (იხ. აგრეთვე წესი 5) გაათვალისწინებენ მათ, შეიძლება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფილი გახდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ძირითადი უფლებების — განსაკუთრებით — პიროვნული განვითარების და განათლების მიღების უფლებების განხორციელება.

17. 1. წესის b ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მიუღებელია წმინდა სადამსჯელო ხასიათის მიდგომა. თუ მოზრდილთა საქმეებში ან ზოგჯერ, არასრულწლოვანთა სერიოზული სამართალდარღვევების შემთხვევებში, სასჯელი და სადამსჯელო სანქციები გარკვეულად გამართლებულია, არასრულწლოვანთა საქმეებში ამგვარ მოსაზრებებზე მაღლა უნდა იდგეს ახალგაზრდების მომავლის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ინტერესები.

გაეროს VI კონგრესის მე-8 რეზოლუციის შესატყვისად

17. 1. წესის b ქვეპუნქტი ხელს უწყობს დავების ალტერნატიული ზომების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენებას, ახალგაზრდობის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობის გათვალისწინებით. ამიტომ საჭიროა, სრულად იქნეს გამოყენებული არსებული ალტერნატიული ღონისძიებების მთელი დიაპაზონი და შემუშავდეს ახალი ალტერნატიული ღონისძიებანი საზოგადოების უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით. მაქსიმალურად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული პრობაციის სისტემა პირების სასჯელების გამოტანის, მათი შესრულების გადადების, საბჭოების დადგენილების და სხვა სახის გადაწყვეტილებების გზით.

17. 1. წესის c ქვეპუნქტი პასუხობს მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუცი-



ის სახემძღვანელო პრინციპებს, რომელთა მიზანია — თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანის ციხეში დაკავება, გარდა შემთხვევებისა, რადგან არ არსებობს სხვა შესატყვისი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს გადაღების უსაფრთხოებას.

17. 2. წესში მითითებული სიკვდილით დასჯის აკრძალვა პასუხობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-5 მუხლებს.

დებულება ფიზიკური დასჯის აკრძალვის შესახებ შეესატყვისება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს და ყველა პირის წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯისაგან დაცვის შესახებ დეკლარაციას, ბავშვთა უფლებების კონვენციის პროექტს.

ნებისმიერ დროს სასამართლოს წესით საქმის განხილვის შეწყვეტის უფლება (წესი 17.4). წარმოდგენს განმასხვავებელ ნიშანს, რომლითაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პრაქტიკა განსხვავდება მოზრდილებთან მოპყრობის პრაქტიკისაგან. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაფასოს გარემოებანი და მათ საფუძველზე შეწყვიტოს საქმის განხილვა, რაც საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება.

## 18. ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებანი

18. 1. მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის და შესაძლებლობის ფარგლებში, არასრულწლოვანის გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო საქმის განხილვისას უნდა ფლობდეს ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსს, ამგვარი ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ერთმანეთთან შეფარდებით, შემდეგია:

a) დადგენილებები მზრუნველობის, ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის შესახებ;

b) პრობაცია;

c) დადგენილებები საზოგადოების კეთილდღეობისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულების შესახებ;

d) ფინანსური სასჯელები, კომპენსაცია და რესტიტუცია;

e) დადგენილებები შუალედური და სხვა სახის ღონისძიებების მიღების შესახებ;

f) დადგენილებები ჯგუფურ ფსიქო. თერაპიის და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;

g) დადგენილებები, რომლებიც ეხება აღსაზრდელად გადაცემას, საცხოვრებელ ადგილს, ან სხვა აღმზრდელობით ღონისძიებებს;

h) სხვა სახის შესაბამისი დადგენილებები.

18. 2. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა ჩამოაშორონ არც ნაწილობრივ, არც სრულებით მშობელთა ზედამხედველობას, თუ ეს არ არის ნაკარნახევო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით.

### კომენტარი

18. 2. წესში არის ცდა, ჩამოთვლილი იქნეს ზოგიერთი ძირითადი ღონისძიება ზემოქმედების და სანქციებისა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება



ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში. მთლიანობაში ისინი პერსპექტიულია და იმსახურებს გამოყენებას და შემდგომ განვითარებას. ამ წესში არ არის მნიშვნელოვანი თითოეული რაიმე მოთხოვნები პერსონალის შიშარო, ვინაიდან შეიძლება ზოგიერთ რაიონებში შესაბამისი პერსონალი არ არსებობდეს. ამ რეგიონებში შეიძლება შემუშავდეს და გამოყენებულ იქნეს ღონისძიებანი, რომელთა განსახორციელებლად საკმარისია მცირერიცხოვანი პერსონალი.

18. 1. წესში მითითებული შემთხვევებისათვის საერთოა, უპირველეს ყოვლისა, დაყრდნობა თემზე, როგორც ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ინსტრუმენტზე. გამოსწორება თემის მეშვეობით, წარმოადგენს ტრადიციულ ღონისძიებას, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავალ ასპექტს. ამიტომ შესაბამისმა ხელისუფლებამ დახმარება უნდა გაუწიოს თემს.

18. 1. წესში მითითებულია ძირითადად ოჯახის როლზე, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ სერთაშორისო პაქტის 10. 1. მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს „საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს“. ოჯახის ფარგლებში მშობლებს არა მარტო უფლება აქვთ, არამედ ვალდებულნი არიან იზრუნონ ბავშვებზე და მეთვალყურეობა გაუწიონ მათ. ამიტომ 18. 2. წესის თანახმად, ბავშვებისა და მშობლების დაცობა წარმოადგენს უკიდურეს ზომას. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ სერიოზულ ნაბიჯს ამართლებს საქმესთან დაკავშირებული ფაქტები (მაგალითად ბავშვებთან სასტიკი მოპყრობა).

### **19. მინიმალურად გამოყენება ღონისძიებებისა, რომლებიც ითვალისწინებს გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებას**

19. 1. არასრულწლოვანის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას და გამოყენებულ უნდა იქნეს მინიმალური ვადით.

#### **კომენტარი**

პროგრესული კრიმინოლოგია უპირატესობას აძლევს იმ ღონისძიებათა გამოყენებას, რომელიც არ ითვალისწინებს გამოსასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებას. დადგენილია, რომ გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების საუკეთესო შედეგები მხოლოდ მცირედ განსხვავდება ამ ღონისძიების გამოყენების გარეშე მიღწეული შედეგებისაგან. მრავალრიცხოვანი არახელსაყრელი შედეგი გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფი პიროვნებისათვის ვერ იქნება კომპენსირებული გამოსასწორებელი სამუშაოებით. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვანებს, რომლებიც ადვილად ექცევიან უარყოფითი გავლენის ქვეშ. ამას გარდა, თავისუფლების აღკვეთისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის ნეგატიური შედეგები უფრო მეტად აისახება არასრულწლოვანებში, ვიდრე მოზრდილებში, ვინაიდან ისინი პიროვნული განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფებიან.

მე-19 წესის მიზანია ორი მხრივ შეზღუდოს გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება: ხარისხობრივად („უკიდურესი ზომა“) და დროის თვალსაზრისით („მინიმალური ვადა“). მე-19 წესში ასახულია გაეროს VI კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი: არასრულწლოვანი დამნაშავე არ უნდა იქნეს მოთავსებული ციხეში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ გატარდება სხვა შესაბამისი ღონისძიება. ამიტომ, მოცემულ წესში



არის მითითება, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს გამოსასწორებელ დაწესებულებაში, თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიზღუდოს მინიმალური აუცილებელი ვადით და ამასთან, უნდა გაითვალისწინონ სპეციალური ორგანიზაციული ღონისძიებანი არასრულწლოვანთა მოვლისათვის. ასევე, უნდა გაითვალისწინონ სამართალდარღვევების და დაწესებულებების სხვადასხვა ტიპები. ფაქტიურად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ღია“ დაწესებულებებს „დაზურულთან“ შედარებით, ამას გარდა, ყველა დაწესებულება უნდა იყოს არა ციხის ტიპისა, არამედ გამოსასწორებელი ან შემეცნებითი.

## 20. არასასჯირო დაკავებების თავიდან აცილება

20. 1. არასრულწლოვანის ნებისმიერი საქმე თავიდანვე უნდა წარიმართოს სწრაფად, არ უნდა მოხდეს არასასჯირო დაკავებანი.

### კომენტარი

არასრულწლოვანთა საქმეების ოფიციალური სამართალწარმოების სწრაფად განხორციელება უპირველესი ამოცანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დადებითი, რაც შეიძლება მიღწეული იყოს საქმის განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში, საფრთხის ქვეშ დგება. დროთა განმავლობაში არასრულწლოვანს უფრო და უფრო გაუჭირდება, ხოლო ზოგჯერ, შეუძლებელიც არის ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად დაუკავშირდეს სასამართლოს წესით საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა სამართალდარღვევას.

## 21. ოქმები

21. 1. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და არ უნდა გადაეცეს მესამე პირს. ამ მასალების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ პირებს, რომლებიც დაკავებული არიან მოცემული საქმის განხილვით, ან სხვა პირებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილებანი.

21. 2. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები არ უნდა გამოიყენებოდეს მოზრდილი სამართალდამრღვევების საქმეების განხილვის დროს იმ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება იმავე სამართალდარღვევას.

### კომენტარი

ამ წესში არის ცადა მიღწეული იქნეს თანასწორობა ოქმებთან ან საქმის მასალებთან დაკავშირებულ კონფლიქტურ ინტერესებს. კერძოდ, — პოლიციის ორგანოების, პროკურატურის და სხვა ორგანოების — ინტერესებს შორის, რათა სრულყოფილად შესრულდეს ზედამხედველობის ფუნქციები და დაცულ იქნეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესები (იხ. აგრეთვე წესი 8). გამოთქმა „სხვა პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილებანი“, ჩვეულებრივ გულისხმობს სხვა პირთა შორის, გამოძიებლებს.

## 22. პროფესიონალიზმის და მომზადების აუცილებლობა

22. 1. არასრულწლოვანთა საქმეებით დაკავებული მთელი პერსონალის აუცილებელი პროფესიონალური კომპეტენტურობის უზრუნველყოფის და შენარჩუნებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს პროფესიული მომზადება, სწავ-



ვლება მუშაობის პროცესში, გადამზადების კურსები და სწავლების სხვა შესაბამისი სახეები.

22. 2. არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების ორგანოებში სონალი უნდა შეირჩეს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიის გათვალისწინებით, რომლებიც კონტაქტში შედიან არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების სისტემასთან. საჭიროა ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების ორგანოებში ქალების ერთგული უმცირესობების სამართლიანი წარმომადგენლობა.

### კომენტარი

პირებს, რომელთა კომპეტენციაში არასრულწლოვანთა შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა კვალიფიკაცია (მაგისტრები დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და ჩრდილოეთ ირლანდია-სა და რეგიონებში, რომლებიც საერთო სამართლის სისტემის გავლენის ქვეშ არიან; მოსამართლენი, რომელთაც იურიდიული განათლება აქვთ, ქვეყნებში, რომლებიც რომაულ სამართალს იყენებენ და რეგიონებში, სადაც ვრცელდება მათი გავლენა, არჩევითი ან დანიშნული პირები, რომლებიც არ არიან პროფესიონალი იურისტები ან იურისტები სხვა ქვეყნებში, სათემო საბჭოების წევრები და სხვ). ყველა ამ პირს უნდა ჰქონდეს მინიმალური მომზადება სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიის და ყოფაქცევის შესახებ ნეცნიერების სფეროში. ამ მოთხოვნას ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ორგანიზაციულ სპეციალიზაციას და დამოუკიდებლობას.

ნაკლებად არის შესაძლებელი სოციალური სექტორის მუშაკებს და პრობაციის სისტემის თანამდებობის პირებს მოვთხოვოთ პროფესიონალური სპეციალიზაცია, როგორც თავდაპირველი პირობა მათთვის ნებისმიერი ფუნქციის გადაცემისას არასრულწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებით. ამიტომ პროფესიონალური ინსტრუქტაჟი მათი მუშაობის პერიოდში წარმომადგენს მინიმალურ აუცილებელ კვალიფიკაციას.

პროფესიონალური კვალიფიკაცია აუცილებელი ელემენტია არასრულწლოვანთა მიმართ მიუკერძოებელი და ეფექტური სამართალწარმოების აღსრულებისათვის, ამიტომ აუცილებელია გაუმჯობესდეს პერსონალის შერჩევა, დაწინაურება და პროფესიონალური მომზადება. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საშუალებებით, რომელთა მეშვეობით შეძლებს შესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

არასრულწლოვანთა მიმართ მიუმხრობელი სამართალწარმოების მიღწევისათვის ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციას პოლიტიკურ, სქესობრივ, რასობრივ, რელიგიურ, კულტურულ ან ნებისმიერ სხვა საფუძველზე არასრულწლოვანთა საქმეებში მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში მომუშავე პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და დაწინაურების დროს. ასეთი იყო VI კონგრესის რეკომენდაცია. ამას გარდა, VI კონგრესმა მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს უზრუნველყონ სისხლის სამართლის სისტემაში ქალი-თანამშრომლების სამართლიანი და თანასწორუფლებიანი მდგომარეობა. რეკომენდაცია მისცა, რომ ჩაატარონ სპეციალური ღონისძიებანი არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემაში ქალი-თანამშრომლების მომზადებისა და დაწინაურების ხელშეწყობისათვის.

(დასარულა შემდეგ ნომერში)



## შურნალ „სამართალში“ 1991 წელს გამოქვეყნებული მასალების საკითხავლი

### ოფიციალური მასალები, სიხლენო კანონმდებლობაში, დოკუმენტები.

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ — №1, გვ. 33.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის თაობაზე — № 1, გვ. 58.

საქართველოს უზენაესი სასამართლო — №1, გვ. 60.

სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები — №1, გვ. 62.

სამედიცინო ეთიკის პრინციპები — №1, გვ. 60, სიკვდილისჯილთა უფლებების დაცვის საგარანტიო ღონისძიებანი — №1, გვ. 69.

გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების დეკლარაცია — №1, გვ. 71.

კონცეფცია კანონისა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ — №2, გვ. 17.

დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები — №2, გვ. 36.

კანონი საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ — № 2, გვ. 61.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ — № 3-4, გვ. 79.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ — № 3-4, გვ. 83

ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ — № 3-4, გვ. 92.

კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ — №3-4, გვ. 94.

დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ — №5, გვ. 43.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების დაქვემდებარებაში გადაცემისა

და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ — №5, გვ. 50.

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი — №5, გვ. 52.

მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის — №5, გვ. 57.

ვაკრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ — №6, გვ. 41.

ღებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ — № 6, გვ. 45.

კონვენცია სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაშაულობის მიუღებლობის შესახებ — №6, გვ. 54.

დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ — №6, გვ. 57.

უენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 11 დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ — №6, გვ. 59.

უენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის I ოქმი შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ — № 7-8, გვ. 58.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე — №7-8, გვ. 115.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე — №7-8, გვ. 120.

დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის



ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ — № 7-8, გვ. 123.

საბინაო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ — № 7-8, გვ. 128.

კონვენცია კალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ — № 11-12, გვ. 64.

**სისხლის სამართალი, პროცესი, სახელმწიფო სამართალი, თეორია, კანონის კომენტარი, პრაქტიკა**

**იური ტაბუცაძე** — როგორია რეალური სტატუსი — № 1, გვ. 7.

**ამოლონ ფალიაშვილი** — წინასწარი პატიმრობა — № 1, გვ. 12.

**იაკობ ფუტყარაძე** — ადგილობრივი თვითმმართველობის ტერმინოლოგიური საკითხები — № 2, გვ. 27.

**ავთანდილ კობახიძე** — ნივთმტკიცების ბედი და ზარალის ანაზღაურება ამნისტიის შეფარდების დროს — № 2, გვ. 31.

**გია შეფარიშვილი** — ერთი საკანონმდებლო სიახლის გამო — № 3-4, გვ. 5.

**დავით სულაქველიძე** — დანაშაულის მცდელობა და ნებავყოლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე — № 3-4, გვ. 9.

**ვაჟა ჯაოშვილი** — სასამართლო ექსპერტიზა — განვითარების გზები — № 3-4, გვ. 18.

**ალექსანდრე ჯავახიშვილი** — თაღლითობის ხერხები — № 3-4, გვ. 23.

**რეჯინალდ დეკანოზიშვილი** — საქართველოს საზღვარსა და სამართალსუბიექტობა: პრობლემები, ამოცანები — № 5, გვ. 2.

**იაკობ ფუტყარაძე** — ხელისუფლების დანაშაულების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება — № 5, გვ. 10.

**მარინე კვაჭაძე** — განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციისათვის — № 5, გვ. 25.

**დავით დარახველიძე** — სიკვდილით დასჯა და საზოგადოებრივი აზრი — № 5, გვ. 32.

**ამოლონ ფალიაშვილი** — ჩხრეკა და ამოღება: პროცესუალური წესი და პრაქტიკა — № 5, გვ. 15.

**შოთა ფაფიაშვილი** — დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება, არსი და მათი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა — № 6, გვ. 25.

**დავით ცინცაძე** — საზოგადოებრიობის თანდგომითა და მხარდაჭერით — № 6, გვ. 32.

**მიხეილ ქურდაძე** — დაზარალებულის უფლებების გაფართოების თეორიული საფუძველი და მისი პრაქტიკული განხორციელების შედეგობები — № 7-8, გვ. 37.

**ზურაბ გოთუა** — გაუბატურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით — № 7-8, გვ. 47.

**გენო კოშმანაშვილი** — მოძრაობისათვის სსსრკ-ის ფრთხილ, წარმოქმნის მომენტის განსაზღვრა — № 7-8, გვ. 55.

**გრიგოლ ერეშვილი** — დეპუტატის ვაჭვევის წესი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოებთან — № 9-10, გვ. 37.

**არჩილ ლორია** — სამართალდარღვევის ცნება — № 9-10, გვ. 59.

**როინ მივრიაული** — წამქეზებლობის ნორმის მიზანშეწონილობისათვის № 9-10, გვ. 56.

**ალექსანდრე გვაშიაძე, ლევან კვაშიაძე** — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კონტრაბანდისათვის — № 11-12, გვ. 31.

**ალექსანდრე ჯავახიშვილი** — თაღლითობა და გამოძალა — № 9-10, გვ. 68.

**ავთანდილ კობახიძე** — დანაშაულის იარაღის კონფისკაცია — № 11-12, გვ. 23.

**დავით დავითაძე** — პასუხისმგებლობა საბაჟო და სხვა საბუთების გამოყენებით ჩადენილი კონტრაბანდისათვის — № 11-12, გვ. 38.

**შოთა კოშმანაშვილი** — სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური რეგლამენტაციის სრულყოფისათვის — № 11-12, გვ. 41.

**სამოქალაქო სამართალი, პროცესი, ძარბული სამართლის ინსტრუმენტი, სამეურნეო სამართალი, პოლიციკა, თვალსაზრისი, წმინდობი რამდამცინას, ინფორმაცია, იურიდიული რუკა, რამენაზი.**

**გივი ინჭირაველი** — იურიდიული კადრები საქართველოს რესპუბლიკისათვის — № 1, გვ. 2.

**გიორგი ნადარეიშვილი** — აღვოკატურა: არსებობდა თუ არა იგი ძველ საქართველოში — № 1, გვ. 23.

**აკაკი ვარჯაშვილი** — ერთი არასწორი პრაქტიკის გამო — № 1, გვ. 76.

**გენო ხომერგიის ხსენას** — № 1, გვ. 78.

**იურიდიული კონსულტაცია** — № 1, გვ. 79.

**ლალო ჭანტურია** — ერის სამართლებრივი სინდისის წყარო — № 2, გვ. 2.

**თენგიზ ლილუაშვილი** — საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა — № 2, გვ. 11.

**ალექსანდრე ბლანკენაგელი** — სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებისათვის — № 2, გვ. 69.

**ვანტანგ აბაშაძე** — ქართული რენესანსი და შუა საუკუნეების საქართველოს პუმიანტარული იტრისპრუდენცია — № 3-4, გვ. 31.

**ბესარიონ ზოიძე** — მემკვიდრის სავალა პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში — № 3-4, გვ. 43.

**კონსტანტინე მიქელაძე** — დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა — № 3-4 გვ. 51. № 5, გვ. 35.



გიორგი ტყეშელაძე — თანამონაწილეობის პრობლემის საინტერესო გამოკვლევა — № 3-4 გვ. 135.

ვახტანგ სიდაშონიძე — № 3-4 გვ. 144.

ავთანდილ კახაბაძე — სამოქალაქო სამართალდარღვევა კონფესიების არ უნდა იწვევდეს — № 5, გვ. 17.

ანტონიძე — „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — № 5, გვ. 63.

ირაკლი ვაძიანი — შეჯერდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან — № 5, გვ. 67.

თამარ ებრაძიძე — წიგნის საჯარო განხილვა — № 5, გვ. 70.

ველა ბერძენიშვილი — თურქი იურისტები თბილისში — № 5, გვ. 79.

ლალო ტანტუჩია — მიწაზე კერძო საკუთრება — გზა სამომავლოდ — № 6, გვ. 2.

გიორგი ნაღარაძე — სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში — № 6, გვ. 35.

მინაშვილი შტაიგერი — გერმანია — სამართალი და კონსტიტუცია — № 6, გვ. 69.

ირაკლი სურგულაძე — სახელმწიფო — № 7-8, გვ. 2; № 9-10, გვ. 2, № 11-12, გვ. 2.

ოთარ გამყრელიძე — ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია? — № 7-8, გვ. 134.

როგორ უნდა განვიხილოთ „ქვეყნის“ სახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია? — შესახებ — № 7-8, გვ. 136.

ოთარ ზოიძე — ერთი ტერმინის თაობაზე — № 7-8, გვ. 140.

ვიქტორ შარაშენიძე — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა მოქალაქეობისა და ეროვნული პრობლემების შესახებ — № 9-10, გვ. 45.

ვაჟა ჯაფარიძე — სასამართლო ორგანოები თუ სასამართლო ხელისუფლება? — № 9-10, გვ. 76.

ვახტანგ ვახტანიანი — ოსები და საქართველო — № 11-12, გვ. 14.

ლია ადგიანი — ეროვნული საკითხი ნიკო ჯრბნელის შემოქმედებაში — № 11-12, გვ. 45.

გარეჯანი — იურიდიული განათლება გერმანიაში: სისტემა, პრობლემები, პერსპექტივები — № 11-12, გვ. 52.

ველა ბერძენიშვილი — გაფართოებული კოლეგიის სხდომა — № 11-12, გვ. 76.



© „სამართალი“, 1992 წ.

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, ბრიჯლანდის 19  
ტელ. 99-02-45, 99-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 20.12.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.92 წ.  
ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღბრებლო-საგამომცემლო თაბაში 6,5. შეკვ. № 2280. ტირაჟი 10 000.

საქართველოს შრომალ-განათლებლ. გამომცემლობა „სამართალი“ სტამბა.  
380009, თბილისი, შ. აოსტაპავას 14



**«САМАРТАЛИ» («ПРАВО»)** (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

**Адрес редакции:** Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

**Типография** Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.



6 35/113



ქართული  
ბიბლიოთეკა

0590060 76185

ფონო I 305. 50 303.